

100

၁၃၁ၬ၄

တနင်္လာ

100
F. T. Scott Library
University of Oklahoma

8

პროლეტარების ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

2560

83960
თაობა

12 461

საქართველოს საგარეო მფრინავის
კავშირის უმცესობის ზურალი

N^o 8

0880660



თბილისი * 1982

შ 0 6 ა რ ს ი:

მხატვრული ლიტერატურა

	83.
შან უილი — დიდი ფარა, თარგმანი ფრანგუ- ლიდან ირ. ქავეუარაძისა	3
ა. ს. პუშკინი — ბოშები, თარგმანი მიქელ პა- ტარიძისა	22

კ რ ი ტ ი კ ა

აკ. გაწერელია — თეიმურაზ პირველი	41
გრ. აბაშიძე — შაირის გარშემო	50
ნიკო ტატიშვილი — უურნალი „ცისკარი“	58

მიდი კურა

რომანი „დიდი ფარა“ ეკუთვნის თანამედროვე ფრანგ რევოლუციონერ მწერალს უან უიონ ნოს. ამ წიგნში ავტორმა მოგვცა მსოფლიო ომის საშინო-ლი სურათი, რომლის ბადალი მსოფლიო ღიტერატურაში არ მოიპოვება.

მხატვარი უდიდესი ზიზლით არის გამსჭვალული ბურჟუაზიული ცივილიზაციისადმი, რომელმაც ამდენი სისხლის ლერა გამოიწვია. იშვიათი დაუნდობლობითა და სიმძაფრით აღწერს უან უიონი მსოფლიო ომის შემაძრწუნებელ სცენებს.

რომანი „დიდი ფარა“ პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1931 წელს და დიდი გამოხმაურება ჰქონა. ითარგმნა რუსულ ენაზე და გამოიცა მასიური ტრაქით.

უან უიონი ითვლება საფრანგეთის რევოლუციურ მწერლების ასოციაციის წევრად.

გაზაფხული ზეგანზე *

მაღლენა სამზარეულოს ტილოთი ხელს საჩქაროდ იმშრალებდა. მთელი ტანით მზად იყო გაფრენილიყო იქით, საიდანაც სტვენით უხმობდნენ. ის-იყო გასვლა დაპირა, რომ მამა შემოვიდა.

— მოღი აქ, — უთხრა მამამ, — წაიკითხე, იულიასაც დაუძახე.

ღია ფანჯრიდან გაზაფხული იჭრება, აყვავებული ნუშის ხეებს იქით, შორს სივრცეში ლურჯი მთები მოსჩანს და იქ დაბლა, ძელქვებ-შივა, ოლივი უსტვენს.

— აი, მუღამ ასეა... — ამბობს მაღლენა.

— როგორ ასეა? — ეკითხება მამა.

— არაფერი, მომეცი წერილი.

ძმის წერილს გამოართმევს და ფანჯარას დახურავს.

*) ორი თავი უან უიონის რომანიდან — „დიდი ფარა“.

— იულია! — ეძახის მამა.

რძალი შემოდის. მთელ კარს აცემს თავისი ჯანმრთელი ტანით, რომელიც თავიდან მშვენიერ ფეხებამდე ჭარბაცებასაცით არის გამოკვეთილი. თეძოებს კაბა გამოუტერია. იულია ხელს გადაისვამს შავ თმაზე, რომელიც ქოთის ფსკერზე დარჩენილ ზეთივით ბრწყინვადს.

— წერილი მივიღეთ, — ამბობს მამა, — მადლენა, ხმამალლა წაიკითხე.

თვითონ ჯოხზე ეყრდნობა და საღ ყურს მიუშვერს. იულია ფანჯრას მინებში იცქირება, სადაც გაზაფხული, მთები თა აყვავებული ნუშის ხე ებია.

„ძვირფასო ცოლო, ძვირფასო მამავ!“

— რა რიცხვი აზის?

— 22 მარტი.

„ძვირფასო ცოლო, ძვირფასო მამავ!“

გაცნობებთ ჩემს აშბაგს, რომელიც ამჟამად სავსებით სანუგეშოა. თვენგან რომ ამანათი მივიღე, ლაშქრად ვიყავი. ხომ იცით, რომ გზაში ყოფნა ჩემს ფეხებს არ უხდება. ამის გამო დავიცადე. გმადლობთ ძეხვებისათვის. ერთი წაჭერი გადამდნარი ღორის ქონი უნდა გამომიგზავნოთ ფეხებზე წასასმელად. ფეხები ისე მაქს, როგორც შინ მქონდა. ერთ საათს ვერ ვივლი ისე, რომ არ დამიზიანდეს. ფლოსტების მიღების შემდეგ კიდევ არა მიშავს-რა. დაბრუნებისას ვიცვამ. მხოლოდ შიგ წყალი ატანს! ამ დღეებში ჩემი ბიძაშვილი მარიასაგან ღია ბარათი მივიღე, რამაც ძალიან გამახარა. განსაკუთრებით იმან, რომ ვხდავ ცხოვრებას კარგი მხრით ითვისებს. მინდოდა მეპასუხნა, მაგრამ მისამართი ცუდად დაუწერია, სულ მოუთხუპნია, შეუძლებელია გარჩევა. თუ ფერმა გამოიცვალა, შორინს ჩამოვა. კარგად ვიცნობ. გახსოვდეთ, არ ათხოვოთ ჩემი ორსაკვეთიანი გუთანი. თვალი უჭირავს მაზე, ხომ იცით, დაბრუნებაზე...

— მოიცა, — ამბობს მამა და იულიას მიუბრუნდება. — სიტყვამ მიატანა, გუთან მოხდევ?

— კავით და სახელურებით არის ჩამოკიდებული, — უპასუხებს რძალი, — დავათვალერერე, ხის ნაწილები არა აქვს მორყეული. თითქმის თვე იქნება, რაც რეინას საზეთის ნალექს გასხამ.

— კარგად მოქცეულხარ, რადგან მალე დაგვჭირდება. მარია სენ-ფირმენშია, არა?

— დიაჭ, შოვინიერში, სენ-ფირმენთან.

— განაგრძე!

„მაინც და მაინც აქ მხიარულად ვერა ვართ, მაგრამ რას იზამ. ოლონდ შინ მშვიდობით დავბრუნდეთ. ამას წინათ თოვლი მოდიოდა. ახლა წვიმს გადამდნარი ღორის ქონი არ დაიციწყოთ. ძვირფასო ცოლო, იმ ფერმაში; სადაც ამას წინათ ვიყავით, მიწის გასანოუიერებლად ღორის ნაკელი გამოუყენებიათ: ჩემი თვალით ვნახე, პატარა მცენარეების ძირში რომ აყრიცნენ. ვუთხარი დასწვავს-მეთქი. არაო, მიპასუხეს მხოლოდ შარდი სწვავს. ღარი გაუკუთხებიათ ნაკულ-ჭეშ შარდის სადგნად. ისე კარგად შეიძლება.“

ლება მისი გამოყენება. ჩვენი სექტორი ცუდი არ არის, ტერიტორიული ნაწილი შევცვალეთ. თუ კაცი რაიმე სისულეებს არ ჩაიდენ, მშვიდად იქნები. ის პერპიანელი, რომელზედაც გწერდით, სანდლების ფაბრიკაში რომ მუშაობდა, გუშინ მოჰკლეს, მაყრამ თავისი ბრალი იყო. მე ასეთებს არა ვგავარ. მითხრეს, მალე შეიძლება დიდ ბრძოლაში მოგხვდეთ. ადგილს ვერ დავასახელებ. გაზეთებიღან თვითონ უნდა გაიგოთ, რის თქმაც მინდა. მხოლოდ ნუ შეშფოთდებით. ჯერ კიდევ დანამდვილებით არაფერი ვიცით. ბოლოს და ბოლოს ეს ყველასთვის სავალდებულოა. ჰმ! კიდევ ერთი რამ უნდა გითხრათ: გავიგე ერთი ვალანსოლელისაგან, რომელიც კოლონის საკავშირო ნაწილში მსახურობს, რომ ბონეს შვილი მოუქლავთ. დედამისს ეტკვით, რომ მისი მწუხარების მონაწილე ვარ. უნდა გითხრათ აგრეთვე, რომ დიდი მშიშრები ხართ: კაზიმირის ფერმა ხელიდან გაუშვით; როცა იყიდებოდა, უნდა შეგეძინათ, თუგინდაც ბალახ-ბულახით დაფარულიყო. თვითონ კაზიმირს რა დაემართა? როგორც მატყობინებთ, ოლივიე ფრონტზე გაემგზავრება. ამ შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებთ. ახალგაზრდები მუდამ სისულეებს ჩადიან. შეიძლება მოჰკლან; ესეც არ იყოს, რადგან მხოლოდ პაპა და დედა რჩება, შეიძლება მათ მოისურეონ თავიანთი მიწის გაყიდვა ფერდობის ძირში. ეს ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება. სწორედ იქა გვაქვს მიწის ნაჭერი, რომელიც ჩვენთვის დაკარგულია, ამრიგად კი მას შემოვარგვალებდით. მამაჩემო, ამას ყურადღება მიაქციე, თვალი გეჭიროს. როგორც ოლივიე ფრონტზე წავა, ნაკვეთი დაათვალიერე, რომ თვითონ დარწმუნდე... მოსწერი მეტი არაფერი მაქეს. გვიცნი, ჩემო დაო მაღლენა, და, რაც გითხარი, კარგად გახსოვდეს. ის მე არ დამვიწყებია.

გეხვევი შენ, ჩემო ძვირფასო ცოლო და მამავ.

„უოზეფი“.

იულია ამჟამოხრებს. შადლენა წერილს ჩაბალს გადასცემს. ივრ კრისტელ კიდევ დაჰკეცავს და წინსაფარის ჯიბეში ჩაიდეს.

— მართალია — ამბობს მამა, — ვერ მოვისაზრეთ. ახლა თვალი გარდეტზე უნდა გვეჭიროს. დღეს ოლივიეს აქ ყოფნის უკანასკნელი დღეა. მოგვიანებით წავალ მიწის დასათვალიერებლად.

იულია შექრთა, მამამ ლაპარაკი შესწყვიტა და რძალს გადახედა.

— მერიის გზირი უკვე მინდვრებშია, — სთქვა ჩაბალმა.

— ვისთვის? — ამბობს მამა პირმოკუმულად.

— ამ, როგორ მიძგერს, — და იულია ხელს გულზე დაიდებს. — ჩვენს კარებს გაუსწორდა, მაშინ მე... გარეთ გამოსული რომ დამინახა, ხელით მანიშნა: არაო.

— მაშ გინ?

— არტურ ბუსონადი.

— არტური! — ამბობს მამა. — ის ზორბა ვაჟკაცი! ფელისის ქმარი? რომელმაც ისე კარგად იცოდა ვაზის დამყნა? რომელიც ჰექა-ქუხილიან წელიწალს დაგვეხმარა? ის მშვენიერი ვაჟკაცი?

— ჰო, — ამბობს იულია, — ის. ფელისი მარტოკა რჩება პატარა ბავ-
შვით!

— მოშე ჩემი ჯოხი, — ამბობს მამა, — იქ მივდივარ. მარტოხელა ქა-
ლია. მარტო ასეთ მწუხარებაში. ამ მშვენიერ დღეს. რა ბინძური დრო და-
გვიღება.

ჯოხს იღებს; მიღის, ფართოდ გააღებს კარებს გაზაფხულისკენ.

შუბლით ფანჯარის მინაზე მიყრდნობილი მადლენა მამას გასცერის. ის
კი, რაც შეუძლია, მიიჩქარის ბუსონადებისაკენ.

— რამდენი მკვდარი იქნება! — ამბობს იულია.

— რამდენი მკვდარი იქნება! — იმეორებს იგი. — არც გჯერა, რომ ეს
შესაძლებელია. არტური! ხომ გახსოვს, მადლენა?

მადლენა ტირის ფანჯარას მიყრლნობილა.

— ყველას მოელის ეს, — ამბობს იულია, — დღეს ერთს, ხვალ მე-
ორეს. ჩვენ კი ამას, როგორც საჭიროა, ვერ ვუფიქრდებით.

იულია ბოსელში ბრუნდება.

ფანჯრის მინა მადლენას შუბლს უცივებს. მინას ცრემლები დაედინა
და თითქოს ნესლით დაიფარა. ყველაფერი ის, რაც გაშლილ სივრცეში
მოსჩანდა — ჯეჯილი, აყვავებული ნუშის ხეები, მერცხლები — ცრემლე-
ბისაგან ამღვრა, აღარ მოსჩანს, ყველაფერი ეს თრთის. არტური! იგი მა-
ხლობელი არ იყო, მაგრამ მისი ამბის გაგებაც ატირებს. ასეთი მშვენიერი
გაუკაცი! კარგი ტანადი. რა ლამაზად იცინოდა. არა, ყველაფერი დაიბუ-
რა, წაიშალა, აიმღვრა...

ფანჯრის გაღებაა საკმარისი, რომ ყველაფერი ისევ ნათლად გამოჩ-
ნდეს: ნუშის ხეები, ჯეჯილში საზამთროსავით მრგვალი ჩრდილები. ეს
თითქოს წყალში გაგრილებული ქარი. ტულიპი, მერცხლები, ნუშის ყვა-
ვილები, რომლებიც ცვიდა. გარეთ რომ გახვიდე რძის დასალევად, თასი
მაშინვე ყვავილებით აგევსება, ვერც კი მოახერხებ შებერვას. ასე
სვამ და ყვავილებს პირში კბილებით აკავებ. როდესაც დალევ, ყვავილე-
ბის ლეჭვას შეუდგები, მწარე წყლის გემო აქვს.

ჰოდა, ჩვენ რომ მუდამ სიკვდილზე არ ვფიქრობთ, ღმერთო, ამას ოდ-
ნავი გამართლება მაინც აქვს.

უერომი სწორედ გზაჯვარედინზე დაეწია მერიის გზის. იქიდან ხეებს
შორის უკვე მოსჩანს ბუსონადიანთ ფერმა.

— ალბერიკ, დამიცადე. — უძახის.

გზირი შესდგება. არაფერი აქვს საჩქარო. აქ უკვე ისმის, როგორ ეძა-
ხის ფელისი ქათმებს.

— ჩერი სიარული იცი, — გუბნება მოხუცი, — ქლოშინი ამივარდა.

— ვითომ? მე კი მეგონა, ნელა მივდიოდი, ასეთი ნაბიჯი მაქვს, ერთ-
ნარი ყოველთვის.

— როგორ შიდის საქმე? — ვკითხება უერომი.

— რომელ საქმეზე მეკითხები?

ალბერიკი თავს მიიბრუნებს და ნუშის ხეებს უცერის.

- ჯუ-ჯუ-ჯუ! — იძანის სადღაც ხეებს უკან ფელისი...
- ურზეცასაგან კარგი ამბები მოგდით? — ეკათხება ალბერტიკა
- სწორედ დღეს დილით მივიღეთ წერილი.
- ბედისწერა. — ამბობს ჩუპარ ალბერტი.
- შენ რა... — გაუბრედაფად იჭყვას ლაპარაკს უეროში.
- მე... ჰო, კიდევ ერთი!
- არტური?
- არტური.
- წყეულიმც იყოს ბუნება!
- ბუნებას რას ერჩი? უნდა გეთქვა: წყევლა-კრულვა ჩვენ.
- წყეულიმც ვიყოთ, თუ ამა გირჩევნია. მავრამ ასე თქმას ჭარ დაჩვეული.
- არტური! რაღა სწორედ ას? ასეთ ვაჟუაცს მეორეს ვერ ნახავდი, ვატიოსანს; მერე რა მუშავი იყო! რა მუშავი! ამის შემდეგ, შენ გინდა, რომ არაფერი ვთქვა!
- ეხლა თქმა რას გამოგადგება, ეს ადრე იყო საჭირო. ეპ! უერომ, ეს ერთიანია ჩემი ცხოვრება ცხოვრება აღარ არის, ყოველდღე ამ ქალალ-დებს ვხედავ. ყოველ დღე! აქედან, იქიდან. პირველ ქალალდებში მედი-ცური სიტყვები ეწერა: „სამშობლო! დიდების ასპარეზი!“... ვიცი... მერიკ ჩვენთან ერთად დადიოდა. ახლა ამის სათქმელად ვის აუტოკრება ენა!?
- ასე, ყოველ დილით ვათვალიერებ, თუ ქალალდები არ არის, თავს ვეუბნები: „აი, საცაა მოვა, საცაა მოვა:“ მთელ დღეს ვკანკალებ. თუ ქალალ-დები უკვე მოსულია, ყოველთვის თავს ისე ვგრძნობ, თითქოს სასკლაოზე მივდიოდე. აი ასე ვშოულობ თითო-ოროლა გროშს, ასე ვშოულობ ლუკმა-პურს. ასე ვშოულობ გამხმარ პურს, რომელიც გულს მირევს!
- წარმოუდგენელია, წარმოუდგენელი, გეუბნები. როდესაც ასე მივდივარ, ვიცი, რაც მოხდება. ხალხს შეჩვეული ვარ. ვიცნობ. ჩემ თავს ვეუბნები: „არსენთან მიდითას. თ შეხვალ: იქ დედა იქნება, ცოლიც ბაკანთან. ვხედავ ყველაფერს ამას, როდესაც კარებს შევაღებ, ცოლი მობრუნდება, რომ დაინახოს, ვინ შემოდის. და მე მხედავს, მე! ეს სწორედ ასე ხდება — შევდივარ მე...“
- საზიზლარი ბედისწერა!
- აჲ, უერომ, ლანძლე ბედი, რამდენიც გინდა. თუნდა ხვალამდე... როგორ მოვიქცე, მე თითონ აღარ ვიცი. აი შევდიგარ. აი დამინახეს. ვდევარ მათ წინაშე, ისინიც დგანან ბალახივით მწვანე ტუჩებით.
- მერს კუთხარი ეს. მიპასუხა: „ამასობაში, მეგონა, შეეჩვეოდიო!...“
- ამის შეჩვევა? არა, ეს შეუძლებელია, ეს იმდენად არაბუნებრივია, არაბუნებრივი.
- ფელისი ქათმებს საკენტს უყრიდა. თვალი მოჰკრა. მისკენ მიმავალთ, ერთ წუთს შედგა, თვალი ხელით იჩრდილა, რომ უკეთ დაუნახა. ალბერტიკი იცნო. ერთბაშად ხელი გაუშვა სიმინდით. სავსე წინსაფარს და გაფანტულ მარცვლებისათვის ქათმებმა ომი გამართეს. ქალმა სირბილია გადალახა მოჩეუბარი ქათმები და სახლში შევარდა.

უერომი და ალბერტიკი, თავდახრილები, ბებრული ნაბიჯით უახლოე-
დებიან სახლს. შედიან. ქალი უკვე ყველაფერს მიხვდა. ნახევრად მაგიდა-
ზე წაწოლილს, ცხვირპირი ფიცარზე მიუჰყლეტია. მუშტებს მაგიდას
ურტყამს:

— არა! არა! — გაიძახის ქალი.

ექვსი პატარა ბიჭია ფერმიდან, ერთიც გოგონა, მათზე ოდნავ უფრო-
სი: „ხელმძღვანელი“.

მასწავლებელმა ქალმა უთხრა: „მარი, შენ ყველაზე უფროსი ხარ,
ესენი გააცილე, ყური უგდე. რაღან, ხომ ხედავ, იმის შემდეგ, რაც
მოშოვილა“...

— მე მიგიყვანთ სახლში. — მოესმა ბავშვებს სკოლის მოედნიდან
გასვლისთანავე.

— მე შენთან ერთად არ ვცხოვრობ, — უთხრა ალბერტმა.

— თითოეულს თქვენგანს თავთავის სახლში მივიყვან, — დააზუსტა
მარიმ, — მე ყველაზე დიდი ვარ.

— აბა დამეტოლე, — სთქვა ალბერტმა.

— ჯერ თუ ვინმე სისულელეს ჩაიდენს, ვეტყვი მასწავლებელს, მე-
რე მაგარ სილას გავაწნავ. პიერ, ნუ სტირი.

ასე აარეს აღმართი ზეგანისაკენ. გზაზე ვინც შეხვდებოდათ, ხმამაღ-
ლა მიესალმებოდნენ: „დილა მშვიდობისა, ბატონო! დილა მშვიდობისა,
მაღამ!“ და ეს ძალიან აცინებდა ყველას.

შემდეგ მარიმ ალბერტს ორჯერ უთხრა:

— სილას გაგაწნავ.

ასეც მოიქცა. ბიჭი ქლიავის ხესავით შეანძრია. ალბერტი ბინძურ სიტ-
ყვებს ამბობდა. გოგოებს ნაწნავებს უწერწავდა. სილა რომ იგემა, ძალლი-
ვით დაპკვესა თვალები.

— ასე. ახლა დაწყნარდები.

ზეგანზე რომ ავიღონენ, პატარა პოლმა წამოიძახა:

— ტულიპი, ტულიპი!

დაიწყეს სირბილი.

— ტულიპი!

— ზოლებიანი!

— წითელი!!

— ყვითელი!

იმდენი დააგროვეს, რომ იძულებული გახდნენ დამსხდარიყვნენ და
ისე გაეყოთ. წერისაგან ყველას თითები გაუმწვანდა. ანდრე თითებს
იწუწნიდა. კიდევ სილის გარტყმა შეიქნა საჭირო.

— ვერ ხედავ, ჩომ საწამლავია?

— ტკბილია.

ცხვირსახოცით გაიწმინდეს თითები; თაიგულები გაიკეთეს და გზა
სიმღერით განაგრძეს:

საყვარელო პატარებო
ლამაზო ტულიძებო

სიმღერას ფეხი ააყოლეს და გზის დიდი ნაწილი ასე გაიარეს.
მზე კაშკაშებდა. ორუბელთა ჩრდილები მსხილფესა საქონლის ჯო-
ვივით მიღიოდა მინდვრებზე.

ხანდახან ჩრდილი გზაზედაც გადაივლიდა. მაშინ ჩამობნელდებოდა
ხოლმე. ერთი ან ორი დიდი წვეთი ჩამოვარდებოდა: მტვერში ტყაპანს
გაადენდა და თქ ბურთულად რჩებოდა. მაშინ პატარები ცხვირს ზევით
აიშვერდნენ, რომ ორუბლისათვის შეეხედათ.

- შეხედე, როგორია!
- ცხენსა ჰგავს.
- ძროხას.
- თხას.
- ორუბლის ხეს.

მზე კვლავ ჩნდებოდა, რადგან ჩრდილი ჩქარა მიღიოდა, არაფერს
დაგრდევდა, გორაკებს ზედ თავზე გადაუვლიდა, თითქოს თხუნელას სო-
როებიათ.

კიდევ დასხდნენ. ნარგიზებისათვის. მათ უკვე ჰქონდათ ნარგიზი, ტუ-
ლიპი, ია, ვარდგვირილა და ბალხი სიმწვანისათვის.

პატარა პოლს კელაპტარივით ეჭირს თაიგული, მჯდომარეთ გარს უვ-
ლიდა და მღეროდა:

- ომი! ომი! ომი!

გულიანად ოცინეს შერცხლების გამო: ანტუანეტის ეგონა — ბუზის-
ვით დავიჭრო. როგორც კი მერცხალი ჩაუქროლებდა, პატარა ხელს მო-
კუმშავდა ჰაერში, თითებს რომ გაშლიდა, გაშტერებული რჩებოდა.

- ამ ღრის შორისნელი უერომი მოვიდა.

- რას აკეთებთ აქ? — იყითხა, — სკოლა?

- ყველამ ერთხმად უპასუხა:

- სკოლა, სკოლა...

- მარიშ აუხსნა:

— მასწავლებელმა გვითხრა: წადით, დღეს სწავლა არ იქნებაო, რად-
გან შეატყობინეს, რომ მისი ძმა მოუკლავთ. პო.

- აქ არის პოლ ბუსონადი? — იყითხა უერომმა.

- აქა ვარ! — წამოიძახა პოლმა.

— წავიდეთ, — უთხრა უერომმა. — მომეცი ხელი, დედა გეძახის.
უვავილები გადაყარე; წამო, ჩემო პატარავ!

* * *

— პო, — ამბობს ოლივიე, — ამ სალამოს ერთხელ კიდევ მინწოდა
უკანასკნელად თხები გამერეკა და შენც მენახე. ვერ გაიგონე, ამ დილით
რომ გისტვენდი?

— როგორ არა, გავიგონე, — ეუბნება მადლენა, — სისხლი თავში ამიგარდა, ახლაც ვგრძნობ, ვფიქრობდი: ნეტავ მიხვდეს მეოქი. სწორედ მაშინ, როდესაც უსტვენდი, მამამ წერილი შემოიტანა, უნდა წაგვეითხა. შენ კი უსტვენდი!

ბინდიდება. ოლივიეს თხები ანეულშია. მას ახლა ცისფერი დრა-ფის, ჯარისკაცის შარვალი აცვია, წვივებზე ტილო აქვს შემოხვეული. პერანგის ამარაა. აწეულ სახელოებიდან წითური ხელები უჩანს. კიდევ შერჩენია ხუჭუჭა თმა, რომელიც მოკლედ შეუკრეპიათ. მადლენა ფეხებზე შემოხვეულ ტილოს უცჭერის.

— რა დაგიხვევია, ცხენს მიგიგავს ფეხები.

— მოსხერხებელიც არის, — ამბობს ოლივიე.

— მადლენა, — მიმართავს ივი, — ეს უკანასკნელი საღამოა.

— უკანასკნელი საღამოა. — იმეორებს მადლენა.

— ახლა ვინ რეს, როდის...

მადლენა ოლივიეზე რონავ დაბალია. ქვემოდან შესუქერის. წაბლის-ფერი თმა აქვს, რომელზედაც მუდამ დაფრიალებს ფრთასავით გაშლილი ქერა ქოჩორი, თვალები ისეთი აქვს, მთლიანად მოსჩანს მათში მადლენა. ახლა ამ თვალებში ცრემლია დაგუბებული.

— ჩემო მშენიერო! — უთხრა მადლენამ.

ფუნთუშა ტუჩები აუთრთოლდა. ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

ფერდობზე ჩამოსხდნენ. თხების პატარა ზარების წყარუნი ისმოდა. ოლივიემ მადლენას ხელი დაუჭირა. პირდაპირ იცქირება სივრცეში და თვალებში ღრმად აქვს დაფარული ყველაფერი, რაზედაც ფიქრობს. ეს გულჩათხრობილი ადამიანი ყველაფერს თავის გულში ინახავს და თხელ ტუჩებს მხოლოდ მეგობრობისა და სიყვარულის სიტყვებისთვის ხსნის. შავ ხუჭუჭა თმას ქარი უბიბინებს.

— მადლენა, მინდა გითხრა... თუ გრძნობ, რომ მოცდა შევიძლია, მოზიცადე.

— ოლივიე; სხვანაირად შეუძლებელია. სხვები ჩემთვის არ არსებობენ.

— მინდა გითხრა, რომ ჩვენ აჩაფერი ვიცით... გახსოვს საღამო, ვარ-ლებიანი კალათა, როდესაც შენს ხელს შევეხე... იმ საღამოს შემდეგ ჩემთვის ყველაფერი გადაწყვეტილია. შენთვის?

— ჩემო მშენიერო, ჩემთვისაც გადაწყვეტილია... მარტო სურვილით საქმეს ვერ უშველი. სულ შენზე ვფიქრობ, ყოველთვის შენთანა ვარ. ვხედავ შენს თვალებს, ვხედავ შენს სიცოლს. ვკონიდი ჩემ ხელს. რომელზედაც შენ მაკოცე. ამ ბოლო დროს, როდესაც შენ ბრიანსონში უყავი, მოვდოოდი იქითკენ, ვიცქირებოდი მთებისაკენ. ჩემთვის ვამბობდი: „იქ არის... მაღლა... მაღლა!“ ცა მოწმენდილი იყო, როდესაც იქიდან ქარი ჭროდა, ვამბობდი: ეს მისი ქარის-მეოქი.

ასე ისხდნენ ბორცვზე. ოლივიეს მხოლოდ ხელი მოეხვია მადლენა-სათვის წელზე.

შემდეგ ვაუმა თხებს დაუძახა, პატარა ფარის გზაზე თავი მოუყარა და გაირეკა წინ ფერმისაკენ. ნეკი ნეკზე გადაებათ და ფეხაწყობილად მიღიონდნენ. ქელქვების საზღვართან შეჩერდნენ. იქ გზა იყოფოდა: ერთი გარდეტისაკენ მიდიოდა, მეორე შორანისაკენ.

— ამ სალაშოს, — ამბობს მადლენა, — ჩვენ, იულია, მამა და მე ფელისსთან მივდივართ, ღამე უნდა ვუთიოთ უგვამო მიცვალებულს.

— დედაქემიც მიღის, — ამბობს ოლივი.

— შეც მოდი, — ეუბნება მადლენა, — მოდი, ერთხელ კიდევ გნახავ იქ.

— შუალამისას მივემგზავრები, — ამბობს ოლივი, — ქვეითად; ბაბუასთან ერთად, რომელიც დურანსამდე მიმაცილებს.

— მოდი, — ეუბნება მადლენა.

— მოვალ.

ვაუმა მიმავალ ჭალს თვალი გააყოლა. მადლენა მობრუნდა, რომ გა მომშვიდობებოდა, ხელი დაუქნია. ოლივის მანამდე არ მოუშორების თვალი, სანამ მადლენა აყვავებულ მსხვილ ნუშის ხესა და სალაშოს არ მოეფარა.

მშვენიერი ვარსკვლავიანი ღამე იყო. მსუბუქი, მაგრამ ძარღვიან ქარს ცა მოეწმინდა.

— ჯერ შეც, — ეუბნება ბაბუა ოლივის დედას. — ოლივი გა რეთ დასტოვებს თავის ჯარისკაცის ჩანთას და ჯოხს. არ ვარგა მიცვალებულთან ცოცხალი ადამიანის ტვირთით მისვლა.

— ყველაფერი ეს იქ დასდე, ბზეზე, — ეუბნება ბაბუა: — ბოთლი დადგი, ჯოხი კი კედელზე მიაყუდე. წასვლისას ხელის ფათურით მივაგნებთ, ეს სხვა ნივთების მოძებნას გაგვიადვილებს.

ფერმის დარბაზიდან ჩამიჩუმი არ ისმის. ხანდახან თუ ვინმე ჩახველებს.

— ახლა შევიდეთ.

დიდი დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. ყველაფერი გაუტანით: ბუ-ფეტი, კარადა, ვარცლი; კედლებთან სწორზურგიანი სკამები ჩაუმწერი-ვებიათ. ამ სკამებზე სხედან ცარიელ დარბაზში, კერა ჩაუქრიათ, ნაცარი მოუხვეტიათ და იქვე შუა ადგილას დაუგროვებიათ იმის ნიშნად, რომ ცეცხლი აღარ ანთია.

შუა დარბაზში სდგას გადაუფარებელი მაგიდა, სრულიად ცარიელი. ზაგიდის ოთხივე კუთხეში გრძელი ყვითელი კელაპტარი ანთია.

ყველა ზეგანელი აქ არის. ყველანი მოსულან: მოხუცი მამაკაცები, ქალები, ქალიშვილები, უძრავად სხედიან უძრავ სკამებზე. ხმას არავინ იღებს. თოთქმის სიბნელეში არიან. შესცემიან ცარიელ მაგიდას და სანთლებს, რომელთა შუქი ეფინება მუხლებზე დაწყობილ ხელებს. ხანდახან ვინმე ჩახველებს.

ფელისს შავები ჩაუცვამს. სამგლოვიარო ტანსაცმელი მუდამ გამზა-დებული ჰქიდია განჯინაში: შავი ქვედატანი, შავი თეთრიწინწკლებიანი

ზედატანი და თავზე წამოსახური შავი იჩიბანა, რომელიც ერთბაშად აბე-
რებს. მოსხანს მხოლოდ ფელისის ღაწითლებული ნამტირალევი და სიმ-
წარით მოკუმული დიდი ტუჩები.

ქვრივი კარებთან დგას და მომსვლელების ხვდება.

— მონაწილე ვართ თქვენი მწუხარებისა, ფელის, — ამბობს ბაბუა.

— ღიღად გმაღლობთ, — უპასუხებს ფელისი.

პატარა პოლი მის გვერდით არის, საგარეო ტანისამოსში, გულზე დი-
დი ლურჯი ბანტი აქვს. მისთვის თბი დაუსცელებიათ და გვერდზე გუ-
დაუფარცხნიათ.

— ღიღად გმაღლობთ! — ამბობს ისტკ.

მოღიან და მოღიან ზეგანელნი. ისმის გარედან მათი ფეხის ხმა, საუ-
ბარი, ხოლო კარტის რომ უახლოვდებიან, ლაპარაქს სწყვეტენ, ფელისი
უცდის კარებთან, გაშეშებული, ჩაშავებული. შემოღიან. ჭირივი ხელს
უწვდის.

— მონაწილე ვართ თქვენი მწუხარებისა.

— ღიღად გმაღლობთ!

— ღიღად გმაღლობთ! — ამბობს პატარა პოლიც.

შემოღიან, სხდებიან ფერმის ღიღად დარჩაზში გაცივებული კერის გარ-
შემო, უძრავნი, მღუმარენი და ლამეს უთევენ მიცვალებულს, რომელიც
იქ არ არის.

ფელისი მაგიდის კუთხესთან ჯდება. პატარა პოლიც დედის გვერდით
პატარა სკამზე შესკუპდება. მისი ფეხები იატაქს ვერ სწვდება.

ბლედშოდელი მოხუცი მართა ადგა და ფელის მიუახლოვდა.

— მარილის ქოთანი გაქვს? — ჰეითხა.

— ყველაფერი მზად არის, იქ, — და ფელისმა კურაზე მიუთითა.

მოხუცი მართა მიღის ქოთნისთვის. დაბრუნდა მაგიდასთან. გაჩერდა
ფელისის მახლობლად, მხოლოდ მეორე მხარეს. ეს ორი ქალი უდგას თავ-
თან მიცვალებულს, რომელსაც ლამეს უთევენ. ყველა რაღაცას მოე-
ლის... ხველას იკავებს. ღიღი, მძიმე ღუმილი მოიცავს ყველას...

— ჩეენ ლამეს ვუთევთ ომში დალუბულ არტურ ამალრიკის აქ არ
მყოფ გვამს, — აცხადებს მოხუცი მართა. — დეს, ყველამ მეგობრულად
შემოიკრიბოს ფიქრები იმის გარშემო, ვინც იყო მარილი დედამიწისა...

ქოთანშრ ხელს ჩაჰყოფს, ჰეშვით შუა მაგიდაზე მარილს გაღმოილებს
და ერთად თავს მოუყრის. მერე კაბის კალთის ქვეშიდან გამოილებს ზე-
თისხილის კურკებისაგან გაკეთებულ კრიალოსანს და მაგიდასთან დაიჩო-
ქებს.

კვლავ მძიმე ღუმილი ჩამოვარდება.

— ოჳ, ჩემო არტურ! რა ვაუკაცი იყავი!

წამოიძხებს ფელისი და გაშეშდება. შავი ირიბანდან წინ იცქირება.

— ოჳ! ჩემო არტურ! რა ვაუკაცი იყავი... მეუბნებოდი: თავს კარგად
მოუვარეო. ოჳ! აი ახლა შევიძინე ის, ვინც ჩემზე ზრუნავს და მანამდე
იზრუნებს, სანამ არ მოვკვდები.

— დეტ, ყველამ მეგობრულად შემოიკრიბოს ფიქრები იმის გარშემო, ვინც იყო მარილი დედამიწისა, — ბუტბუტებდნენ ზეგანელნი.

ოლივიე თვალებით მადლენას დაეძებს. იქ არის, მეორე მხარეს. მას შემოსცქერის. ოლივიე ხელავს, როგორ ატოკებს მადლენა ფუნთუშა ტუჩებს, თანაგრძნობას გამოსთქვამს. თვალებში ცრემლები უბრწყინავს. ოჯარ თითონ ოლივიემაც გაიმეორა:

— დეტ, ყველამ მეგობრულად შემოიკრიბოს ფიქრები...

ახლა კი სღუმის. ქალ-უაჟი ერთმანეთს უცქერის. ტუჩები მოუკუმავთ. ქალი ტირის, უსიტყვოდ, იქ, მოშორებით.

ოლივიე თავიდან ფეხებამდე ჯარისკაცის ტანისამოსშია გამოწყობილი. იგი განწესებულია, სადაც არის წავა. მადლენას რომ შეხედოს, მისი თვალი ცარიელ მაგიდას უნდა გადაევლოს, მიცვალებულის მარილის პატარა გროვას, რომელიც სანთლებს შორის ბრწყინავს.

ვაჟს თითქოს ესმის, როგორ შრიალებს მადლენას კაბა, როდესაც ის ბალახში დადის. მე რომ ვყოფილიყავ ნათურა, ფიქრობს ოლივიე, ნათურა, ეს მაგიდა, ნეზვი—დამტოვებდნენ. ძალლი რომ ვიყო, დამტოვებდნენ. ძალლი რომ ვიყო...

— ოქ, ჩემო საბრალო არტურ! — მოსთქვამს ფელისი. — ვერასოდეს ველარ გნახავ. სამუდამოდ გაემგზავრე და არასოდეს აღარ დაბრუნდები. საწყალო, რატომ ახლოს არ ვიყავ, რომ შენთვის თვალები დამეცუჭა. საწყალო, სადღაც მიწაზე მოკვდი მარტო, მხეცივით, როდესაც შენი ოჯახი ყველაფრით სავსე იყო, და ასე მიყვარდი. სწორედ მაშინ, როდესაც ცხოვრებას ვიწყებდით.

— დეტ, ყველამ მეგობრულად შემოიკრიბოს ფიქრები —

იქ, მოშორებით, ტოკავენ მადლენას ფუნთუშა ტუჩები.. ეტყობოდა, რომ წარმოსთქვა:

— ოლივიე!

ბაბუამ ანიშნა. ოლივიე წამოდგა. სწორედ მაშინ, როდესაც სიჩურე ჩამოვარდა, ფელისი ოლივიესკენ მიბრუნდა და ნამტირალევი თვალებით უსიტყვოდ შეხედა.

— ნახვამდის, დედა, — ამბობს ოლივიე.

— ჰო, შვილო, — თავის დახრით ემშვიდობება დელფინა:

ბაბუა და ოლივიე ფელისს უახლოვდებიან. ქალი ფეხზე დგება. ოლივიეს ხელს გაუწოდებს.

— ნახვამდის

ბაბუა ფელისს ხელს ართმევს.

— თქვენთან ერთად მეც ვწუხვარ, — ეუბნება ქვრივი.

— დიდად გმადლობთ! — უპასუხებს ბაბუა.

ოლივიე ყველას გადახედავს და ასე გამოემშვიდობება.

ირგებლივ ყრუ ქვითინი ისმის, იგონებენ წინათ წასულებს. ტირილში მოისმის სახელები:

— ჩემი საწყალი ეანი!

— ბარტელემი!

— ანდრე! ჩემი საბრალო ანდრე!

— მშვიდობით ყველას! — ამბობს ოლივიე.

მადლენასაკენ გაიხედავს: ქალი იმისკენ მოიწევს აცრემლებული თვალებით:

ოლივიე გამოსამშვიდობებლად ხელს ასწევს და ზურგით კარებისაკენ იხევს.

— დე, ყველამ მეგობრულად შემოიკრიბოს ფიქრები იმის გარშემო, ვინც იყო მარილი დედამიწისა! — კიდევ იწყებს მოხუცი მართა.

* * *

— ამოილე ბოთლი, — ამბობს ბაბუა სიბრელეში, — დალიე. ოლივიე ბოთლს პირზე მიიყუდებს.

— მეც მომეცი, — ეუბნება ბაბუა.

— ახლა გავსწიოთ.

დურანს მიაღწიოს. ვაკეზე, ტირიფების იქით, მოსჩანდა საღვურის წილადი და მწვანე შუქი.

— მე აქედან დაებრუნდები, — ამბობს ბაბუა: — მოიცა, კარგად შემოგხვდო.

მანთურა აანთო სიბრელეში გაიელვებს პატარა შრგვალი შუქი და გამოჩნდება ორი ერთმანეთისაკენ გადახრილი სახე.

— გახსოვდეს, რაც გითხარი, — ეუბნება ბაბუა: — რაც საჭიროა, იმაზე მეტს ნუ გააკეთებ. მთავარი ის არის, რომ ცოცხალი დაბრუნდე.

სინათლე ჩაქრა. სიბრელეში დარჩნენ. მაგრა ჩაეკვრნენ ერთმანეთს.

და მაშინვე ოლივიეს ფეხის ხმა მიწყდა, რადგან რბილ გზას გაჰყეა. ლამე ისეთი იყო, თითქოს არაფერი ის მომხდარიყოს...

პირველი ტავ

ოლივიემ შემოსულს შეხედა.

ეს იყო საბარეულოს ჯარისკაცი, მაღალი ტყავის საცვეთებით და ტალახით დამძიმებული. შემოვიდა ფარავის ფრიალით, იღლიაში ტირიფის სახრე ამოედო. ხელებს იფშვნეტდა.

— ბერტა! — დაიძახა. — იცი, გარეთ რა ციფა, რა ცუდი ამინდია!? სად დაიკარგა ის ქალი? მოიტა ცოტა მაგარი, ერ, ნათრევო!

ჯარისკაცი ღუმელს მოუჯდა. თავისი სქელი ბარკლები თითქმის შემოხვდა. მაუდი აუბოლდა. წითური კაცი იყო, მთლად ბალნიანი, დიდლოყება, ქშინავდა, ულვაშებს იწუწნიდა.

ბერტამ არაყი მიუტანა. ჯარისკაცმა რბილ აღგილას ხელი ჩაავლო.

— ნერვიულია ბერტა, — სთქვა ჰან. — ნერვები და ძვალია; სწორედ ეს არის კარგი.

— თავი დამანებე, — შეუტია ქალმა.

ქალი ფრთხილად იკლაქნებოდა, არაყი რომ არ დაეღვარა. ჯარისკაც მა თავისი დიდი თავი ქალის თეძოებისაკენ წაიღო.

— მიყვარს, როცა ტლინქებს სევრიან. თუ შენი ბრიგადირის გულის-თვის იქცევი ასე, დამშვიდდი, ას დღეს გათენებისას ბარში გაიპარა.

— ლორია და მეტი არაფერი! ის ვინ არის ის. — სთქვა ბერტამ.

ქალმა თავი გაინთავისუფლა. ნაცრისფერი ტუჩები თითქოს დიდ დაღლილობას ცოხნდნენ.

ჯარისკაცმა ოლივიეს შეხედა.

— შენი სადღეგრძელო იყოს! — უთხრა და გადაჰკრა.

— რომელი ასეულიდანა ხარ? — ჰკითხა შემდეგ.

— შესავსებად მივდივარ.

— რომელ მხარეს?

— ველისაკენ.

ჯარისკაცმა ოლივიესკენ მიიწია. თვალი ჩაუქრა და სამზარეულოს გახედა, სადაც ქალიშვილი ჭიქებს წყალს ავლებდა.

— არ დაიჯერებ, — უთხრა ოლივიეს, — ხანდახან ასეთი ბუზღუნა ქალიც კი ცხოვრებას ამშენიერებს. მაგრამ აქაც კოხტა ბიჭიობაა საჭირო. ჯერ საბარგულის უფროსი ჰყავდა, უნტერ-ოფიცერი, ახლა კი ბრიგადირი. ყოველთვის დაკავებულია... ხომ გესმის?

მოესმათ გაჭენებული ცხენის ფეხის ხმა. ჯარისკაცი წამოხტა და კარი გაფლო.

— დომა! დომა! — დაუყვირა, შესდექ, შე ვირისთავო!

ის კი გაჭენებულ ჯორზე მჯდომი ხელებით რალაცას ანიშნებდა და ბარისკენ უთითებდა. რალაც სიტყვებს ისროდა. რომლებიც გზის ხმაურობაში იკარგებოდა. მის უკან ცარიელ ბრძონებს რაკა-რუკი გაჭონდათ.

ოლივიე გარეთ გავიდა. სამიკიტნოს კარი მიიხურა და უკანასკნელად იგრძნო ზურგზე სითბო. საჭურდელი. ამძიმებდა.

— გავსწიოთ... — სთქვა თავისთვის, — დაღლილობა დავსძლიოთ.

თან კასრის სალტის ოდენა ჰორიზონტი მიჰქონდა, იმს იქით კი ნისლი იღვა.

ვიღაც მხედრები მინდორში უხმოდ მიდონდნენ, თხოვის მისცურავენ, ჯერ რუხად მოსანდნენ, მემრე შავად, შემდეგ ისევ რუხად, ბოლოს უეცრად ჩამოშვებული ნისლის განიერმა საფარმა უჩინარი გახადა ისინი, ბრეზენტგადაფარებული ორთვალა ურმები მიგორავდნენ. ქარისაგან ზურგი ებერებოდათ. დაკლაკნილ გზაზე წელოსიპედისტები კალიებივით დახტოვნენ.

გზის ორივე მხარეს, აღმართ, სწორი და უდაბური მინდვრები იყო. ისმოდა როგორ ჩიფჩიფებდა თავისთვის ტალახი. იქით, სილრმეში, შეიძლება, სოფლებიც იყო. სქელი ყავის სუნი მოდიოდა.

ნისლს გადაღმა, თითქოს მღელვარე ზღვა გუვუნებსო, ყრუდ კვნე-
სოდა დედამიწა უზარმაზარი საბარგულების სიმძიმის ქვეშ.

ჩაიქროლა არტილერიის ბატარიამ, იგი ნისლს მიაპობდა.

ოლივიე თხრილში ჩაცურდა. ტომრის სიმძიმე მხარში დანასავით
ჩაერჭო.

— მურტალნო! — დაიღრიალა.

უკვე შორს წასული ბატარია თავის რეინის მუხლებზე დახტოდა, სად-
ლაც წინ, ნისლის ნაფლეთებში, რომლებიც ყუმბარის ყუთებს, ურმის
თვლებს, არტილერისტებს და მათრახებს მიჰკროდა.

ერთიხანია უკვე ნაკელის ძლიერი სუნი იგრძნო. ისმოღა ჭიხვინი,
პარკის ცხენების ფეხს ბაკუნი, ადამიანთა ხმა, ყვირილი; დარბილებულ
რეინას ურო ურტყამდა, გრდემლზე რაკუნი გაჰქონდა; ხვედები ხის პა-
ლოებს მწყობრად ეცემოდა. მინდვრების რბილ ტალახში უგზოდ მიმა-
ვალ თხოვალა ურმების ღერძების ჭრიალი ისმოდა.

უქცრად წითელი ალი ამოვარდა. ბოლითა და ნისლით მობურვილი
იგი სქელ ჰაერში ძალან მაღლა ხტებოდა. იქ წითელ გუნდად შეცრუ-
ლი რჩებოდა, მუხლებთან ნიკაპმიტნილი, შემდეგ წყნარად ისეც დედა-
მიწაზე ფეხებს უშვებდა, თითის წვერებს დაჰკრავდა და ქვლავ ცაში
ავარდებოდა. მის გარშემო მსხვილი შავი მარწუხებით ხალხი დარბოდა.

— ასწიეთ, ასწიეთ! ქვემოდან ამოსდევით მაშები. ყველამ ერთად,
ყურადღება, აბა, ჰა!

ამოიღეს ცეცხლიდან თვალის გაფარვარებული სალტე და წაიღეს
კვამლისა და ნაპერწკლებში.

ცეცხლმა ცეცვა შესწყვიტა. ცისფერ მსხვილ ხელებს მიწაზე აფათუ-
რებდა.

მიჯნის ბოძი ტალახით იყო დაფარული. კაცი ვერ გაიგებდა, წინ
ველი იყო თუ არა, და რა მანძილი რჩებოდა იქამდე.

ოლივებმ ტომარა სველ ბალახზე დაუშვა.

ნისლი ოღნავ შეთხელდა. თითქმის არაგათარი ხმაური არ ისმოდა,
მხოლოდ დედამიწა კვნესოდა და ალვის ხე თავის ფოთლებს აშრია-
ლებდა.

მინდვრებს ყოველ მხრივ განიერი ბრტყელი ფრთები გაეშალათ.

ის კაცი იქვე იყო, მინდორში. დროგამოშვებით შეჩერდებოდა, ირ-
გვლივ იციარებოდა, შემდეგ კისერგაწვდილი მიდიოდა წინ, სადღაც.

პატარა ხეს მიუახლოედა. დახედა. მისკენ დაიხარა. ხელი შეახო. ეფე-
რებოდა ხის მთელ ტანს, თან გულდასმით ათვალიერებდა.

ეტყობოდა თავისთვის ჩუმად რაღაცს ლაპარაკობდა, თავს ნელა აქ-
ნევდა, თითქოს ამბობდა: არა, არა-ო!

— ეი! — დაიძახა ოლივიებ.

კაცმა თავი ასწია და გამოხედა. ერთხელ, კიდევ შეახო ხელი ხის
მთელ ტანს და ამის შემდეგ გადასწყვიტა ოლივიესთან მისვლა.

— არტილერისტი ხარ? — ჰყითხა და გზაზე გადმოვიდა.

— არა, — უპასუხა ოლივიემ.

— მაშ საბარებულიდან იქნები?

— არა, — მიუგო ოლივიემ. — მგონი 140-იდან უნდა ვიყო.

— 140, 140? — გაიშეორა კაცმა ყრუ მულერი ხმით, რადგან მთს
კილოზე ლაპარაკობდა. — მაშ ჯორს ხეზე შენ აბამ?

— არა.

— ეგ არ უნდა ჰქნა, განა არ იცი?

— გეუბნები, არ შიქნია, ეს-ეს არის მოვედი.

— კარგი, მაგრამ მაინც ეს არ შეიძლება, არა! რამდენი ხანია, ამას
ვამბობ, მათ კი ეს მხოლოდ სიცილს ჰგვრის. შენც გეცინება?

— არა, — ეუბნება ოლივიე. — არა! მეც ვიცი, რომ არ შეიძლება:
ჯორი ქერქსა სჭამს.

— მაშ იცი, იცი?!.. — სთქვა გაკვირვებულმა კაცმა.

მას წყალივით ანკარა, თითქმის უძრავი თვალები ჰქონდა. მისი გა-
მოხედვა გულის სიღრმეს სწვდებოდა.

— ჰო, ვიცი. — უთხრა ოლივიემ.

— მაშ მომეცი ხელი, ჩემო ბიჭიკო, — მიმართა კაცმა.

ეს უიარალო ჯარისკაცი იყო, მოკლე ხალათიანი, ყვითელ ქამარ-
შემორტყმული. მძიმე გულმკერდს რომ შეარხევდა, აირწინალის კოლო-
ფი თეძოზე სცემდა.

— რა გვარი ხარ?

— შაბრანი, — უპასუხა ოლივიემ.

— მე, რეგოტაზი ვარ, — სთქვა კაცმა, — მეც 140-იდანა ვარ.

ხალათის მაგარ საყელოზე ქიმიურ ფანქრით ნომერი ჰქონდა აღ-
ნიშნული.

— მეც იქიდანა ვარ, გეუბნები. ცოტა გავისეირნე. ახლა უკან
ვბრუნდები.

ერთად გასწევენ. ველი აქედან, ალბათ, ათი კილომეტრის მანძილზე
იქნება.

გზაზე ნიავს ხისა და სოკოს სქელი ძლიერი სუნი შოჰქონდა.

მარცხნივ, იქვე გზასთან მეორე ბანაკი გუგუნებდა. ცხენი ჭიბუანებდა
და ნალს ფიცარს ურტყამდა.

— ოჳ, ოჳ! მოუჭირე ლაგამი, — გაპეიოდა წვრილი ხმა. ლაგამს ჩხა-
რა-ჩხური გაჰქინდა. მებუკემ ორჯერ თუ სამჯერ დასცა საყვირი. მე-
დოლე დაკვრას სცდილობდა, მაგრამ ჯოხები ერეოდა.

— ოჳ, ოჳ! მოუჭი, მოუჭი.

ფეხს ხმაზე ეტყობოდა, რომ ცხენთან ორი თუ სამი კაცი იყო.

— მოუჭი ხახას, — ჩუმად სთქვა რეგოტაზმა, — კიდევ რას გინდა
მოუჭირო?

ტექნი ახლა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჭირვინებდა. მუცელში ფეხს სცემზენ, რომ გაეჩერებინათ.

ნისლში აბოლებული დიდი წიფელა გამოჩნდა. ფოთლებზე წყალი ეცემდა. მოისმოდა ფეხების ტყაპუნი ტალახში. იქ, ბალაში ნაკადული შიჩხრიალებდა.

ტყე იყო მათ წინ გადაშლილი, მძიმე ბნელი ტყე, რომელიც ჩუმად იღრინებოდა.

შესდექ! — ამბობს! რეგოტაზი, — ეს ხომ ტყეა, ბიჭიკო, მოიხსენი შენი ტომარა, მომეცი. წამოვიდებ. მოშეცი. შენი ტომარა, თორემ ამა-ლამაც ვერ დავბრუნდები. ჩემთვის, — განავროთ რეგოტაზმა, თან მხრებზე ტომარა მოირგო, — ეს აუცილებელია, რომ გზას არ აცილე დაჰყნოს ცოტა. გრძნობ ამ სუნს? მოიცა... გასმის, გესმის! აი იქ, იქ.

ბუჩქებში რაღაც ნადირი გაინაბა, შემდევ ხმელ ფოთლებში გაიქცა.

— მელა, გეუბნები... ყური დაუგდე, რა ხმაური ასტეხა. გეუბნები, ეს რაღაც ნიშანია, ბიჭიკო. მე მხრებზე ტვირთი მჭირდება: ეს ჩემ ნა-ბიჯე ანელებს და გზას მაკრავს. შენს გვერდით ვრჩები და ასე ვბრუნ-დები; უამისოდ, ჩემს თავს კარგად ვიცნობ, ისევ ბალახისაკენ გადა-ვუხვევ.

ჰაერი დაიწმინდა. ფოთლებს იქით ცხოველის მოხაზულობა გამოჩნდა. აწყვეტილი ტექნი ტალახში ხის პალოს მიათრევდა. მოწმენდილ დღეში რაღაც მოცისფრო სინათლე იყო.

ქარისაგან დაფლეთილი ნისლი იფანტებოდა.

— მურტალნო! — სთქვა. რეგოტაზმა.

ტალახში ქერქის დიდ ნაფლეთს ათვალიერებდა.

— ხედავ, ეს მურტალნი ხეებს რას უშვრებიან?

ტომრის მოხსნა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

— არა, სთქვა, — გავსწიოთ, ბიჭუნავ!

ხალათის სახელოები გადაიწია, პერანგის სამაჯურის ლილები გარესნა და ტიტველი მელავები გამოაჩინა.

ხელი დიდი ჭრილობისაგან დასახიჩრებული ჰქონდა.

რაც უფრო ლრმად შედიოდნენ ტყეში, მით უფრო მეტი სიწყნარე იყო: საბარგულების ხმაური, რომლისგანაც დედამიწა ზამზარებდა, და ცის გრიალი ტყეში თანდათან მიყუჩდა. ისმოდა მხოლოდ ტოტების რე-ზა, შორეული ყეფა, მამლების ყივილი, წყლის წვეთების დაცუმა და ნის-ლის მსუბუქი გაშრიალება ფოთლებში გავლის დროს. ჩიტი გალობდა, ფრთას ფრთას სცემდა, ფოთოლი ვარდებოდა და მისი სხვა ფოთლებზე დაცემის ხმა მოღიოდა. ტყის ტოტებგაშლილი დიდი მკერდი ნელა აღ-ოდა და დაღიოდა.

ხანდახან გზის მარჯვნივ ან მარცხნივ ვიწროდ გაჩეხილი ბილიკი გა-ისხნებოდა პირდაპირი, თითქოს წალდის ერთი მოქნევით გაუჩეხიათო, და ნისლისაგან გათეთრებულ ტევრთა სივრცეში იყარგებოდა.

რეგოტაზმა ნაბიჯი შეაჩერა

— მოთხარი, ბიჭიკო, შენ ხომ გვინდია, რომ მე გრძელ ვარ? — არა, — უპასუხა თლივიემ.

აღამიანს შეხედა: მის ნათელ თვალებში შიში იხატებოდა და ცუდი ლობდა თლივიეს თვალებში ამოეკითხა ის, რაც სიტყვებს იქით იშალებოდა.

— არა, არა მგონია. შენ გალაპარაკე, თორემ მეც შენსავით კფიქ რობ. მეც მიწის მუშა ვარ, მეც. ჯერ კიდევ შენსავით ხნიერი არა ვარ, მაგრამ მეც ვერჩვევი ბევრ რამეში. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ამის გაეგბა, რეგორიზმა ამოიხსრა და გზა განაგრძო.

— ეს მეტისმეტია, ბიჭიკო, ჩემთვის, — ამბობს, — და შეიძლება შენ-თვისაც მეტისმეტი გახდეს, რადგან, თუ გინდა მათქმევინო, ეს ბოლოს და ბოლოს აუტანელია; შენთვისაც აუტანელი გახდება. ამიტომ ხანდახან ჩემს თავს ვეუბნები: „ემილ, გიურ ხარ!“ სად გაძეცევი, ხომ გესმის? სად გაიქცევი, როდესაც შენი ხვედრი ასეთია და ეს ხვედრი კიდევ ათკეც-დება? გულში ვამბობ: არა, არა! მეტი არ მინდა, მეყოფა, ამის ზიდვა აღარ შემიძლია, მეტის ატანა აღარ შემიძლია, მე მხოლოდ აღამიანი ვარ. და მაინც სულ მტვირთავენ და მტვირთავენ. გვეყოფა მწუხარება! გვე-ყოფა მწუხარება! გესმის? თავი როგორ დავალწიოთ?

ტირიფი მძიმე ნამს ნელ-ნელა აფრქვევდა ბალახზე...

— ათეულში ჩემთან არიან ფრედერიკი და ლუი ბუტი და შევრჩ სხვა. იქ კიდევ სამციტნოში, არმდენიც გინდა; მაგრამ თუ გინდა, გითხრა? გეტუვი, გატყობ, გამიგებ: გულდამპალი ხალხია. და ეს არც მათთ ბრალია. შეიძლება, წინათ ნათელი გზით მიღიოდნენ. შეიძლება ხანდახან მთვრა-ლივით გზას ასცდებოდნენ, მაგრამ მაინც თავიანთი გზით მიღიოდნენ. ახლა კი გულდამპალი ხალხია, და უბედურება ის არის, ბიჭიკო, რომ ასინი ცუდი კაცები არ არიან. არა, მაგრამ თუ მათთან დიდხანს დარჩი, შენც წახდები. არ ვიცი, გითხარი თუ არა: მე ხს მჭრელი ვიყავი მა-ლალი მთას ტყეში; ისეთ საჩეხში, სადაც ტყის მცველები არ არიან; იქ თუ კაცს გონება და თავშეკავება არა აქვს, შეუძლია სრულიად დაუს-ჯელად მთელი ტყე გაპკაფოს. მაგრამ აღამიანს გონება და თავშეკავება აქვს. და ასე ვუთხარი ჩემ თავს: ეს ხეები?

კურდლელმა ორი ნახტომით გზა გადასჭრა.

— ეს იმ დღეს დაიწყო, ვაშლის ხეებქვეშ რომ ფიყავი: ბალახში სა-ბანზე ვიწევი. ტოტის ზედა ნაწილს ღია ფერი ჰქონდა, ქვედა ნაწილი კი სულ გაშავებულიყო სინესტისაგან.

ვერდენის მხარეს დიდი გუგუნი და ხმაური იყო. ყავისფერი სიბნელუ. ხანდახან უეცრად ალი ავარდებოდა, როგორც ნახშირის საწვავ ორმო-დან. ამბობდნენ, ხელახლა სალაშერლიდ გვეზავნიანო. სწორედ ამ დროს ლუი დამთვრალიყო და ცილის სურათი დახნია, შემდეგ თავისი პატარა გოგონასი, ნაკურწებად ქცეული სურათები გადაეყარა და ეთქვა: „ჯა-დაბას ყველაფერი“. კარებთან აყუდებულა, ფაზროდ, მტირალი, ბინ-

ძური. ხომ გითხარი, რომ ტოტს ლია და შავი ფერი ჰქონდა მეთქა შემ-
დეგ ტოტი ზევით უხვევდა და დღის სინათლეზე გადიოდა.

ამ ხეს უქაშიოდე ფოთოლი ძლიეს შერჩენოდა. ასეთი მცირე ტვირ-
თიღა დარჩენილიყო ამ უზარმაზარი ხის ტანზე.

ის ხმადაბლა ლაპარაკობდა. ტომრის სიმძიმესაგან სუნთქვა უჭირდა.

— თამბაქო გაქვს? — შეეკითხა. — მომეცი ჩიბუხისათვის.

— თუ გინდა, მთელ შეკვრას მოგცემ! სამი მაქვს ჩანთაში.

— მეც უნდა მქონდეს იქ, ზემოთ, მარსელს ჩემთვის უნდა გადაედო.
გუშინ არიგებდნენ. ხომ იცი, ორი დღეა, რაც წამოვედი.

— მერე, არ დაგსაჯეს?

— არა, მიცნობენ. უთქვამით: „რეგოტაზი?“ „ჰო, ის გიუი“. „როდე-
საც დაბრუნდება, გამომიგზავნეთო“. მეტი არაფერი. უკანასკნელად აი
აქ გამკრა რაღაცამ (მკერდზე ხელი დაიღო), თითქოს გორაკის მეორე
მხრიდან მეძახიანო. „ჰო“, ვუპასუხებდი. „ოჟ! რეგოტაზ“, — მეუბნებო-
და. — „ახლა უფრო ცუდად არის საქმე“. მაშინ წავედი იქ, საღაც არა-
ვინ იყო. იქ, გაჩვენებ, საყდრის უკან. გაუსტორდი იმ ადგილს, საიდა-
ნაც ხმა მოღიოდა და ვუპასუხე: „ჰო, აქა ვარ, ჰო, ჩემო მშვენიერო
ტყეო, აქა ვარ! რა გინდა ჩემგან, ჩემო მშვენიერო? ჰო, აქა ვარ“. და
მუდამ მეშმოდა მისი ძახლი: „რეგოტაზ, რეგოტაზ, ემილ!“ დილით, მი-
მავალ ოთხთვალაზე შეეტტი. ამაზე მეტი ნისლი იღვა, ვიღრე ახლა. ბიჭი,
რომელსაც ცხენი მიჰყავდა, არ ჩეარობდა. ორი მეტრის მანძილზე არა-
ფერი მოსჩანდა. ჩემი გული თანდათან იკურნებოდა.

„რეგოტაზ!“ — მეძახოდა იჯი მუდამ.

„ჰო, მოვდივარ, ხომ გითხარი“.

უეცრად ბიჭი მუხრუჭი მოსწია და ოთხივე თვალი შეაჩერა. გაშტე-
რებული იცემირებოდა. ეს იყო დიდი, ზორბა ტანი, გზის გასწვრივ გა-
წოლილი: „ძველო, — მითხრა, — რა არის იქ ჩვენ წინ?“ „მე უკვე მო-
ვედი“ ვუპასუხე, გულში კი ვამზობდი: „ჰო, ჩემო მშვენიერო, მე აქა
ვარ“.

„გასწი“, — ვუთხარი ბიჭს, — „გასწი, ნუ ღელავ. ეს ტყეა“.

ბილეჭს დავადეჭი და ტყისაკენ გავსწიო.

ტყის ბოლოს უახლოვდებოდნენ. დღე განათდა. ჭართან ერთად რეხი
ფართო სინათლე დაჭქროდა. ხეებს იქით ბალახის ზღურბლი მოსჩანდა,
შორს კი, სილრმეში გაგრძელებული გორაკი.

ამ სინათლის კარებში ხმაურობა იჭრებოდა, რომელიც ტყეს დაეხშო;
დიდი საბარეულის გუგუნი, კის ზარზარი, ყვირილი, ძახილი, — და ყვე-
ლაფერი ეს ყოველ ნაბიჯის გადაღვმაზე ახლოვდებოდა, ცხლად სუნ-
თქავდა, პირდაღებული ნაღირის ხახასავით.

მოულოდნელად ტყეს გასცდნენ.

ქვემოთ, ხევში, დიდი სოფელი იყო, აქერცლილი, მინდვრებში
ბრტყლად გაჭირებული. ხალხი ფუსფუსებდა. ალვის ხეებქვეშ, მკვდარი
არხის ნაპირზე აცტომობილების გრძელი საბარეულები ქშინავდნენ. ერთი

პატარა ორთქლმავალი ბზის ზეინებს შორის ვაგონების კუდს ანძრეცდა; ნერვიულად პატარა ფეხებს ატრიალებდა, ხტოდა, სტვენდა, ბალახებში იფურთხებოდა. მეორე ორთქლმავალი ხის მასალით დატცირთული ვაგონებით მშეიღად უცდიდა პირველს და დროგამოშვებით დაწჯად სტვენდა.

ბრეზენტგადაფარებული ფურგონების საბარგული ნაბიჯით მიღიოდა გორაკის თხემით მიმავალ შარაზე. ქვედა გზაზე მწყობრად მიღიოდა ჯარისკაცთა რაზმი. მან უკვე მიაღწია სოფლის ქუჩას. სოფელში საყვირების ხმა გაიშოდა. სახერხი მანქანა ლალ სიმღერას ამბობდა, მუშაობის დროს ორხმიანს, მძიმეს, ხოლო მუშაობის შედეგ, როდესაც ხერხის პირი თავისუფლად დასრიალებდა, — ერთხმიანს.

იდგა მოჭრილი ხეებისა და ნახერხის მეუკვე სუნი და რაღაც საეჭვო სიტქბო, რომელიც დამპალივით ედებოდა ენას...

ტყისაკენ მსუბუქი ავტო წამოვიდა: წითელი ჯვრის ავტომობილი იყო, ძალზე დატვირთული. მან სწრაფად ჩაიჭროლა, გამოჩნდა მწოლა-რე დაჭრილთა ფეხსაცმელები.

ფერდობზე ერთი ავტობუსი წვალობდა. ოლივიე მობრუნდა და თვალი გააყილა. უკანა ბაქანზე უკიდა გატყაცებული და სისხლიანი ხარის მთელი მეოთხედი, რომელსაც ტალახის შეფეხი ხვდებოდა.

— ხედავ, ჩემი ხეები, — სუქვა რეგოტაზმა, — ხედავ, ბიჭიკო?

სახერხის წინ, ჯერ კიდევ ქერქგაუძრობელი, ფოთოლშერჩენილი, წვრილტოტებისანი ხეები უყარა.

— აბა შეხედე ერთა...

ტალახში ეგდო მუშტის ოდენა ხორცის ნაჭერი, შავ-წითელ სისხლ-ში მოსვრილი. ბოჭკოებზე პატარა თეთრი ლორწო მოჰკიდებოდა. საღვერდზე კიდევ შერჩენოდა მიწებებული დოლბანის ნაჭერი.

ოლივიემ ტყისაკენ გაიხედა. იქიდან მსუბუქი სანიტარული ავტომობილისა და ავტობუსის ძრავების გუგუნი მოისმოდა. ოლივიე ხარის ხორცის დიდ ნაჭერზე ფიქრობდა.

— შეიძლება აღამიანის ხორციც იყოს, — სთქვა რეგოტაზმა. — შეიძლება. განა გასაკვირია, რომ ეს ნაჭერი საკაციდან გამოვარდნოდა ნაკუწებად ქცეულ ადამიანს, რომელსაც საკუთარი ხორცი გზაში ეპნევა საკაცის ქანაობაში, ხომ მიხვდი?..

და რეგოტაზმა თავისი ზორბა ტანი სანიტარულ ავტომობილიცთ მარჯვნივ და მარცნივ დაარწია.

თარგმანი ფრანგულიდან ირ. ქავეჯარაძისა.

ბოშები

ანმაურებით ბოშების ურდო
 ბესარაბეთის ტრამალებს სერავს,
 დღეს მდინარესთან ბინა აქვთ მყუდრო,
 დაძონდილ კარავს ანათებს კერა.
 მხიარულია აქ ღამის თევა
 და ღია ცის ქვეშ სიზმრები კარგი;
 ურმების შორის ბანაკი თბება
 გადახურული ძველი ფარდაგით.
 ანთია ცეცხლი; ოჯახი აქვთ
 ამზადებს გახშამს და ტრიალ ველზე
 აბალახებენ ულაყებს ნაქებს,
 ნაჩვევი დათვი ნებივრობს მზეზე.
 უდაბურ ცელებს ავსებს ხალისით
 მშვიდობიანი ღიასახლისი,
 ახალ მგზავრობას მუდამ რომ ელის,
 ბავშვთა ცელქობა ღასაძრახისი
 და რაკა-რუკი სამგზავრო გრდემლის.
 აპა დაეცა ბურუსი არეს,
 თითქოს სიზმარი მიღამოს ნებავს,
 მხოლოდ ველების სიჩუმეს არლვევს
 ცხენთა ჭიშვინი და ძალლის ყეფა.
 სუყველგან ჩაჰქრა კერაზე ცეცხლი,
 მხოლოდ მთოვარე ლაუვარდში ათევს,
 ცის სიმაღლიდან სხივები ვერცხლის
 მყუდრო ბანაკზე ფანტავდა ნათელს.
 მოხუცს უხდება ღღეს ღამის თევა,
 ის ჩამომჯდარა კერის პირად,
 უკანასკნელი ნაგვერცხლით თბება,

შორეულ ველებს გასცერის ხშირად,
 ლრუბლებს გაწოლილს უცნაურ მთებად.
 მისი ნორჩი და ძეირფასი ქალი
 ღლეს სასეირნოდ წავიდა მარტო,
 მას თავისუფლად ნავარდი ართობს,
 ის მოვა, მაგრამ მზის ჩაჰერა ალი
 და მალე მთვარე დასტოვებს ზეცის
 ლრუბლებს, გაწოლილს შავად გარშემო.
 ზემთვირა სად ხარ? ძლივს ბჟუტავს ცეცხლი,
 ციქლება მამის მცირე ვახშამი.

* * *

უცებ გამოჩნდა, ზემთვირას ახლო
 ის ხედავს ჭაბუქს იერით თამამს;
 მოხუცს ასეთი ბოში არ ახსოებს;
 და ქალი ამბობს: ძეირფასო მამა,
 ვპოვე კურგანთან ეს ვაუი ნორჩი
 და დავპატიუე კარავში იგი,
 როგორც მოითხოვს წესი და რიგი;
 ამას სურს გახდეს ჩვენსავით ბოში;
 კანონი დევნის, როგორც მზაქვარი;
 მე მეგობრობა მინდა ამისი;
 ალეკო ჰქეია; ეგეც მზად არი
 წამომყვეს ცველგან დიდი ხალისით.

მოხუცი

კარგია... დარჩი და წახვალ დილით,
 იგემე ჩვენი კარავის ჩრდილი,
 და ან სულ დარჩი, ვიცხოვროთ ერთად,
 მზად ვარ, ჭაბუქო, შენთან ვიარო,
 პურიც და ბინაც გაგიზიარო,
 შეგვეჩვიე და მიიღე ცველა:
 ეს სილარიბე, ნავარდი ველად.
 ხვალ ჩვენი ურმით დავტოვებთ ბინას,
 როცა იელვებს ცისქარის მნათი.
 საქმეს აირჩევ, რომელიც გინდა:
 გინდა იმღერე, გინდ სჭედე რკინა
 და ან კარდაკარ იარე დათვით.

ალეკო

მე ჭრჩები.

ჩემი იქნება, ვიცი
მას ვინ წამართმევს და განმარიდებს?...
მაგრამ მთოვარე სხივებს ვერ ისერის,
ჩაფიდა, ველი დაპფარა ნისლით,
და უნებურად ძილი მარინდებს...

გათენდა. ნელა მოხუცი დადის
ამ გაყუჩებულ კარავის ირგვლივ.
„ზემფინა! ადექ, სხივები მარდი
თავზე დაგვნათის, დრო არის იგიც
ადგეს, დასტოვეთ ვნების ლოგინი“.

ხალხი იღვიძებს, ძილს ართმევს თავსა,
კარვები მოხსნეს, არ სურთ ლოდინი,
ყველა მზად არის გაუდგეს გზასა;
დაიძრენ, ურთი-ერთს აწვდიან ხმასა.
შეზავრთ უნაპირო უდაბნო უმზერს,
ფირებს ჰქიდია კალათი ზურგზე,
სად მხიარული სხედან ბავშვები.
მიჰყვება ბავშვებს ცოლ-ქმარი უკან,
ცირები, ვაჟი შავულვაშებით
და ვიღაც ბოშურ სიმღერას უკრავს.
დათვის ლრიალი და მისი ჯაჭვის
მოუთმენელი ისმის ხმაური,
დიდი, პატარა ტიტველა არი,
სხეულს ვერ ჰქიარავს ფერადი ჩვარი,
ძალლის ყეფა, აურ-ზაური
ჭრიალებს ლერძი, სტვირი დუდუნებს,
არევ-დარევა, ღარიბი ხედი,
ეს აღტყინებით აღსავსე ხვედრი
ისე არა ჰგავს ჩვენს ვნებას დუნეს,
ეუცხოვება ჩვენს ყოფა-ადათს,
როგორც მონების სიმღერა სადა.

ველებს გადაშლილს, ველებს უდაბურს
უცქერის ვაჟი, უხვევა სევდა,
და ვერ იძიებს და ველარ ბედავს
მოხვდეს კაეშნის მიზეზს უცნაურს.
მასთან ზემფინა დგას და ის არის
ქვეყნის მცხოვრები თავისუფალი.
მზე მიღამოებს სხივებით ავსებს,

ეხება მიწას შუალდის რულე;
მაშ რადა ტოკავს ჭაბუკის გული
და რა დარდები აღონებს ასე?

ჩიტუნიას აცალევით,
მძიმე შრომას გულს ვერ უდებს.
არ აქეთებს გაწვალებით
საუკუნოდ გამძლე ბუდეს.
ლამით შტოზე თვალებს ნაბავს,
როს იფეთქებს ღილის სხივი,
ჩიტი უსმენს ღვთიურ ამბავს
და ფართხალით ტკბილად სჭყივის.
გაზაფხული ტურთა ღრია,
ზაფხული სხივს აციალებს,
ავდარიც და წვიმაც მოაქვს
შემოდგომას ნაგვიანევს.
მოდის სევდა, მოდის ფიქრი,
ჩიტო, ჩვენთან ღაიცადე,
თბილ მხარეში მთების იქით
ის მიფრინავს გაისამდე.

მასაც, უდარდელ ფრინველის მსგავსად,
არ ჰქონებია სახლკარი არსად,
მუდამ დევნილი საზღვრების იქით
არ ეჩვეოდა არაფერს იგი,
გზა ჰქონდა სნილი მთაში და ბარად,
ყველგან შეეძლო გათევა ღამის
და დილიდანვე ყოველი წამი
უტარებია ღვთის ანაბარა.
და მის ცხოვრების უდარდო სუფრას
ვერ აშფოთებდა ცხოვრების შხამი...
უმშერდა ზოგჯერ დიდების ვარსკვლავს,
ხიბლავდა მისი უცხო ბუნება,
ზოგჯერ სტუმრებად მისულან მასთან
გულის ხალისი და ფუფუნება.
რომ ირხეოდა ღრუბლების ფარდა,
ეშუქრებოდა მარტოხელს მეხი,
ის უდარდელად უმშერდა ივდარს
და არც ლაუვარდის ხიბლავდა ეშხი.
სცხოვრობდა ასე: ბედი არ სწამდა
უსინათლო და ძულვისა ღირსი,
მაგრამ ო, როგორ სტანჭა, აწამა
ვნებამ მორჩილი არსება მისი;

କନ୍ଦମରୀ ଲୁହା ମରିଥାନ୍ତେ ତୁଳନା,
ଗଢାଗିରୀରୀ ତୁଳନ୍ତେ ରୂପଦେଖି!
ଗଢା ଲୋହ କେନ୍ତିର ଲାଭିଯାରିଲା ଅଛି,
ଏ ଗାଇଲୁହିଦେଖିଲୁହି, ଲାଭିପାରେନିତ.

ଶ୍ରେଷ୍ଠ ଗାନ୍ଧା

ଓ, ଦେଖିବାରି, ମିତିବାର ତୁ ନାନନ୍ଦ
ମାସ, ରାତ୍ରି ଲାଭିଲୁହି ଶେରି ସାମ୍ଭଲାମନନ୍ଦ?

ଶ୍ରେଷ୍ଠ ଗାନ୍ଧା

ମେ ରୁ ଲାଭିଲୁହି?

ଶ୍ରେଷ୍ଠ ଗାନ୍ଧା

ମେ ଅମିତ ପାଦିବିନ୍ଦି:
କାଳିଶି, ସାମଶିବଲାଲ, ମନ୍ଦିର ସାମନ.

ଶ୍ରେଷ୍ଠ ଗାନ୍ଧା

ହାତେ କୁରାରିଲା? ଶେରି ହନ୍ତି ପରିଲ୍ଲେ,
ଅମ ମନ୍ଦିରିଲୁହିଲା. ଶେରି ହନ୍ତି ଚିତ୍ତିଲ୍ଲେ,
ତୁ ରୁ କନ୍ଦମରୀ ଲାଭିଲୁହି ଜାଲାଫିଲୁ
ମନ୍ଦିରିଲା, ସାଦାତ୍ର କୁରିତ୍ତିକିରିଲୁ ପୁଣର୍ଯ୍ୟ
ପାରିଲୁହିଲୁହି ମନ୍ଦିରିଲୁହି, ଅମାରିତୁଲ୍ଲ ପୁଣର୍ଯ୍ୟଦେଖି
ଦୁ ଏହି ଦିଦିନୁହିଲୁହି ସାଦାତ୍ର ବାଲାବି;
ଶ୍ରେଷ୍ଠିରିଲୁହି କୁରିତ୍ତିକିରିଲୁହି, ଅଶିନ୍ତେବିତ ଏହିରି,
ତୁମିଲୁହି ପାରିଲୁହି ପାରିଲୁହି କିମ୍ବା
ଏ ପୁରୁଷିଲୁହି ମନ୍ଦିରିଲୁହି ଦେଖିଲୁହି
ଏହିକୁରିତ୍ତିକିରିଲୁହି ଦେଖିଲୁହି ଏହିକିରିଲୁହି,
ପୁଣର୍ଯ୍ୟଦେଖିଲୁହି ଶେରିଲୁହି ହେବାରିଲୁହି.

ଶ୍ରେଷ୍ଠ ଗାନ୍ଧା

କାଳାତ୍ମକ ତାଲି ଏହି ପାଦିବିନ୍ଦି ଅନ୍ତିମ,
ଏହି କୁରିତ୍ତିକିରିଲୁହି କାଳି ଦୁ କୁରିତ୍ତିକିରିଲୁହି,
ତାମାଶି, ଲାଭିଲା ଅନ୍ତିମ ନାନନ୍ଦିମ,
ତାମାଶି — ଏହିକିରିଲୁହି ମନ୍ଦିରିତୁଲିନ୍ଦି ତୁରିତ୍ତାଦ.

აბა რად მინდა ქალაქის ღელვა;
 იქ ტრუიალება ვერ ანთებს თვალებს;
 ასულნი... მაგრამ სჯობიხარ ყველას,
 თუმცა ვერ ვხედავ მაგ ბროლის ყელთან
 თვალმარგალიტებს, ფირუზს და ლალებს.
 ნუ შეიცვლები, გულის იარებს
 შენ გაგიმულავნებ, არ მინდა შეტა
 მხოლოდ, ძვირფასო, გაიზიარე
 სიყვარული და დევნილის ბედა.

მოხუცი

შენ შეგვიყვარე. თუმცა მდიდარი
 დედმამის მიერ ხარ განაზარდი;
 თავისუფალი ხშირად ნავარდი
 სწყენს, ვინც სინაზეს ნაჩვევი არი.
 თქმულება ერთი აქ დღესაც ისმის:
 რომ მეფემ, თითქოს გაღმოასახლა
 სამხრეთის შვილი, სასჯელის ლირსი,
 (უწინ ვიცოდი, არ მახსოვს ახლა
 ჩნელად სათქმელი სახელი მისი)
 ის იყო უკვე წლებით ხნიერი,
 შაგრამ ჭაბუკი სულით და ნაზი;
 ჰქონდა სიმღერის ნიჭი ძლიერი
 და ხმა ჩანჩქერთა ხმაურის შეგავს.
 აქ შეიყვარეს ბედით ნაცემი,
 დამკვიდრებული დუნაის პირად,
 არვის ერჩოდა და გატაცებით
 უსმენდა ხალხი მის სიტყვას ხშირად
 ვით მძიმე ტვირთი, ცხოვრება აწვა,
 იყო ბავშვივით სუსტი და მორცვა
 და მეზობლები, მოხუცის ნაცვლად,
 იჭერდნენ თევზს და მოპქონდათ ხორცი,
 როცა ჰყონავდა მდინარის წყალს,
 ზამთრის გრიგალთა ისმოდა ტაში,
 თბილ ბეწვეულით ჰმოსავდნენ მაშინ
 წმინდა მოხუცის შეცივნულ ტანსა;
 ზრუნვამ დაუხშო ხალისის კარი,
 ვერ შეეჩნა ამ ყოფას იგი;
 ხეტიალობდა ფერმკრთალი, მჟენარი,
 ამბობდა: მრისხავს უფალი ღილი.

თავის დაღწევა ცოდვისგან სურდა,
 შველას ელოდა მოხუცი მურამ
 და მოწყენილი ოცნებით სავსე
 ფიქრებს ანდობდა დუნაის ჭალას,
 და უსველებდა ცრემლები ღაწვებს,
 როს იგონებდა მშობლიურ ჭალაქს,
 და სიკვდილის წინ მან დაგვდო ვალად,
 რომ სამხრეთისკენ წაელოთ მისი
 ძვლები, მსურველი მშობლიურ მიწის,
 და გაეხადათ სამშობლოს ღირსი;
 ეს იყო მისი ანდერძი, ფიცი.

ალეკო

ჰა, რა ყოფილა შენ შეილთა ბედი,
 რომო, თ მხარევ მაღალხმიანო,
 მგოსანო ღმერთთა, მგოსანო ცნების,
 მითხარ ღიღება რასა ქვიანო?
 ეს არის გრგვინვა, ქების რაკრაკი,
 მამა-პაპათვან ნათქვამი ხშირად,
 ან თუ კვამლიან კოცონის პირად
 ბოშების მიერ თქმული არაფი?

გავიდა ორი ზაფხული, ველად
 კვლავ მომთაბარობს ბოშების კრება,
 და ძველებურად მოგზაურო ყველგან
 სტუმართმოყვარე ქვეყნა წვდება.
 როს განათლების დაპგმო ბორკილი,
 თავისუფალი ალეკოც გახდა,
 დარღით არ არის წელში მოხრილი
 და დღეს მხიარულს ატარებს ახლა.
 ბოჭათა ყოფის ჰქონდა მოთმენა,
 უყვარდა მათი კარვების ჩრდილი,
 ზარმაცობა და მუდმივი ძილი,
 მათი ღარიბი წკრიალა ენა.
 დათვი, რომელიც ბუნავს არ ეძებს,
 ბეწვაბურდული სტუმარი კარვის,
 თემშარას პირად, სოფლად და ველზე,
 სად მოლდავების გარემო არის,
 ხალხის წინაშე ბუზღუნებს, ხვნეშის,
 შძიშედ ცეკვავს და ღრიალებს თანაც,
 საბელზე ურტყამს კბილების დანას,
 მოხუცი აქვე ყავარჯნით ხელში

პელერებს დაირს ღუნედ და ჭანტად,
ალეკოს დაჲყავს სიმღერით დათვი,
ზემფირა გლეხებს ჩაუვლის კალთით
და გროშებს ყველა შიგ ნებით ფანტავს.
როცა ბინდდება, სამივე მაშინ
ამჭადებს, ხარშავს შეჭამანდს სელად,
იძინებს მამა, — კერასთან, კარში
სიჩუმეა და საოცრად ბნელა.

* *

მოხუცი მზეზე შეყინულ ძარღვებს
ითბობდა, თანაც ეხუჭა თვალი.
მღეროდა ტრობას აკვანთან ქალი,
უსმენს ალეკო, ვერ მალავს ნაღველს.

ზემფირა

შენ ბებერო, ჩემო ქმარო,
გინდ დამჭერ, გინდ დამწვი,
არც დანა და ალარც ცეცხლი
არ მაშინებს აწი.

მძულხარ, მძულხარ, ეს იცოდე,
შეზარები შენა,
სხვა მიყვარს და მეყვარება,
თუნდ დაღუმდეს ენა.

ალეკო

კმარა სიმღერა, დაჩუმდი ქალო,
ველურ სიმღერას არ გარ ჩვეულო.

ზემფირა

არ გიყვარს? მე რა, ამას არ ვნაღვლო!
სიმღერა ჩემთვის მაქვს შერჩეული.

გინდა დამჭერ, გინდა დამწვი,
შენ ბებერო, ჩემო ქმარო,
ვერ გაიგებ იმის სახელს,
ვინც მიყვარს და ვისით ვხარობ.

გაზაფხული ნაზი არი
და ზაფხულზე ცხუნარო,

ჭაბუქია და გულაძი;
ჩამიკონა გულთანაო.

კოცნით დავწევი, ვუალერსფ
მზე არ სჩანდა ცაში.
შხიარულად დავცინოდი
შენს ჭალარას მაშინ.

ალექს

დაჩუმდი, კმარა, ზემფირა, კარგი!

ზემფირა

სჩანს გაგიგია სიმღერა ახლა.

ალექს

ზემფირა!...

ზემფირა

მესშის მრისხანე ჰანგი,
სიმღერა შენზე ნათქვამი გაზლავს.
(მიდის და მიიმღერს: „შენ ბებერო, ჩემო
ქმარო“ და სხ.).

მოხუცო

მახსოვს, ეს ლექსი ჩემს გულს აკრთობდა,
მოგონილია იგი ჩემ დროში,
დიდიხანია, რომ გასართობად
შინა და გარეთ მღერიან ბოში.
სადღაც გაშლილა ველი — კაგულა,
როს იფრქვეოდა მთვარე ვერცხლად,
მღერიდა მაშინ მას მარიულა,
ბავშვიან აკვანს არწევდა ცეცხლთან.
წლები წასულნი აურ-ზაურით
გონებას ჩატარა მტერად და ნაცარად,
მაგრამ სიმღერა ეს უცნაური
ჩემ მოგონებას ჩაერცო მყაცრად.

ირგვლივ სიჩუმე. ღამეა. მთვარით
შემკობილია ლაშვარდი ზეცა.

ზემფირა მოზულს, ფეხზე ამდგარი,
აღვიძებს: მაშა, გულს ელდა მეტ
ქმრის მეშინა, წამომყე გარეთ,
ის ძილში კვნესის, ქვითინებს მწარე.

მოხუცი

იყავი ჩუმად. ნუ ეკარები.
გამრგონია რუსთავან თქმული;
რომ ლამით ხოლმე დაზულ კარებით
შემოტის მავნე და ღვთისგან კრული,
შეხუთავს კაცსა და მერე დილას
წავა, გაჰქრება. აქ იჯექ ფრთხილად,

ზემფირა

გესმის? ჩურჩულებს იგი: ზემფირა

მოხუცი

ის შენ დაგეძებს ფხიზლად და ძილშიც,
არვის აფასებს. ის შენზე ძვირად.

ზემფირა

დღეს მისი ტრფობა მძულს და ხელს მიშლის,
გულს სურს ნავარდი, მომწყინდა მასთან.
მე უკვე... ჩუმად, აი ხომ გემში,
სხვის სახელს ამბობს და აწვლის ხმასა.

მოხუცი

ვისი. სახელი?

ზემფირა

ჰა, როგორ კვნესი
კბილთა ხრჭიალით გულშემზარავით!
სჯობს გაგაღვიძო.

მოხუცი

ჩემდა, აჩავინ
არ უნდა ახლოს ხელი და თვისი
გაჰქრება მავნე.

ზემფირა

ის გადაბრუნდა,
აღგა, შეძახის და რალაც უნდა...
მშეიღობით, მამავ, ხმა არი მისი:

ალექო

საღ იყავ, ქალო!

ზემფირა

მამასთან, აქვე-
ბოროტი სული გტანჯავდა ძილში
და დამხობილი იყავი თავქვე,
შენმა შემყურებ ვიგრძენი შიში,
მესმოდა შენთა კბილთა ხრქიალი
და მეძახოდი.

ალექო

სიზმარში გნახე,
თითქო ჩეენ შორის იდგა ტიალი...
ოცნება ბნელი მიგებდა მახეს.

ზემფირა

სიზმრის ნუ გჯერა, მაცდურის ტყვილის.

ალექო

ეჭ, არაფერი მე აღარ მჯერა
აღარც სიზმარი, ალექსი ტებილი
და აღარც შენი გულმკერდს ძეერა.

მოსუცი

გცუ ჭაბუკო! რაისთვის ღელავ
და განუწყვეტლივ რაისთვის ხვნეშა?
ხედივ, აქ ზეცა რა რიგად ელავ
და ყველას ხიბლავს ასულთა ეშხი?..
ნუ სტირი, ვეღარ აიტან ამას!

აღარ ვუყვარვარ ზემთირის, მამა!

მოხუცი

დამშვიდდი შვილო, იგი ბავშვია;
შენს მწუხარებას არა აქვს აზრი.
შენ გიყვარს სევლით და გულით მკაცრით,
ქალის ტრფიალი კი თამაშია.
აი, შეხედე შორეულ ზეცას:
იქ თავისუფლად მიმოღის მთვარეებს;
ძირს ბუნებაზე ის სხივებს ჰკეცავს
და თანაბარად ანათებს არეს.
ხედავ, ის ლრუბლებს მიპყვება. ჩიგით,
ერთს მოახვია სხივი ფარჩებად,
უკვე მეორეს ესტუმრა იყი,
მაგრამ დიდი ხნით არც იქ დარჩება,
ვინ აურჩიოს ცაზე ადგილი?
და შეაჩერებს ოომელი ღმერთი?
ვინ შეუზღუდოს ქალსაც წადილი,
ბრძანოს: უცვლელად გიყვარდეს ერთი!
დამშვიდდი!

ალექს

როგორ მანეტარებდა
სინაზით სავსე, ჩემთან მდგომარე
როდესაც თვლემდა ველური არე,
ჩემთან ლამებს ბნელს ატარებდა!
გულში ბავშვური ხალისი ედვა,
ხან ტიტინებდა, ვით ნორჩი ბავშვი,
ხან უტკბეს კოცნას ჰმალავდა თმაში
გამიფანტავდა კაეშანს, სევდას
მისი კისჯისი და ელვა თვალის.
ეხლა რალა? ის ლალატს ბედავს
ჩემი ტრფიალის ჩაუქრია ალა.

მოხუცი

მისმინე, მინდა გიამბო ახლა,
რაც უბედობა თავზე გადამხდ
ეს მოხდა, როცა ღუნას კიდე
არ გაეხადა მოსკალს ფარეშად

(ხედავ, ვიგონებ ტკივილით კიდევ,
ჩემო ალეკო, წარსულ კაეშანს).
მაშინ სულთანებს მონობდა ბოში,
ფაშა მართავდა და პფლობდა ბუჯაკს,
აკერძანიდან მაღალი კოშკით.
და, გადაშლილნი სივრცენი ლურჯად,
ჭაბუქს მანთებდა უცნაურ ცეცხლით,
მაშინ ხუჭუჭა თმაში აჩცერთი
არ ელვარებდა ჭალარის ვერტლი.
და ამიძერა ტრფიალით მკერდი
ლამაზთა შორის ვინც იდგა უბრად,
ვით მჩეს შორეულს, ვუმზერდი იმს
და ბოლოს ჩემი გახდა ეს ტურფა.

როგორც ვარსკვლავთა წუთიერ წვიმას,
მალე ჩემ სიყრმეს მოელო ბოლო.
მაგრამ, წუთებო ტრფიალებისა,
შენ უფრო სწრაფად წახველ, წელიწადს
ჩემ მარიულას უყვარდი მხოლოდ.
ერთხელ ფავულის მღინარის ახლო,
შეგვხვდა ბოშების უცხო ბანაკი,
ჩვენთან დაერცოთ კარვების პალო,
არ დღეს გვეჭირა ერთი ალაგი.
და მესამეზე წავიდნენ სადღაც.
ტკბილად მძინარეს არ მიგრძნო გულმა,
რომ გაჰყოლოდა მათ მარიულა.
ბავშვიც დაეგდო. როს ცისკრის ნაღმება
იელვა, მაშინ გავალე თვალი.
ალარსად სჩანდა მეგობრის კვალი,
ზემთვირა დედას ტიროდა აქვე.
და მეც ავტირდი, და ამის შემდეგ
ყველა ასული ძულვებით დავგმე,
არ მიძებნია, ალეკო, მენდე,
მერე ამ ქვეყნად ტრფიალი გულის
და ჩემი დღენი, ბედისგან კრული,
მიტარებია სულ მარტოდ-მარტო.

ალეკო

არ დაედევნე, მითხარი, რატომ
კვალზე მეულლეს ორგულს, საშინელს,
მას და მტაცებელს, მიკვირს, მაშინვე
რად არ გაურჩე ხანჯალი ფართო?

მოხუცი

არ არის სიყრმე დასაძრახისი,
ფრინველზე გეტად შეშვენის ქროლვა,
არც ტრფობას უყვარს ბორკილი, გლოვა,
ყველას ეძლევა ჯერ ხალისი;
რაც იყო ერთხელ, ის აღარ მოვა.

ალექო

არას დავუთმობ ბრძოლის გარეშე
მტერს და არც მშვიდად დამეძინება,
ოუ არ დამატებო შურისძიებაზ.
სადაც ტალღები დის მოთარეშე,
რომ შემხვედროდა ნაპრალთან მტერი,
ვფიცავ, უფსკრულთან ავაზაქს ტერფი
არ დაზოგავდა. არც ერთი ძარღვი
არ შეკრთებოდა, როდესაც ტალღის
ის გახდებოდა უმწეო მსხვერპლი.
როდესაც თვალებს გახსნიდა შიშით,
დამცინავ ხარხარს ვესროდი მაშინ,
ტლაშანი წყალზე, ვაი და ვიში,
უტებეს ურუანტელს მომგვრიდა ტანში.

ახალგაზრდა ბოში

ერთიც კიდევა, ერთიც ამბორი.

ზემფირა

ეჭვს იღებს ქმარი, ავია თანაც.

ახალგაზრდა ბოში

ერთიც ხანგრძლივი, ერთიც და ორი.

ზემფირა

მშვიდობით, ქმარი მოსულა მანამ.

ბოში

როდის გიხილო კვლავ გულის სწორი?

ზემოირა

როდესაც მთვარე ამოვა, ლოდინს
დამიწუებ იქვე კორლანთან დაბლა.

ბოში

ის მომატყუებს! არ მოვა ალბათ.

ზემოირა

ძვირფასო, მოვალ. გაიქეც. მოდის.

ალეკოს სძინავს. ლანდთა კრებული
სიზმარში სტანჯავს, თავს ვეღარ იშვებს.
უცებ კივილით გაღვიძებული,
ეჭვით აღვსილი სს ხელებს იშვერს.
მაგრამ თითები შეშფოთებული
ხვდება ცარიელ, გაყინულ საბანს.
წამოჯდა ნელა, მას იპყრობს შიში
და სიჩუმეში ის სულთქმას წაბავს,
ცივა და ნერწყვი უშრება პირში,
დგება, კარგიდან გამოდის გარეთ.
დახეტიალობს და ხვნეშის მწარედ,
ხედავს მიდანს ვდუმარე ძილში,
მთვარემ გააპო ნისლების ფიფქი,
ოდნავ ცახუახებს ვარსკვლავი მკრთალი,
დაცვარულ ბალახს აჩნია კვალი,
რომელიც მიდის კორლნების იქით.
მიდის ალეკო, ის სტოვებს კარავს,
ბოროტ ნაკვალევს მიპყვება ჩქარა.
ველზე გზებია ამოქარგული,
გზასთან საფლავი მოსჩანდა რუხი,
წინათვრდნობები სულ გათანგული
იქით მიდის და ვჭრება მუხლი,
უკანკალებდა ხელი და ბაგე,
მიდის... და უცებ... თუ სიზმარია...
ორი ლანდია ჩაკრული აგერ,
ისმის ჩურჩული და სიწყნარეა
ამ პატივაყრილ საფლავის ახლო.

1 - ლი ბმა

დრო არი —

2 - რე ხმა

არა!

1 - ლი ხმა

გამიშვი ახლა.

2 - რე ხმა

დარჩი, გაფანტოს ეს ბავლი ჭარბა.

1 - ლი ხმა

მაგვიანუება.

მე-2 ხმა

მითხარი ფიცი,
რად შიშობ აე?

1 - ლი ხმა

დამღუპავ, ვიცი.

2 - რე ხმა

ერთი წამიცა.

1 - ლი ხმა

უჩემოდ ქმარძ
თუ ვაიღვიძა..

ალეკო

არ მძინავს, არა.
აქ დარჩით ერთად, სჯობია უფრო,
სადაც გექნებათ ორივეს კუბო.

ზემოირა

ო, თავს უშველე!

ალეკო

შენ დარჩი აქა!
 საით მირბიხარ, ლამაზო ვაჟო?
 იწევ!
 (ჩასცემს დანას).

ზემფირა

ალეკო!

ბოში

მე ვკვდები ახლა.

ზემფირა

ალეკო. მოჰკლავ შენ იმას მგონი!
 შეხედე, სისხლით ხარ შენაფერი!
 რათ ჩაიდინე?

ალეკო

მე, არაფერი?
 იცოცხლე ახლა ამისი ტრუობით.

ზემფირა

ვერ შემიაშინებ და ახლა კმარა.
 მძაგს, მეზიზლება შენი მუქარა,
 შენც და მკვლელობაც, წყეულიმც იყავ.

ალეკო

შენც მოკვდი მაშინ:
 (ჰკლავს მასაც)

ზემფირა

კვდები და მიყვარს..

ჭეცა ნაკლები სხივების ფერში
 ელავს, ალექო ვერ მოდის გონზე
 და სისხლიანი ხანჯალით ხელში
 ის ზის მდუმარედ საფლავის ლოდზე.
 მის წინ აგდია ორი ცხედარი;
 შიშით ამბობენ „მკვლელია იგი“.
 ბევრი ქვეითი, ბევრი მხედარიც,
 მიმოდიოდნენ ჩურჩულით ირგვლივ.
 მხოლოდ მოხუცი იჯდა და თვალსა
 არ აშორებდა დაღუბულ ქალსა,
 განაქვავები მუნჯი სევდებით.
 ასწოეს ნელა და ცივმა მიწამ
 გადაიბარა მათი ცხედრები,
 და ორი სატრფო იქ ერთად იწეა.
 ჩველაფერს მკვლელი ხედევდა ამას,
 უკანასკნელი როს მიწის ჰეშვი
 გარდაეყარა უდროვო საფლავს,
 ის ნელა-ნელა თავს დაბლა ჰერიდა
 და გაღმოვარდა ბალახშე ქვიდან.

მაშინ მოხუცმა წარმოსთქვა მკაცრად: —
 „დაგვტოვე, წალი, ამაყო კაცო!
 არ აქვს კანონი ჩვენს ველურ თესლსა,
 ჯალათის წესი ღმერთმა გვარიდა,
 არ გვინდა სისხლი, ტანჯვა და კვნესა
 და მკვლელთან ყოფნაც არა, არ გვინდა.
 ველური ყოფა არ გეუფლება:
 მხოლოდ შენთვის გსურს თავისუფლება.
 შენ ვერ გაიგებ ჩვენს გულის წალილს,
 შენთან ცხოვრებას ჩვენ ველარ ვტედავთ.
 შენ ხარ გულადი და ავი... წალი,
 გაგვშორდი, იყოს მშვიდობა შენდა.

სთქვა და ხმაურით მთელი ზანაკი
 კვლავ სამთაბარიოდ გამზადდა ხელად,
 ეს საზარელი დაჟგმეს ალაგი
 და სივრცემ მალე ჩაყლაპა ყველა.
 გადახურული ძველი ფარდაგოთ
 ერთი ურემი აქ დარჩა მხოლოდ
 ველზე, რომელსაც არ უჩნდა ბოლო.
 ასე ხანდახან ზამთარის დარღევეს,
 როს იფანტება ღამის ბინდ-ბუნდი,
 წამოფრინდება მინდვრიდან საღმე

ნაგეიანევი წეროთა გუნდი,
სამხრეთისაკენ მიფრინავს, მაღლა;
ამდროს ერთ მათვანს ტყვია წყეული
ეწევა, წერო ეცემა დაბლა
და რჩება ველზე ფრთამომტკრეული.
დალამდა... სდუმდა ურმის კარავი,
არ ანთებულა კერაზე ალი,
და იქ ურემთან დამით არავის
არ მოუხუჭავს დილამდე თვალი.

ე პ ი ლ ო გ ი

კვლავ მოგონებას ბინდიანს აქრთობს
სიმღერის ძალა ჯადოქარული,
და ალარ მტოვებს წარსული მარტო:
მოდის დღე სევდის და სიხარულის.
სადაც გრგვინავდა ბრძოლა საზარო,
და გადიარა ბრძოლების სუსტშა,
სადაც ურყევი მყაცრი საზღვარი
სტამბოლის მფლობელთ უჩვენა რუსმა,
სად ორთავიან არწივთ დიდება
დღესაც ხმაურობს, არ იბინდება,
და არ წაშლილა წარსულის ზღვარი,
იქ შემხვედრია დროგამოშვებით,
თავისუფლების შვილები წყნარი,
ურმით, ცხენებით მშეიდი ბოშები.

ბეჭნიერება ალარც აქ არის,
საბრალისია ბუნების შვილი
და დაფლეთილი ძველი კარავიც
არის მნახველი მტანჯველი ძილის,
და ხეტიალი იქ ფართო ველად,
ხშირად არ არის გასახარელი,
საბედისწერო ვნებაა ყველგან
და იღბლისაგან არ გვყავს მფარველი.

თარგმანი მიქელ პატარიძისა

თებერვალი 2015

ნარკოტიკ ქართული უანრების ისტორიიდან.

1.

ქართული ლიტერატურის ყოველი მკვლევარისათვის ცნობილია ის დიდი სახელი, რომელიც თავის დროზე პენიდა თეიმურაზ პირველს. პოლიტიკურად ნაკლებ გამჭვირიას მეფეს თამაშად აღარებდნენ რუსთველს. აღორძინების ხანის ყველა პოეტი ერთხმად აღიარებს მისი ოსტატობის მაღალ დონეს. მეფე-შემსის ბიოგრაფი და პოეტი არჩილი თეიმურაზის მთელი მე-17 საუკუნის ლიტერატურული მოძრაობის მეტრად სთვლიდა.

ჩვენ ვიცით გურამიშვილის დიდი უშუალობა და მხატვრული ძალა; შესანიშნავია ბესიერის ლექსის რაფინური კულტურა; თეიმურაზი კი გვივილინება სულ სხვა შიმართულების პოეტად და მისი როლი არანაკლებ მნიშვნელოვანია ზემოღამოთვლილ პოეტების როლთან შედარებით.

ამ ლიტერატურული მოვლენის ახსნის ცდას წარმოადგენს ეს წერილი.

2.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია თეიმურაზის დამოუიდებულება რუსთველის პოეტიკისაღმი.

ცნობილია, რომ ვეფხის-ტყაოსნის სტილის გავლენა ქართულ პოეზიაზე კოლოსალურია. ეს გავლენა აღწევს თითქმის მე-19 საუკუნის 30-ან წლებამდე, თუმცა, ასაკვირველია, ყოველთვის არა ერთნაირის სიძლია ერთ. მე-15 და მე-16 საუკუნეებში ვეფხის-ტყაოსნის სტილი ფლობდა მთელს მწერლობას; მე-17 საუკუნეში არის ცდები ამ გავლენიდან თავის დაღწევისა და ახალი უანრების აღმოცენებისა, მე-18 საუკუნეში კი ვეფხის-ტყაოსნის გავლენა შედარებით პერიფერიულია და ვრცელდება უმხის კონკრეტული პოემაზე: ამ ეპოქაში, მართალია, რუსთველის თხზულება თავრესად პოემაზე: ამ ეპოქაში, მართალია, რუსთველის თხზულება თავრესად პოემაზე:

ასევე ინარჩუნებს უმაღლესი მხატვრული ძეგლის სახეს, მაგრამ ლიტერა-

ტურის ყველა უანრზე აღარ ვრცელდება დევიზი: „რუსთველს რად ვერ წაბაძესა“ (არჩილი).

საერთოდ კი ვეფხის-ტყაოსანი ამ ეპოქის მანძილზე წარმოადგენდა ბოეტური სიტყვის უმაღლეს იდეალს, რომელიც თუ მისდამი მიმბამვე-ლობის აშკარა ფორმებში არა, რომელიმე ფორმულით მაინც იჩინდა ხოლმე თაგან ამა თუ იმ უანრში. მისი მეტრი („შაირი“) ბატონობდა ორი საუკუნის მანძილზე; ლირიკაში მოარულ სენად იყო გადაქცეული „მელ-ნის ტბის“ პოეტიკა, დიდი იყო აგრეთვე ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტის ვა-რიაციების თხზვა.

აქ ზედმეტად მიგვაჩნია მაგალითების მოყვანა ჩვენი მოსაზრების და-სასაბუთებლად. მარტო ის ფაქტი, რომ მე-16 და შე-17 საუკუნეების მან-ძილზე არ დაწერილა ერთი პოემაც კი არა რუსთველური მეტრით, თავის-თავად ბევრს ნიშნავს. აღორძინების ხანის პოეტების შემოქმედება, თარგ-მნილ ძეგლებშიაც, ვეფხის-ტყაოსნის უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფება. ისეთი პოეტებიც კი, რომელიც თემატიურ სიახლეს ამეღავნებენ, მოქ-ცეული არიან რუსთველის მხატვრული კულტურის ტყვეობაში. რუსთვე-ლურია (არა ხარისხოვნად, რასაკირველია) მათი სტროფი, სახე და რიტმი. აქ დავკმაყოფილდეთ ერთი მაგალითით.

„დიდმოურავიანის“ ავტორი, იოსებ ტფილელი ასე იმეორებს რუსთ-ველის სტროფულ სურათს:

თაო ჩემო ვით გასრულო, სევდიანო, როგორ კრულო,
საქართველოს ჩჯულისათვის ათასფერად წამებულო,
მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერთგულო,
აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ედემს; სტამბოლს დაკარგულო.
(„დიდმოურავიანი“, 1851 წ. სტროფი 294).

შრი: რუსთველი:

მოსთქვამს: „ჰაი, საყვარელო, ჩემო ჩემთვის დაკარგულო,
იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო;
ვინ მოგვეთა, არა ვიცი, ხეო ედემს დანერგულო!
ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო ასჯერ დადაგულო.“

არა მარტო მეტრი, — აქ ინტონაცია, რითმა და ლექსიკური შასალაც კი ერთნაირია; და ეს მე-17 საუკუნის იმ პოეტის თხზულებაში, რომელიც კლურეკალურ წრეებს ეკუთვნოდა, (ეს წრეები, როგორც ცნობილია, მტრულად იყვნენ. განწყობილი შოთას პოემისადმი). რაც შეეხება თეთ-შურაზე, რუსთველის გავლენა მის პოეზიაშიაც დიდია: მან ვერ გაარღვია ვეფხის-ტყაოსნის საზომის ბატონობის რკალი, ვერ დასძლია რუსთველის მეტაფორების სტილი. მაგალითისათვის ავილოთ რუსთველის ტაეპები:

- ა) „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“
და ბ) „ეტლის ცვალება მზისაგან შეჯღომა სარატანისა“

შდრ. თეიმურაზი:

ა) „მელნისა ტბამან გიშერი ტევრად გარს ივლო, ისარა“

„მელნის ტბა ტევრად გიშერსა გარშემოივლებს ისარებს“.

„მელნისა ტბათა უჩრდილებს გიშრის წამწამთა შენება“

„მოგწონდების დამნაშველთა თმა მელნისა და გიშრისა.“

„მელნის ტბისაგან ლახვართა მცველეტელთა ისრად უშენდა“

(ამ მეტაფორუების განმეორება თითქმის სისტემადაა ქცეული თეიმურაზის მიერ თარგმნილს „ლეილ-მეჯნუნიანში“).

ბ) „მზე კირჩხიბზედ [-სარატანზე] გარდაჯდების შეუქების ქვეყნად თბობა“. „მზე ცუდათ მაშვრლობს, ვერ ნათობს, ეტლზე შენ ზიხარ, ის არა“

ვეფხის-ტყაოსნის სტილის ერთერთი თავისებურება — სიტყვათა განმეორება — თეიმურაზის ლექსებშიაც გვხვდება. ზოგჯერ ის პირდაპირ იმეორებს რუსთველის ლექსიკონს:

მაგ. რუსთველი: „მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარიობს დარულად“

შედრ. თეიმურაზი: „მისგან შვენის მთა და ბარი, დარი დარიობს დარიულად“

თეიმურაზ ხშირად ასახელებს რუსთველს და მხედველობაში აქვთ აფურისტური სტილი ვეფხის-ტყაოსნის:

„შოთამ სთჭვა სწორად მიდგომა მზისაგან ვარდთა, ნეზვისა“

ან: „ვის სიცოცხლე მწარე ქონდეს სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად“. და მთელი რიგი სუნტერციებისა, რომლებიც თეიმურაზს ვეფხის-ტყაოსნის ცნობილი აფორიზმების მიბაძვით შეუდგენია.

ამრიგად სტილის მხრივ (უმთავრესად მეტრისა, სახეებსა და დიდაჭრიულ თქმებში) თეიმურაზ პირველი მთლიანად რუსთველისაგან არის დამოკიდებული.

3.

და მაინც — ალორძინების მწერალთა მიერ თეიმურაზი დიდ პოეტად არის ალიარებული. არჩილის „გაბასებაში“ ის პირდაპირ შიშიათავს რუსთველს:

„ჩემმა წიგნმა დაჭარბა, შენს წიგნს ვინც სწერს ცუდათ ზისა“. გე-17 საუკუნის პოეტი მამუკა მდივანი ასე ახასიათებს თეიმურაზს:

„თვით კახთა მეფე თემურაზ ყოველთა უკეთესია
მსმინელი, გამოშეტყველი, მისუან ვინ უკეთესია *“)

*) შავნამე ანუ მეფეთა წიგნის ჟერსიები, 1916, გვ. 4.

ხოლო ავტორი წერილის „მცირე უწყება ქართველ შწერალთათვის“ სწერს, რომ „[თეიმურაზმა] უცხოდ შეაწყო საღმიარი და საერო სწავლისა შაირნი და ანბანთ ქებანი“ *) თეიმურაზ ბატონიშვილის აზრით კი — „სტიხთა შორის ქართველთა ენასა ესე უაღრესად სხვათა აღმოჩენილ არს და დიდისა ხელოვნებითა ქმნილ.“ **) პანეგირიკულ სტრიქონებს აძლენან თემურაზს: არჩილი, თემურაზ II, ანტონ ქათოლიკოსი.

მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ლიტერატურული პოლემიკა, რომელსაც არჩილი გადმოვცემს თავის „გაბაასებაში“. ეს ღირსშესანიშნავი ნაწარმოები ქართული პოეზიისა ჯეროვანად არც კი ღაფასებული ჩვენი მწერლობის მკვლევართა მიერ. „გაბაასება მეფის თემურაზისა და რუსთველისა და რუსთველისა და მთავრესა ად იმით, რომ არ კვეთს ვაჟების მიზეულს და გვაძლევს, საუკეთესო გასაღებს პოეტური უანრების ისტორიის გასათვალისწინებლად. ამ თხზულების მიხედვით ოკვევა, რომ მე-17 ვალის წინაბეჭდით უანრების მოხდენის წინასწარ პირობას წარმოადგენდა რუსთველის პოემის ფორმალური ტყვეობიდან განთავისუფლება.

„გაბაასებაში“ თეიმურაზი დაპირისპირებულია რუსთველისადმი. უფრო მეტი: რუსთველი ერთგვარ თავმდაბლობასაც კი იჩენს მეფე-მგონისადმი:

„ნახეთ რუსთველი შეფესა, რა ტკბილად გასიტყვებოდეს,
ესათნოება, ეკრძალვის, მას უნდა ეს უხდებოდეს.“

აქ მხედველობაში არაა მისაღები ის ფაქტი, რომ არჩილი თეიმურაზის სკოლას ეკუთვნის და მისი აშეარა პანეგირისტია: „გაბაასება“ და წერილია თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ, და გამოხატავს ფართო ლიტერატურული წრეების შეხედულებასაც. რუსთველისადმი ასეთი დამოკიდებულება არ აიხსნება არც იმით, თითქოს თეიმურაზს უარყოფითი განწყობილება ჰქონდეს შოთას არა-ქრისტეანული პოემისადმი. მისი „კლერიკალიზმი“ აქ არაფერ შეაშია: თითონ თეიმურაზი საკუთარი შემოქმედების შესახებ ამბობდა: „მიჯობდა თუ სულისათვის სინანული დამეწევა“ -ო (რელიგიური დოქტრინის თვალსაზრისით ის არა ნაკლებ დაწნაშევ იყო, უმთავრესად პოეტური პრაქტიკის მხრით). თეიმურაზი ხმამალა აცხადებდა თავისი გატაცების შესახებ იჩანული საერო პოეზიით:

„სპარსობა ენისა სიტკბომან მასურუვა მუსიკობანი!“

ყველაფერი ეს შეგნებული ჰქონდა არჩილსაც. ამის გამო „გაბაასებაში“ რუსთველისა და თეიმურაზის პოლემიკა უფრო ლიტერატურულ ნიადაგზეა წარმოებული. თვითონ ავტორი ნეიტრალურ პოზიციას იჩიევს

*) ძველი საქართველო, 1909, ტ. I, განვ. III, გვ. 26.

**) ცაგარელი: Сведения, II, вып. 3. стр. 126; Спб. 1894.

ამ პაექტრობის ღროს და თეიმურაზებულის ალაპარაკებს ყველას მიერ აღიარებულ რუსთველის ავტორიტეტზე:

„აწ შენი შეძი უფროა, ბოლოს ღროს ჰყოფენ ნანასა.“

მაშასაღამე— არჩილი საცხებით იცავს ისტორიულ პერსექტივას.

თეიმურაზი არ მალავს გადაჭარბებულ წარმოდგენას საკუთარ თავზე:

„მე ჩემი ჯობნა მგონია თუ სხვათ ვერ გამოგდავესა!“

საერთოდ კი თეიმურაზს აგულისებს ის გარემოება, რომ მისი პოეტური უპირატესობა ყველას მჩერ არ არის აღიარებული:

„ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: „შოთამ გაჯობა შენაო“

ხან კიდეც გამაგულისეს, მათი მომინდა შენაო“

არჩილის „გაბაასების“ ამ ადგილს ამართლებს თვითონ თეიმურაზის საკუთარი სიტყვები „მაჯამებში“:

„დექსი ჩემი სჯობს გვარად და ტებილად სასმენლად ყურისა,

მაინც რუსთველსა აქებუნ, მე იმან გამაგულისა.“

როგორც ვხედავთ, რუსთველისა და თეიმურაზის გაპაექტრებას ჰქონდა ლიტერატურული საფუძველი.

4.

„გაბაასებაში“ რუსთველი კარგად უსაბუთებს თეიმურაზს თავის პოემის ფასეულობას. მას აღნიშნული აქვს: 1) პოემის პოპულარობა („საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქონდას“) 2) ნოვატორული როლი თხზულებისა („მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსნი ჩემზელ შეზობს“) და 3) პოემის ათვისების მომენტი („მხიარულად წაიკითხენ, მასზე თვალნი არვის უწუნს“). მიუხედავად ამისა, ლიტერატურულ წრებში შესაძლებლად მიაჩნდათ რუსთველისა და თეიმურაზის გაპაექტრება პირველობაზე. ეს უკანასკნელი გამედულად მიმართავს ვეფხის-ტყაოსნის ავტორებს:

„მართალია, შენი წიგნი კარგი იყო აქამდისა,

ახლა ჩემმა დააჭარბა, ამად ცრემლი ჩამოგდისა,

მთვარე ღამეს გაანათლებს, მერე ფარავს შუქი მზისა,

ჩემმა წიგნმა დააჭარბა, შენს წიგნს ვინც სწერს ცუდად ზისა“.

ამგვარად მე-17 საუკუნეში მომწიფებულა ლიტერატურული ეპიკუნების საწინააღმდეგო შეგნება. როგორც ცნობილია, ვეფხის-ტყაოსნისადმი მიმბაძველობა ერთგვარ კანონადაც კი იყო გამოცხადებული („რუსთველს რად ვერ წაბაძესა“). თეიმურაზს სურს დააღწიოს თავი ამ მიმბაძველობას.

„გაბაასება“ ცხადყოფს პირველ ჩანასახს იმ გადაფასებისას, რომელ განიცადა ეპიგონურმა პოეტიკამ მე-17 საუკუნეში მართალია, არა-ლიც განიცადა ეპიგონურმა პოეტიკამ მე-17 საუკუნეში მართალია, არა-ლიც განიცადა ეპიგონურმა პოეტიკამ მე-17 საუკუნეში მართალია, გის მოსვლია ფიქრად უარყო რუსთველის პოემის პოეტური უნიკალობა, გის მოსვლია ფიქრად უარყო რუსთველის პოემის პოეტური უნიკალობა, მაგრამ ლიტერატურული პროცესი მოითხოვდა მისგან განკერძოებას

გარკვეულ სფეროში და გარკვეულ დროს. ლიტერატურას ამით ერთგვა-
რი გასაქანი ეძლეოდა.

მე-19 საუკუნეში, როდესაც ვეფხის-ტყაოსნის გავლენა უმთავრესად
პოემებზე ვრცელდებოდა (ნათარგმნისა და ორიგინალურში), თუმცა არა
ყოველთვის (გურამიშვილი და ბესიქი ახალი პოემის ტიპს ქმნან), ვეფ-
ხის-ტყაოსნის შეფასებაში კიდევ უფრო მეტ რაღიალიზმს იჩენდნენ. ამ
მხრივ აღსანიშნავია თეიმურაზ II, რომელიც უარყოფითად ეჭირდა პოე-
მის სიუკეტის არა ლოკალურ ხასიათს („არ გაგონილა ინდოეთს ნესტინ-
დარეჯან ჭალადა“... ან „არაბისტანში თინათინ არ იყო ბროლ-ფიქ-
ლადა“...).

თეიმურაზ პირველი არ ყოფილა ძეველი ფორმების დეკონიზატორი
(სტილის მხრივ). მიუხედავად ამისა, უფლება მაინც ჰქონდა გაზვიადე-
ბული წარმოდგენა ჰქონოდა საუთორ შემოქმედებაზე თავისი დროის
ჩოეტთა შორის. ამის ახსნა ამჟამად მხოლოდ ისტორიულად თუ შეიძ-
ლება.

5.

მე-15 — მე-16 საუკუნეების მანძილზე ქართულ ლიტერატურაში გა-
ბატონებული უანრი იყო პოემა. თ კ ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ მ ა
გ ა ა რ ლ ვ ი ა უ ა ნ რ უ ლ ი კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ი ზ მ ი ს ე ს რ კ ა-
ლ ი. მისი ლიტერატურული მისიაც ამაში გამოიხატა.

მართალია, თეიმურაზი მიმართავდა 16 მარცვლოვან მეტრს. ამ მხრით
მისი ლირიკული ლექსები წარმოადგენენ კლასიკური პოემის ფრაგმენ-
ტებს: შენარჩუნებულია ჩარჩო, მაგრამ ჩარჩოს ფარგლები დავიწროვებუ-
ლია; თეიმურაზის რომ ახალი მეტრიც ეპოვა, მაშინ მე-18. საუკუნეში მომ-
ხდარი რევოლუცია ვერსიფიკაციის დარგში ჩვენ ერთი საუკუნით უკან
უნდა დაგვეწია. მაგრამ თეიმურაზის არ შეეძლო ლიტერატურული პრო-
ცემა: ~~შენის წენებულობა ჩარჩო, მაგრამ ჩარჩოს ფარგლები დავიწროვებუ~~
გაბეჭული გასვლით უანრობრივი სივიწროვიდან.

როგორც ცნობილია, რუსთველის Ars poetica-ს თანახმად პოეზიის
უმთავრესი ფორმა არის პოემა. თეიმურაზ პირველი კი რუსთველის მიერ
ათვალისწინებული „სალალობ“ და „სათრეველი“, „მესამე“ რიგის ლექს-
თა კანონიზატორად გვევლინება. ამ უანრი პოეტი შემდეგნაირად ახსია-
თებს:

„გათავდა წიგნი მაჯამა ლექსი აქაიქ თქმულები,
სასწრაფოდ უბეს სადები ან სარტყელს ჩასარცულები,
იახტანს თანა სარონი, გვერც თასი, ლვინო, კულები,
ყოვლის წიგნისა უ მ ც რ ი ს ი, ჩანს მათი უფლისწულები.

მთლიანი პოემის გვერდით ჩნდება ლექსების კრებული, — „ლექ-
სი აქაიქ თქმულები“, სასწრაფოს უბეს სადები ან სარტყელს ჩასარცუ-

ლები“ (ჩვენ ვიცით, რომ რუსთველის პოემა თავის დროზე წარმოადგენდა შემდგომს საფეხურს ოდების კრებულებთან („თამარიანი“, „აბდულ შესიანი“) შედარებით და თვით ამ ღვდების სტილური ელემენტების კრიტიკულად გამოყენების საფუძველზე იყო შექმნილი. მე-17 საუკუნეში კი თეიმურაზი გამოდის ლექსების კრებულის ავტორად, რომელიც ლირიკულ ჟანრში იყენებს რუსთველის პოემის სტილიურ ელემენტებს).

„მაჯამების“, როგორც ეანრის, ფრაგმენტური და შემკრებელობითი ხასიათი კარგად ესმოდა, რასაკვირველია, არჩილსაც.

ის ალაპარაკებს თეიმურაზს:

„მუნ მაჯამს შეყრილსა პნახავ, არ აქაი დაკარგულსაო“ *)

თეიმურაზმა დაიწყო ის საქმე, რომელსაც შემდეგ კანონად ქცეულ ნორმების ბატონობითან საბოლოო განთავისუფლება მოჰყვა. ამ რეფორმებს ასრულებს მამუკა ბარათაშვილი თავის „ჭაშნიერთ“.

ზემოთ თქმულის შემდეგ გასავებია ის მოვლენა, რომ ალორძინების პოეტების მიერ თეიმურაზი დიდ პოეტად აჩის გამოცხადებული. ამ უკანასკნელის ლექსებს სიხლე შექმნდათ თანამედროვე პოეზიაში, ჰქონიდნენ ახალი თემების დამუშავების შესაძლებლობას; ლექსი ეძებს ახალ აუდიტორიას, ახალ სოციალურ წრეს. ეს ძიება იწვევს თვითონ ლექსის სტილს რეფორმებს.

ხაზგასასმელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ალორძინების ხანის პოეზიაში თეიმურაზს ეკუთხნის პირველი ცდა ახალი საზომის მონახვისა. ეს ცდა, როგორც ჩანს, უშედეგოდ დამთავრებულა. მხოლოდ ერთ ლექსში „შვილთა კრებათათვის“ თეიმურაზი მიმართავს ე. წ. „ჩახრუხაულს“ და ამ მეტრის გზით — შინაგან რით მას. ოდების საზომის ის ვერ ჰავლობს: პოეტმა ვერ აღქურვა ეს საზომი ახალი ფუნქციით. სამაგიეროდ თეიმურაზის სკოლა (არჩილი და სხვ., ხოლო უფრო გვიან — საბა ორბელიანი და სხვ.) „ჩახრუხაულს“ ხშირად მიმართავს.

მაშასადამე, თეიმურაზის რეფორმა ეანრის ფარგლებს არ გაძლიერია: მან ვერ შეძლო ახალი მეტრის მონახვა ახალ ეანრში.

6.

თეიმურაზის განსაკუთრებულ პოეტურ ლირიკების ხედავენ მის მაჯამებში.

თეიმურაზმა გააცოცხლა და დომინანტური მნიშვნელობა მიანიჭა ლექსის ერთ კომპონენტს: ომონიმს. ამით ერთგვარი სიცოცხლე შეიტანა კლასიკურ პოემიდან ნასესხებ სტროფებში. ამ ელემენტს თითქოს უნდა აენაზღაურებინა ლექსის ინტონაციის სილარიბე.

მაჯამებს მიმართავს რუსთველიც. ვეფხის-ტყაოსანში ის გვხდება როგორც შემთხვევითი მოვლენა, როგორც რუდიმენტი ჩახრუხაძის ოდე-

*) ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა, ტფილი. 1853 წ., გვ. 162, სტრო-
ფ. 640; 4.

ბიღან. შისი თავისებურება შედგომარეობს შემდეგში: სტრიფუში ან ტუპში შესარითმავი სიტყვები ფონეტური შემადგენლობის მხრივ უცვლელად მეორდებიან, ხოლო მათი მნიშვნელობა იცვლება. ერთი სიტყვა, ომონიმი, შესაძლებელია დაუყოფლად განმეორდეს სტროფის ყველა სარითმო რიგში, სადაც მათ ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ, ან კიდევ დაყოფილი იქნას ცალკე ნაწილებად, ამ ნაწილების სემასიოლოგიზაციის მიზნით (მაგ. „ასერა“, „ასე, რა“!).

თეომურაზი კარგად ფლობს ომონიმების ტექნიკას. ამ ხელოვნურ ფორმას ჰქონდა თავისი დანიშნულება (არსებობდა დიდი ინტრესი მაჯამების მნიშვნელობის ამოხსნისადმი). რასაკვირველია, მაჯამა არ შეიძლება ჩაითვალოს ლექსის უმაღლეს ფორმად, მაგრამ აქ ისტორიული პერსექტივის დაცვაა საჭირო: არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაჯამები მკითხველის ყურადღებას აჩერებდა სტილის შინაგან მომენტზე, ლექსის აზრის დენაზე. მაჯამა არ იყო ინერტიული ფორმა ლექსისა, — ეს კი ბევრს ნიშნავდა.

უმთავრესი დამსახურება თეიმურაზისა მაინც მდგომარეობდა უანრის განახლებაში: მაჯამები, გაბაასება, ანბანთქებანი — ფორმისთა ეს შედარებითი მრავალფეროვნება — წარმოადგენდა დიდს ნაბიჯს წინ თანამედროვე ლიტერატურაში, — სპარსულიდან პოემის თარგმნასა (დაუსრულებელი ვერსიები „შანკამესი“, „იოსებ-ზილიხანიანისა“ და სხვ.) და ვეზნის-ტყაოსნის მიმბაძველობასთან („ომანიანი“, ნანუჩას დამატებანი) შედარებით.

ამ ფაქტში უნდა ვეძიოთ ახსნა თეიმურაზი პირველის ავტორიტეტისა აღორძინების ხანის მწერალთა შორის.

7.

თეიმურაზი სუბიექტურად ე.წ. საერო მწერლობას თითქოს უარყოფდა: მაგრამ რელიგიურად განწყობილი პოეტიც კი იძულებულია აღიაროს, რომ:

„საღმრთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუღლობით,
საშაიროს ინახავენ სტავრის ბუდით ან ნახლობით“.

ჩვენ არ ვიცით მეორე პოეტი, რომელსაც ასეთი განცხადება ეკუთვნოდეს:

„სპარსთა ენისა სიტყბომან მასურვა მუსიკობანი!“

ამიტომ მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ირანული პოეზიისა და თეიმურაზის შემოქმედების ურთიერთობის საკითხს. აქ შარტო მისი პოემების თემატიური გენეზისისა და პროტოტიპების ძიებით არ უნდა განისაზღვროს კვლევის არე.

მაგრამ, შეუძლებელია ითქვას, თითქოს თეიმურაზი ყოველთვის მიმართავდა ირანელ ავტორებს; მისი ლირიკული ლექსების ანალოგიების ძიება ქართულ ლიტერატურის გარეთ ვერ მოვცემს დამაჯერებელ მასალას. უფრო მართებული იქნებოდა აგვეჭსნა, თუ, როგორ გადამუშავდა

იოანული „გავლენის“ წაკადი თეიმურაზის ლექსებში, შეტყველების რჩ-
მელ მხარის გაძლიერებას შეუწყო ხელი მან.

ისეთი ლექსები თეიმურაზისა, როგორიცაა, მაგალითად, „სოფლის სა-
მდურაჭა“, თავისი ქმოციური ტონით უფრო ადგილობრივი წარმოშობისაა,
ვიდრე ირანული სუფიზმის მოტივების გავლენით შექმნილი. თავი რომ
დაუანებოთ ლექსის ახსნას ავტორს ბიოგრაფის გათვალისწინებით, თე-
იმურაზს ლიტერატურული გზითაც შეეძლო მისი თემა კლასიკუ-
რი ეპოქიდან. ტაეპები:

„უწყის უფალმან, სოფელი არავის გაუთავდების.

მე მას ვჰგმობ, ვინცა მიენდოს“...

ან კიდევ:

„ნეტაი ყველამ იცოდეთ, სოფელი როგორ მქნელია,
კაცსა მიინდობს ღალატად..... და სხვ. — საესებით ეხმაჭებიან
ვეფხის-ტყაოსნის საკმაოდ ცნობილ სტროფებს.

ამიტომ საკითხი უნდა დაისვას იმის შესახებ, თუ სპარსულმა გავლე-
ნამ ქართული ლექსის რომელი თემატიური ტრადიციის აღდგენას შეუწ-
ყო ხელი თეიმურაზის შემოქმედებაში.

გრ. აგებიძე

შაირის გარშემო

შეინარჩუნეთ სატყვაა და საზოგადოდ ლექსის ნიშნავს. ქართულადც შაირის თავდაპირველი მნიშვნელობა იგივე უნდა ყოფილიყო და დღესაც ბევრს შაირი ისევ ამ ზოგადი მნიშვნელობით ქმის.

ქართულ პოეზიაში შაირის სახელი ძველადგანვე ლექსის გარკვეულ რიტმიულ-მეტრიულ ერთეულს ეწოდა — კერძოდ 16 მარცვლიან ლექსი (8/8) და ეს სახელი დღემდეს ამ ლექსის მანიშნებელია, როგორც ხალხში საერთოდ, ისე პოეტიკის სპეციალურ ტერმინოლოგიაში.

შაირი 16 მარცვლიანი ლექსია. რომელსაც შუაზე ორ ნაწილად ჰყოფილი ცეზურა. არჩევენ შაირის ორსახეობას იმისღამატებულით თუ ტერფების რა განლაგება გვაქვს სტრიქონში — მაღალ შაირს:

8	8
ნახეს უცხო ჩოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა	

—	—	—	—	—	—	—	—
2	2	2	2	4	2	2	2

და დაბალ შაირს:

8	8
იყო არაბეთს როსტევან მეფე ლვისაგან სვიანი	

—	—	—	—	—	—	—	—
2	3	3	2	3	3	3	3

განსხვავებას მაღალ და დაბალ შაირს შორის იძლევა ტერფთა თანამიმდევრობითი რიგი. მაღალი შაირის აუცილებელი პირობაა 2 და 4 მარცვლიანი ტერფების რიგი და რამდენადაც ამ რიგის შესაქმნელად მრავალი კომბინაციის შესაძლებლობა არსებობს (2 და 4 მარცვლიან ტერფთა ურთიერთ შენაცვლებით) ამდენად მაღალი შაირი რიტმიულად იშვიათად მდიდარი ერთეულია. დაბალი შაირისათვის აუცილებელია 2, 3 და 5 მარცვლიანი ტერფების რიგი. ამ ტერფთა ურთიერთ შენაცვლება იძლევა რიტმიულ მრავალფეროვანებას.

ჭაბალ შაირში ტერთული ურთიერთ შენაცვლების 12 ძირითადი კომ-
ბინაციაა შესაძლებელი. მაღალ შაირს ასეთი კომბინაციების მეტი შესა-
ლებლობა გააჩნია და ამიტომ იგი რიტმიულად უფრო მდიდარია დაბალ
შაირთან შედარებით.

ქართული ლექსის არცერთმა სახეობამ ასეთი რიტმიული მრავალფე-
როვანება არ იყის, როგორც შაირმა.

ამ ლექსის შეუდარებელი მუსიკალობა და ელასტიურობა არის ძირი-
თადი პირობა. მისი გაბატონებისა ქართულ პოეზიაში.

ისტორიულად შაირს ორი გზა ჰქონდა: ხალხური და ლიტერატურუ-
ლი. მეორე, რა თქმა უნდა; პირველიდან გამოვიდა — მწერლობაში ეს
ლექსი ხალხურიდან შემოვიდა, მაგრამ შესწავლისათვის ცალკე უნდა
გამოიყოს ხალხური შაირის ისტორია ლიტერატურისაგან.

შაირის პირველ წყაროების, სათავეების მოძებნა ხალხურ პოეზიაში
ძნელია. ძნელია, რაღან მისი ძირები იმდენად შორს მიდის; რომ წარ-
მართობის ეპოქაში გადავყავართ ამ ძიებას.

ფოლკლორისტიკას დიდი, მაგრამ სახითათ მასშტაბი აქვს. აქ არი
ჰქონდებათა დაუსარულებელი შესაძლებლობა, რაც ზომიერების დიდ
გრძნობას მოითხოვს მეცნიერულ ნიადაგის შესანარჩუნებლად.

ხალხური ლექსის წარმართული ნაშთები ჯერ კიდევ საფუძვლიან
მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს, რომ ამ მასალიდან შემდეგ რაიმე
დასკვნა იქნას გაკეთებული:

ყოველ შემთხვევაში ერთი უდავოა: ყველაზე უძველესი ქართული
ხალხური ლექსი შაირის ფორმითაა მოცემული.

ხალხურიდან შაირის სალექსო ფორმითა ლიტერატურაში გადავიდა.
არი ლექსების მთვლი რიგი, რომლებიც დღესაც სადავოდ გამზღარან. მა-
გალითად, დავით აღმაშენებლის ეპიტაფია:

„როს ნაჭარჩაგვეს მეფენი შვიდნივე პურად დამუსხნეს“,

თურქი, სპარსი და არაბი საზღვართა გარე გამესხნეს,

თევზი ამერითა წყალთაგან იმერთა წყალში შთამესხნეს, —

აწ' ცა. ამისა მომემედა ხელი გულზედა დამესხნეს“. *)

ტიპიური დაბალი შაირია. ეს ლექსი დღესაც იწვევს დავას. ზოგის
მტკიცებით იგი ხალხურია, ზოგი მისი ავტორის პიროვნებაზე მიუთი-
თებს, ზოგი (კ. ჭიჭინაძე) ამ ავტორის რუსთველობასც კი აყნებს.

ყოველ შემთხვევაში რამდენიმე ნიმუში შაირისა რუსთველამდის
მოგვეპოება, როგორც ხალხურ, ისე ლიტერატურულ ძეგლებში. თავი

1) კ. ჭიჭინაძეს „ვეფხის-ტყაოსნის“ დამატებაში დაბეჭილი აქვს ეს ლექსი, რო-
გორც „რუსთაველის სახელით ცნობილი ლექსი“ და როგორც „თამარ მეფის ქვასა
შედა დაწერილი“, რაც უთუოდ შეცდომაა. ეს ლექსი ცნობილი იყო, როგორც დავით
შედა დაწერილი“, რაც უთუოდ შეცდომაა. ეს ლექსი ცნობილი იყო, როგორც და-
ვიდრე თა-
აღმაშენებლის ეპლაფია, თვით ლექსიც დავითზე უფრო მიუთითებს, ვიდრე თა-
აღმაშენებლის „თურქი, სპარსი და არაბი საზღვართა გარე გამესხნეს“; ეს ისტორიული
დაწლი სწორედ დავით აღმაშენებლის მიუძღვის და არა თამარს.

რომ დაგანებოთ სასულიერო პოეზიას, „თამარიანში“ უკვე მოიპოვება მაღალი შაირის წიმუში:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი“ და სხ.

შაირმა თავის განვითარების კულმინაციას რუსთაველის გენიალურ პოემაში მიაღწია. აქ ვამომეუღლავნდა ლექსის ამ ფორმის ყველა შესაძლებლობა, აქ მოიპოვა შაირმა სწორუსკვრობა.

იმდენად სრულყო რუსთველმა შაირი, იმდენად მიუღწევული დარჩა დღემდის შაირის ასეთი ოსტატური დამუშავება, რომ რუსთველის სახელი ხალხმა სამუღლამოდ დააკავშირა შაირთან და შაირს რუსთველური ლექსი უწოდა.

რუსთველის შაირი ჯერ კიდევ ბუვრ მკვლევარს ელის, მასში ჯერ კიდევ ბევრი რამ აღმოუჩენელი და შესასწავლია. რუსთველმა დანტეს შეგავსად შექმნა ლექსის ზრიცე ფორმა, მან მტკიცედ ნაჭედი სტროფულზომბიურია შექმნა — 4 სტრიქონით, მიჯრილი 4 რითმით.

მთავარი, რაც ჯერ კიდევ პოეტური საიდუმლოა ჩვენთვის და რითაც ასე მიუღწეველია რუსთველის ოსტატობა — ეს მაღალი და დაბალი შაირების ცვლაა. შაირის ერთი სახეობიდან შეორუბე გადასვლა იმდენად ვირტუოზულია, იმდენად ბუნებრივი და ორგანიული, რომ ზოგჯერ მარტო ამ გადასვლებში მოსჩანს, შეუდარებელი გენია.

ბევრი ცდილობდა ამ გადასვლის როლის და მნიშვნელობის ახსნას, მაგრამ მკვლევართა აზრის მაქსიმუმი იმას იქით ვერ წავიდა, რომ ერთხმად აღიარეს: რიტმთა ცვლა განწყობილებათა ცვლასაც იწვევს მკითხველში და რომ სხვადასხვავარ მდგომარეობას და განწყობილებას სხვადასხვავარი შაირით უკეთ გადმოგვცემს რუსთველი.

ვფიქრობთ, ასეთი დიდი პოეტური ზერხის მსგავსი ახსნა შორს არ არის პრიმიტიულობისაგან. შაირის ამ ოსტატეობას რუსთველურ შენაცვლებაში და გადასვლაში გაცილებით უფრო დიდი განზრახვა და საიდუმლო უნდა იყოს. შეიძლება ამ საიდუმლოს გარკვევაშ ახსნას პოემის ზოგი კარდინალური საკითხიც და იქნებ ამ საიდუმლომ პოემაში დაწესებური მათემატიკური კომპოზიციაც დააღასტუროს.

„ვეფხის-ტყაოსანი“ საუკუნეების ეყო მიბაძვებისა და ეპიგონობის წყაროდ. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ყველა, ვისაც ლექსის წერის საღერღელი აეშლებოდა, რუსთაველთან შეჯიბრებით იწყებდა: მანი რუსთაველობისა ერთნაირად აწვალებდა შეფეხებს და სარდლებს, უნიჭო გადამწერს და უდაბნოში დაყუდებულ ბერს. იყო ნიჭიერ მიმბაძველთა შედარებით უკეთესი ცდები, მაგრამ მათ მუშაობასაც არ ჰქონდა რაიმე განმახლებელი შედეგი შაირის განვითარებაში.

შეიქმნა რომანტიული საგმირო პოემების მთელი ციკლი, რომლებშიაც მათი ავტორები ამაռად ცდილობდნენ რუსთაველის დაჩრდილვას მისივე ლექსით — შაირით; სტროფულ კომპოზიციით.

მიზანი მიუღწევული იყო, რუსთაველის ლექსი მათ ხელში კარგავდა ყოველგვარ ლირებას. იმისთვის, რომ რუსთველს მიბაძო ან შეედარო,

არც შაირის მეტრის გადმოლება კმარა, არც ოთხსტრიქონიანი სტროფის ოთხივე რითმის დაცვა და არც რომანტიული ამბავის გალექვა.

შაირი, რომელმაც რუსთველის პოემაში ნამდვილი აყვავება განიცადა, უნიჭო მიმბაძველთა ხელში გაღარიბდა, ყოველდღიურ სახმარ სტანდარტად გადაიჯცა. ასე იყო თებიმურაზამდე. თებიმურაზიდან იწყება ერთგვარი ალორძინება ქართული პოეზიისა და ეს აღორძინება ვერსიფიკაციასაც შეეხო. თებიმურაზმა ზოგიერთი სიახლე შეიტანა ქართულ პოეზიაში, მაგრამ ეს სიახლე უფრო თებიმური უნტერ ინტერ ეს შეეხო. ლექსის ფორმალურ დამუშავებაში ისც რუსთველის ვოწავლიდურო დარჩა, თუმცა პრეტენზია გაცილებით დიდი იყო.

ასე მოდიოდა შაირის განვითარება (და საერთოდ ქართული ლექსისაც, რადგან ერთად-ერთი ძირითადი ფორმა შაირი იყო ჩახრუხაულის გვერდით) და არჩილ მეფე ისტორიულად მართალი იყო, როცა რუსთველის ათქმევინა:

მე ვარ ძირი ლექსის თქმისა,
მელექენი ჩემზედ შენობს-ო.

მე-17 საუკუნის დასასრული და მე-18 საუკუნე მთელი ეპოქა იყო ქართული ლექსის განვითარებაში. ამ საუკუნის ნოვატორული როლი ჯერ კიდევ დაუფასებელია.

ცენტ პატარა პოეტური ფიგურა, როგორიც მამუკა ბარათაშვილი იყო, რა თქმა უნდა, დავიწყებას ვერ გადაურჩებოდა, რომ ახლას ძეგნა არ დაეწყო და რომ ახალ გზაზე დადგომა არ ეცადნა. მამუკა ბარათაშვილმა ქართულ ხალხურ ლექსებზე და რუსულ უკრაინულ ხალხურ სიმღერებზე დაყრდნობით ერთგვარი სიახლე შეიტანა ქართულ ვერსიფიკაციაში. ეს სიახლე დავით გურამიშვილთან უკვე მთელ ლიტერატურულ მოვლენად გადაიქცა. გურამიშვილის ორიგინალობა არა მარტო მის მიერ შემოტანილ ახალ ფორმებში გამოჩნდა, არამედ მან თვით შაირის დამუშავებაშიც კი ერთგვარი სიახლე უჩვენა.

ქართული ლექსის მეორე შეუღარებელმა ოსტატმა ბესიქმა თავისი ნოვატორული ძიება უფრო სხვა გზით წარმართა. მაშინ, როდესაც გურამიშვილი სისადაგისა და ხალხურობის გზით ეძებდა ახალ პოეტურ შესაძლებლობებს, ბესიკი, პირიქით, ხშირად ძნელად გასაუებ სირთულეს მიმართავდა და გემოვნების ერთგვარ არისტოკრატულობას ეყრდნობოდა. ბესიკი მეტწილად დადგენილ, დამუშავებულ აღმოსავლურ ფორმებს (მუსტაზადი და სხ.) მიმართავდა და ამ თითქოს უკვე ამოწურულ, გაქვავებულ ფორმებში გასაოცრად დიდი სიახლე შევქონდა.

რუსთაველის ალიტრაცია, სიტყვათა და ბგერათა ვირტუოზული განმეორება ბესიქმა ერთხელ კიდევ აიყვანა პრინციპამდის, მაგრამ აქაც გადააჭარბა, როგორც ყველა ფორმალური.

ბესიკი შაირაც არ გაუჩინდა; პირიქით, ხშირადაც იყენებდა მის მდგიდარ შესაძლებლობებს იქ, სადაც ექსპერიმენტიდან ლამაზი და თა-

ვისტავად სანტერესო ცდის მეტი არაფერი დარჩა (ე. ი. ვერ შეიტანა სიახლე, რამელიც განვითარების შემდგომ სტიმულად გადაიქცეოდა).

შეიძლება ითქვას, რომ შაირმა გურამიშვილთან ერთხელ კიდევ სრულად წანიცადა სიღიადე—რის შემდეგ თანდათან დაქვეითების, გალარიბებისა და უფრო მეტიც, დავიწყების გზას დაადგა. ე. წ. გარდამავალი ხანის პოეტები (ბატონიშვილები და სხ.) მართალია, სწერდნენ შაირით, მაგრამ არც ისე ხშირად და არც ისე მნიშვნელოვან რამეს.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი აღინიშნა შაირის მივიწყებითა და თითქმის ხმარებიდან გამოსვლით. რომანტიკოსები: ნ. ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი კანტიკუნტად, აქა-იქ თუ გაიხსენებდნენ რიტმის ამ სახეობას და ისიც შედარებით სუსტ ლექსებში.

რომანტიკოსების პოეტიკამ (რუსულის გავლენით) სხვა რიტმულ-მეტრული ერთეული წამოსწია წინ და კერძოდ 10 მარცვლიანმა ლექსმა სრულ ბატონობას მიაღწია თერგდალეულ პოეტებთან.

ილია ამ ლექსის რიტმს უფრო გრძნობდა და მისი საუკეთესო ნაწარმოებებიც სწორედ ამ ლექსითაა დაწერილი. 10 მარცვლიანი ლექსის გვერდით შაირს შეორე მეტოქეც გამოუჩნდა 14 მარცვლიანი ლექსის სახით. მართალია, ეს მეტრი ბესიკთანაც იყო, მაგრამ მან მე-19 საუკუნეში განსაკუთრებით რომანტიკოსებთან და ილია ჭავჭავაძესთან, განვითარებისა და სრულყოფის მწვერვალს მიაღწია.

10 მარცვლიანი ლექსის გაბატონება, როგორც ვთქვით, რუსული ლექსის გავლენით აიხსნებოდა. აკაკი შედარებით უფრო ნაკლებ განიცდიდა ამ გავლენას, იგი უფრო ხალხურიდან გამოდიოდა და ამიტომ შაირსაც სხვებზე ხშირად მიმართავდა. აკაკიმ შაირს დაუბრუნა ხალხურის სია-დავე და ძალდაუტანებელი წყობა. მისი შაირი ხალხური ლექსის მსგავსად უბრალო 4 სტრიქონიანი სტროფია ინტერვალიან ჯვარედინი რით-მით — უალრესად სადა, ადვილად საკითხავი და ძლიერ მუსიკალური.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე ყველაზე მეტად იბრძოდა ხალხურიბისათვის, როგორც პოეზიაში, ისე საერთოდ მწერლობაში და პუბლიცისტიკაში. ილიაც ხშირად მიმართავდა. შაირს („დიმიტრი თავდადებული“ და სხ.), მაგრამ მისი სტიქია შედარებით მძიმე (10 და 14 მარცვლიანი) ლექსები იყო. ილია სწორედ ამ „მძიმე“ ლექსში აღწევდა აზრის მაქსიმალურ სინათლეს, სტროფულ ბუნებრიობასაც და რთულ სისაღავესაც. რაც მის ლექსს ხალხის ნამდვილ საკუთრებად ხდიდა.

რუსთველისა და გურამიშვილის შემდეგ ვაჟა-ფშაველა იყო ის პოეტი. რომელმაც შაირის ნამდვილი აღორძინება შესძლო. დაეყრდნო რა მთის უდიდეს ხალხურ პოეზიას, ვაჟამ შაირით შემოფარგლა თითქმის თავის რიტმულ-მეტრული აპარატი.

შაირის ისტორიაში ვაჟა-ფშაველა ახალი საფეხური იყო. მისი დაბალი შაირი არ იყო მოსაწყენი ერთსახეობა. მან შაირში ბევრი ახალი შეიტანა და ისეც მრავალფეროვანი შაირის რიტმი მან კიდევ უფრო გაამრავალდეროვანა.

ვაკა-ტშაველას შემდეგ მე-19 საუკუნეს ახალი აღარაფერი უთქვამს ამ მეტრით.

მე-20 საუკუნის პოეტებიდან ს. შანშიაშვილი ყველაზე უფრო ხშირად მიმართავდა შაირს თავის შემოქმედების პირველ პერიოდში. ი. გრიშაშვილიც თავის დროზე საკმაოდ პოპულარულ ლექსებს სწორედ შაირით სწერდა. შაირითვე სარგებლობდა 900-იანი და ცოტა უფრო მოგვიანო წლების ყველა ჯგუფის პოეტი (დღმოკრატიული მწერლები და სხ...).

მიუხედავად ასეთი მასიური მოხმარებისა, ამ პოეტებმა ვერც შაირის დამუშავებაში შეიტანეს ახალი და ვერც საკუთარ შემოქმედებაში შექმნეს შედევრი, რომელიც შაირით იქნებოდა შესრულებული.

მოდერნიზმით გატაცებამ, ახალი სკოლებსა და მიმართულების გაჩენამ შაირის განვითარებასაც თავისებური კვალი დააჩნია. სიმბოლისტებმა (არა მარტო ცისუერ ყანწელებმა) წინ წამოსწიეს 14 და 10 მარცვლიანი ლექსები. განსაკუთრებით ჭირველი იმდენად გახშირდა, რომ ყველა, ცისც კი ახალი პოეტის პრეტენზია ჰქონდა, ამ ლექსით სწერდა.

კლასიკური სონეტის გარშემო გამართულ კამათში, ტრიოლეტებისა და რონდოების კორანტელში, ტრადიციული მდიდარი შაირი სრულდა დაივიწყეს.

შეიქმნა ერთგვარი სტანდარტი და მტკიცება იმისა, თითქო სონეტის ფორმას მარტო 14-მარცვლიანი ლექსი შეეფერება და სხვა.

მოდერნისტებმა, რა თქმა უნდა, ბევრი სიახლე მისცეს ქართულ ლექსის, მაგრამ იმის გამო, რომ მეტრულ რიტმული სტანდარტის გაბატონებას ცდილობდნენ, ქართული ლექსის მეტრულ (და რიტმულ) გალარიბებას უწყობდნენ ხელს.

ახალი მიმართულების ორიენტაცია რუსულის გზით შეთვასებულ დასავლურ ლექსზე იყო, ამის გამო ეროვნული ნიადაგიდან მოწყვეტა იმთავითვე ნაგულისხმევი უნდა ყოფილიყო. და, რა თქმა უნდა, შაირისათვის თავის გაყადრება პარნასიდან ჩამოსკლის ტოლი იქნებოდა ამ პოეტებისთვის.

ცალკე პოეტისათვის შეტრული მრავალფეროვნება სავალდებულო არ არი, მაგრამ როცა ყველა პოეტი კრთ მეტრს გთავაზობს და ისიც საერთო პროვენციული საკაზმით, ასეთ შემთხვევაში მოსაწყენი წოტი აუცილებლად აჩენს თავს.

სიმბოლისტებიდან გალაქტიონ ტაბიე ყველაზე ნაკლებად ლაპარაკობდა ფრანგ პოეტებზე და ყველაზე უფრო გრძნობდა მათ, როგორც პოეტი. ასევე ნაკლებად აცხადებდა პრეტენზიას იგი ეროვნულ პოეტის სახელშე, მაგრამ იგი მაინც ყველაზე კოლორიტიანი პოეტი იყო. გ. ტობიძისის იმ პერიოდის წიგნი მეტრულად მრავალფეროვანია. იგი შაირსაც ხშირად მოიშველებდა ხოლმე და ზოგჯერ შესანიშნავ ნიმუშსაც იძლეოდა („მესაფელავე“ და სხვა წვრილი ლექსები).

შაირის განვითარებაში უკანასკნელმა წლებმა განსაკუთრებული ოთლი ითამაშეს.

ხალხურობისა და სისადავის მოთხოვნილებამ პოეტები მისახლოება იშირებს, საიდანაც ყველაზე ხალხური, ყველაზე საღა და ყველაზე დიდი ოსტატები გამოლიოდნენ. ეს ძირები უმთავრესად ხალხურ პოეზიასა და ჩვენი ქვეყნის მდიდარ პოეტურ ტრადიციებშია. ამ ძირებში პოეტების წინაშე შაირის პრობლემა ისევ დაყენა. ამ პრობლემას დღეს განსაკუთრებული თავისებურებანი გააჩნია და იგი ქართულ საბჭოთა პოეზიისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნილებებთანაა დაკავშირებული.

ხალხურობისა და სისადავის ამოცანაშ შაირს ისევ დაუბრუნა მოქალაქეობრივი მღვმარეობა, არც ერთი მეტრი ხალხში ასეთი პოპულარობით არ სარგებლობს და ამიტომ ბუნებრივიც იყო შაირის აღორძინება. უკანასკნელი ორი წლის პროდუქცია განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აღასტურებს ამ აღორძინების ფაქტს.

ისეთი დიდმინიშვნელოვანი პოლიტიკური ლიტერატურული ფაქტი, როგორიც ქართველი ხალხის წერილია ბელადისაღმი, სწორედ შაირითაა შესრულებული.

შაირითაა დაწერილი პირველი ქართული პოემა სტალიზე, შაირითვეა ბევრი ქარგი ლექსი ბელადის სახელისაღმი შეძლენილ კრებულში. ჩვენი მოწინავე პოეტები თითქმის უკვე სისტემატურად ხშარობენ ამ ლექსს და უნდა ითქვას, ხშირად გარკვეულ შედეგსაც აღწევენ მის დამუშავებაში.

ხალხურობისა და ხალხურთან დამოკიდებულებას ორი მხარე გააჩნია: ერთი, როცა პოეტი ხალხურ წყაროებს კი არა ჰქანავს, არამედ იმ საშუალებები ითვისებს ზემოქშედებისას, რომლითაც ოდესლიც არა ხალხური ლექსი ხალხური გამხდარა. და მეორე, როცა პოეტი არჩევს სტილზაციის ოლგ გზას, აკეთებს ვარიაციებს ხალხური თქმულებისას და ზოგჯერ პირდაპირ ეპიგონობაში ვარდება.

კლასიკოსებზე დაკვირვება (ილია, აკაკი, ვაჟა) გვიჩვენებს, რომ ჩვენი დიდი პოეტების ხალხურობა სწორედ პირველი გზით იყო მიღწეული.

ბევრი თანამედროვე პოეტს ჰქონია, რომ იგი ხალხურობის იღებს. ანხორციელებს იმით, რომ შაირის მეტრით დაწერს ლექსს ან გრძელ პოემას. არც ერთ პოეტს ხალხურობა რომელიმე ხალხური მეტრის გამოყენებით არ მოუპოვებია, რაგინდ ხალხურიც უნდა იყოს ეს მეტრი: შებრუნებული შემთხვევები კი უამრავია: ბარათაშვილის მერანი მძიმე და, რაც უფრო იშვიათია, ლოგაედური (სხვა და სხვა) მეტრითაა დაწერილი. ხალხურის არ ახასიათებს ლოგაედურობა, მაგრამ ეს ლექსი ერთი ულრესად ხალხურთავანია.

შაირის დამუშავებისას დღევანდელი პოეტი უნდა ცდილობდეს იმ ჯერ კიდევ აღმოუჩენელ შესაძლებლობათა აღმოჩენას და დამუშავებას; რომელიც უთუოდ გააჩნია ამ ერთეულს. ეპიგონობა და მიმბარველობა, ლაპაზი მეტაფორების პირდაპირ, ან ვარიაციით განმეორება პოეტის სისუსტეზე ლაპარაკობს.

შაირის დღეგანდელი ფორმა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: 4 რვა-
მარცვლიანი სტრიქონი (მაღალი ან დაბალი შაირი) სტროუში ჯვარე-
დინი რითმით (ab ab). შეიძლება ითქვას რომ უნტერგალო ჯვარედი-
ნი რითმი ახალია შაირის ისტორიაში, მაგრამ ეს სიახლე შედარებით
უმნიშვნელოა იმ პერსპექტივასთან, რომელიც ამ მეტრის ასეთი მასიუ-
რი დამუშავებიდანაა მოსალოდნელი.

შაირის აღორძინება სასიხარულო და საინტერესო მოვლენაა, მაგრამ
ერთი გაფრთხოლება უნდა გვახსოვდეს: ხალხურობის მისაღწევად მეტრს
და რიტმსაც კი ნაკლები მნიშვნელობა აქვს და რომ აქ სულ სხვა სა-
შუალებანი თამაშობენ როლს. ყველა მეტრით (რაგინდ ახალი და უცხო,
ან მძიმე რყოს) მიაღწევ ხალხურობას, თუ ამ საშუალებებს ფლობ.

შურნალი „ცისკარი“

1.

(1852-1858 წ. და 1857-1875 წ.)

ქართულ ლიტერატურას დიდი და ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. მის კორიფეულ საპატიო აღგილი ეკუთვნით მსოფლიოს საუკეთესო პოეტებ შორის. პირველი ქართული წიგნი 1629 წ. დაიბეჭდა. პირველი ქართული გაზეთი 1819 წ., ხოლო პირველი ქართული უურნალი „ცისკარი“ 1852 წ.

მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენთვის „ცისკარის“, როგორც პირველ ქართულ ნაბეჭდ უურნალს. პატარა ტრადიცია „ცისკარის“ დოდა-შვილის „ტუილისას უწყებათა“ სალიტერატურო დამატებამ შეუქმნა. მაგრამ, ამჟამად ვენ მხოლოდ „ცისკარი“ გვაინტერესებას. მისი შესწავლა და დამუშავება ხანგრძლივ და სერიოზულ მუშაობას მოითხოვს! იგი საქმაოდ დიდ ხანს გამოდიოდა, 1852 — 1853 წ. პოეტი და დრამატურგ გიორგი ერისთავის რედაქციით, 1857 წლიდან 1875 წლამდე ივანე კერესელიძის რედაქციით. „ცისკარი“ 220 წიგნამდეა, რომლის რიცხვი, უველა ნომრებისა კრთად, 240 ნომერზე მეტია. ერისთავის „ცისკარ“ში 30-მდე ქართველი და უცხოელი მწერალია წარმოდგენილი. კერესელიძის „ცისკარ“ში 142-ზე მეტი. ე. ი. დაახლოვებით, სულ 172 ავტორი. არის შემთხვევები, რომ თითო ავტორი ერთი ან ორი ლექსითაა წარმოდგენილი, გაგრამ ძალა-აქ ხშირად თითო ავტორის სუმრავი ნაწარმოები ეკუთვნის.

„ცისკრის“ შესახებ თუ რამე დაწერილა საყურადღებო, შეგვიძლიან დავასახელოთ: ა. ხახანაშვილის რუსულად დაწერილი „ნარკვევები“ ს მე-IV-ე წიგნი. ბ. ზანდუკელის „ახალი ქართული ლიტერატურა“ ტ. II, ვ. კოტეტიშვილის „ქართული ლიტერატურის სტორია“, ა. ჯორჯაძის ნაშრომიც, მაგრამ ჯორჯაძე, თავის გამოკვლევაში, ქართული აზროვნების განვითარების ანალიზს პუბლიკისტიკის საფუძველზე შლის და ხშირად მხატვრულ ლიტერატურას უყურადღებოდ სტოვებს.

„ცისკრი“-ს გამოცემამდე, ვითოვ გამოვიდოდა უურნალი და ამ სახელ-წილებას მიიღებდა, ქართულ საზოგადოებას სღომებია უურნალის გამოცემა. არსებობს ერთი ცნობა, რომელიც წარმოადგენს „გამოცხადება“ ს და თუწყება უურნალ „სინათლის“ გამოცემას. (იხ. „კვალი“ 1896წ. №35)

„უურნალსა ამას სახელი ეწოდების „სინათლე“, გამოცემა მისი დაიწყების მაისის პირველიდან მომავალის წლისა. ოვეში გამოვა თთოვ წიგნი, როგორელთა საგანთათვის ე. ი. სამხედროთა და სამოქალაქოთა, ზნეთათვის, ვაჭრობისათვის; წყაროებისათვის გამდილრებისა, შინაურთა ეკონომია-თათვის და მმართველობისათვის ყმათა და მამულთა, აწინდელთა კანონთა და ჩვეულებათათვის, რომელიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში; იგრეთვე იქნებიან ქართველთა ჩვეულებანი, ზნენი, თვისებანი; ქართლის ცხოვრებიდან გამოკრებულნი ნაწყვეტნი და ქართული ლიტერატურა (აღმოგილი პროზა), სტიხი და ლარმონიათა ნოტნი: სამუსიკოთა ხმათა და საეკლესიოთა სავალობელთა“ და სხვა. მაგრამ „სინათლე“-ს გამოცემის იდეა ვერ განხორციელებულა.

ყოფილი მეორე სურვილიც უურნალის დაარსებისა. ამის შესახებ ცნობას თვით „ცისკარი“-ში ვხვდებით. („ცისკარი“ 1852 წ. № 8) აქ დაბეჭდილია გ. დაღიანის ლექსი:

„არეს ეწოდა, აწლა ცისკარი,
დაიმარტება (?) მთა ვაკე ბარი,
ივერის ველსა, აღგია დარი,
აწი რა მესმის მელექსეთ ჯარი.
შეფრთინვით გეტრთი ჩემო ცისკარო,
სულ-წასულობით, შენდა სულმნთები,
აცისკროვანე, სახე ნარნარო,
ნისლოვან დღენი, ბორცენი და მთები,
სალმრთო ნათელნი შენი დაბწნილნი,
განგებისაგან, შარივანდელით,
ჩვილ სხივ შუქითა, გარდმოდენილნი,
ბნელშიდ მდუმართა, აღადგენს მკვდრეთით“ და სხვა.

ასე შეპხარიდა „ჩვილ“ „ცისკარი“ ქართველი ინტელიგენტი, როგორც ამ ლექსიდან სჩანს: „არეს ეწოდა აწლა ცისკარი“ — ე. ი. „არე“-ს მაგივრად „ცისკარი“ გამოვიდათ. რედაქტია შენიშვნას უკეთებს ამ ლექსს. „პეტერბურლში ჰსურდათ გამოცემა ქართულს ენას ზედა უურნალისა, რომლისათვისაც უნდა ეწოდებინათ „არე“.

ასე იყო, თუ ისე, უურნალი დაარსდა. აღარ შევეხებით დახასიათებას ვორონცოვის ეპოქისას და არც თვით ვორონცოვის პოლიტიკისას, რომლის ფულადი დახმარებით დაარსდა „ცისკარი“ და ქართული თეატრი. ერთი რამ კი მაინც უთუოდ უნდა აღინიშნოს: ვორონცოვის „კეთილ“ დამოკიდებულება ქართველობასთან, ეს იყო დიდი ბიუროკრატის კეთილ გონივრული დამოკიდებულება. ვორონცოვის პოლიტიკა იყო ახალი მეთოდი და სტადია საქართველოს დასაპყრობად. იგი დროებით არ ეხებოდა ქართულ ენასა და კულტურას, ვითომდა მთარველობდა მას, რომ პირა დაემსახურებინა ნდობა ქართველობისა. დაეპყრო ქვეყანა ეკონომიურად,

ლა შემდეგ მთლიანად გაერქუსებინა. სხვანაირად ვორონცოვის პოლიტიკის შეფასება გულუბრყვილობა იქნებოდა, იმ ვორონცოვისა, რომლის შესახებ, ჯერ კიდევ 1824წ. პუშკინმა სთქვა:

Полумилорд, полукупец,
Полумудрец, полуневежда,
Полуподлец, но есть надежда,
Что будет полным наконеци!

ვიღრე „ცისკარი“-ს რედაქტორი გ. ერისთავი უურნალს გამოსცემდა, მან განცხადება გამოუშვა: „ამა ჩენა წლისათვის, თანახმად უმაღლესისა ნებისა იქნება გამოცემული სასარგებლოდ წმ. ნინას ზაუედენისა ქართულს ენაზე სიტყვიერებითი უურნალი „ცისკარი“, ყოველს თვეში თოთო წიგნათ, რომელსა შინაცა იქნების შეცულ: ქართული სიტყვიერება, თარგმანი, სწავლა, ხელოვნება და სახლის პატრონობა“... „ამასთანავე რედაქციას აქვს პატივი რომელი მსურველთა ამ უურნალში სტატიის დაბეჭდვისა, ძალუძრ გამოვზავნონ ესე ვითარი ამ რედაქციაში. რედაქტორი: ერისთავი“.

ასეთი იყო წინასწარ ჩატარებული მუშაობა. 1852წ. გამოვიდა „ცისკარი“-ს პირველი ნომერი გ. ერისთავის რედაქტორობით. მაგრამ ერისთავი მარტო რედაქტორი არ ყოფილა. იგი მთავარი თანამშრომელი იყო, ამ პირველი ნომრისა ხომ თითქმის ერთად-ერთიც. აქ დაბეჭდილია მხოლოდ ერისთავის ლექსები, საკუთარნი, თარგმნები. მაგ. „კურთხევა“. პეტრარკადგან. „ერთი მინუტის სიჭაბუქ“ პიუგოსი. თარგმანი რუსულიდან „მოლა-ნურისა“.

„ცისკარი“ ერისთავის რედაქტორობით ორ წელს გამოდიოდა. — 1852-1853 წ. სულ 24 ნომერი გამოიცა. პირველი ნომერი პატკანოვის ტიპოგრაფიაში დაბეჭდილა. შემდეგი ნომრები კავკასიის ნამესტნიკის ტიპოგრაფიაში. ბოლო ნომრები კი ერისთავის ტიპოგრაფიაში. ცენზორად, როგორც თვით „ცისკარი“-დან სჩანს, ჯერ ყაითმაზოვი ყოფილა, შემდეგ მღვდელი ალექსეევი, (ალექსი-მესხიშვილი). ორი წლის განმავლობაში დაბეჭდილი იყო შემდეგი ქართველ და უცხო. ავტორთა ნაწარმოებნი: გ. ერისთავის, მარლინსკის (ბესტუჟევი), საბა-სულხან ორბეგლიანის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბეგლიანის, დიმ. ბაგრატიონის, ვახტანგ მეფის, თეიმურაზ I-ის, ალ. ახვერდოვის, დ. მაჩაბლის, ნ. ბარათაშვილის, შილლერის, ლუკა ისარლოვის, (ლ. ი.), ოთარ ქობულოვის, თამაზ ქობულოვის, ბარაზ ბარათოვის, ბერნარის, დ. გურამიშვილის, სარდიონ ალექსი-მესხიშვილის, ალ. ორბეგლიანის, ჩასინის, ჩოუე დე ბოვარის, დარია ერისთავის, სკ. მაჩაბლის და რამდენიმე სხვა ავტორისაც. უურნალი შესდგებოდა. შემდეგი ხსიათის განყოფილებათაგან. 1) პოეზია, 2) პროზა, 3) სოფლური სახლის პატრონობა, 4) სხვადასხვა ანბავი. ასეთ დაყოფას ყოველთვის ვერ იცავს უურნალი. მაგ. 1853 № 5 დაბეჭდილია მხოლოდ „ცინნა“ ჩასინისა, ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი. ერთი გარემოებაა კიდევ ალსანიშნავი. „ცისკარი“-ს დასახასიათებლად: მასში არ იბეჭდებოდა ახლად დაწერილი ნა-

წარმოებრი, იშვიათი გამონაკლისით. „ცისკარი“ ერთგვარი „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ შემკრები შურინალი უფრო იყო, ვიღებ ეპოქის მაჯის-ცემის გამომხატველი. მან საშუალება მისცა ქართველ მკითხველ საზოგადოებას გასცნობოდა ძეველ პოეტებს: დ. გურამიშვილს, რომელმაც რუსეთში შექმნა თავისი შესანიშნავი ლექსები, თეიმურაზს, ლიმიტრი ბაგრატიონს, ბესიქს, ალ. ჭავჭავაძეს. უურნალმა „ცისკარმა“ გააცნო საზოგადოებას ნ. ბარათაშვილის ლექსები, რომლებიც მანამ ხელნაწერებად ვრცელდებოდა, რომლის „სულო ბოროტო“-საც მღეროდა ხოლმე ყაბაზე, მთვარიან ღამეში, მოსეირნე თავაღიშვილთა ქალ-ვაჟის თხოვნით, ყაფლან ობელიანი, ან სხვა მისი ნათესავ-მეგობარი.

1852-1853 წ. „ცისკარ“-ში დაბეჭდილია ორიგინალური ლექსები გ. ერისთავისა: „მოგონება“, „მტკვრისაღმი“, „გულს“, „გაზაფხული“, ამ ლექსების უმრავლესობა დაწერილია 40-იან წლებში. აქვე დაიბეჭდა ალ. ჭავჭავაძის მრავალი ლექსი, დ. გურამიშვილის, გრ. ობელიანის, ვახტანგ მეფის ლექსები. ამ მწერლებს ქართველი მკითხველი საჭმაოდ იცნობს, ამიტომ ამის შესახებ აქ არას ვიტყვით. ცნობილ და პირველხარისხოვან მწერალთა გარდა უურნალში იბეჭდებოდა შედარებით ნაკლებ ცნობილი, მაგრამ ნიჭიერი დ. ბაგრატიონის ლექსები, სვიმონ მაჩაბლის ლექსები (იგანე მაჩაბლის პაპა). აქვე დაიბეჭდა ერთად-ერთი ლექსი ალ. ახვერდოვისა, დ. მაჩაბლის „გარდი“, ლუკა ისარლოვის ორიგინალური და თარგ-ნილი ლექსები (ლ. ი. ინიციალით).

დიმიტრი ბაგრატიონი მოსკოვში ცხოვრობდა და იქ ეწეოდა სამწერლო მოღვაწეობას. იქვე გარდაცვლილა 1826 წ. მისი ლიტერატურული მეშკვიდრეობა შიჯნაზე დგას ე. წ. ახალი და ძველი ქართული ლიტერატურისა და ამ შერივაც საინტერესოა. დიმიტრი ბაგრატიონის პოეზია ტიპიური გამომხატველია პოლიტიკურ ცხოვრებას მოწყვეტილ, ქართველ ფეოდალის განწყობილებისა. საქართველოდან რუსეთს გარდახვეწილი ემიგრანტის მეფე იესეს შვილის-შვილის დ. ბაგრატიონისათვის დამახსიათებელია. ძველი ფეოდალური საქართველოს ქება-დიდება, მდურვა აწინდელი პირადი და საქვეყნო სინამდვილის გამო. „სოფლის მდურვა სიბერისათვის თქმული დიმიტრი ბაგრატიონის მიერ“ („ცისკარი“ 1852 №31).

„ოდეს რა დაპისნა ადამ მცნებანი, ხელჭყო მაღლისა შემართებანი,
ვისგან მიეცა ყოფა გებანი, მას უწყო ხდომა კამათებანი,
ჰსკადა უფლება, გაღმერთებანი, სამებისა მის შემართებანი,
გამიტყდა ჭნარი, წინწილ-ებანი, ვეღარ დავმღერუ სოფლის ქებანი“.

ასეთი მწუხარების გრძნობას განიცდის ჭამშობლოს მოშორებული, და გადახვეწილი მოხუცი პოეტის გული:

„გამიტყდა ძილი, მოსვენებანი, მომწყინდა ლოგინს ცუდალ გდებანი,
მელანდვის ღამის მოჩვენებანი, მაშინებს დღისით მოსვენებანი,
მესწრაფის რიურავს მოთენებანი, აღდგომას მიშლის მცონარებანი,
გამიტყდა ჭნარი, წინწილ-ებანი, ვეღარ ღავმღერე სოფლის ქებანი“.

შეტად ლირიულია პოეტის გრძნობა და სევდიანი, რომელსაც „ელან-დვის ღამის მოჩვენებანი“ და ესწრაფება „რიურაჟის მოთენებანი“; მაგრამ ძველი საქართველოს ქება დ. ბაგრატიონმა უფრო მძლავრად თავის პროზაში გამოჰხატა. „ღამის ალერსი“-ა ამ ნაწარმოების სათაური: („ცისკარი“ №2 1853 წ.) დ. ბაგრატიონის „ღამის ალერს.“ შეიძლება ეწოდოს „ალერსი ძველი საქართველოისა“. ეს თხზულება არის პოეტური ოლწერა ქართველი არისტოკრატიის ცხოვრებისა, ბრძოლისა და მოლხენისა. მეტად ღიდის პოეტის სიმბატიები იმ ცხოვრებისადმი და რაღაც მინაზებული გულის ტკივილით, სითბოთი და სიყვარულით გადმოგვცემს გარდასულ ღრო-უამთა სურნელებას.

„დედანი ხანგარდასულნი და მამანი მონახულნი იტყვიან ძველთა ანბავთა, რომელი რომელსა ღროსა და მეფობასა შესწრებიან და რაიცა უნასავს და ახსოვან“ . „მერმე იტყვიან ღარბაზისა ერთა წვევასა და ბანოვანთა მიხდასა, მათგან შესაგვანის ყოფა ქცევით მისცლასა და დელოფალთა თაყვანებასა, ზრდილობით თავაზიანობასა, ზნეობის გამოჩენასა, ნაღიმთა ზედა სხმასა და შირსა, ლალობასა და ხუმრობასა, გალობასა სამუწასი-ბოთა, და მომღერალთაგან ხმა ტკბილად სახიობასა, მროკველთაგან ცეკვა ბუქნა ბასტობასა, რიგზედ თავის მსმელობასა, თასთა გარდაკლებასა და ერთი მეორის დალევასა, წინ დაჩინქვით სმასა და მოაზარფებულებასა, მერმე შელხინებულთა მათ გაცელქებასა და ბანოვანთა გარდაწვევასა და გარდაჯდომასა, მეჯლისა დ ქრო ჭამასა, მეფეთაგან მხიარულებასა, გაცემასა და უხვად ნიჭებასა, ზარსა, და ესე გვართა ლხინთა და ჭირთა მათგან ნახულთა ძველთა ქართველთა წესითა და ჩვეულებითა მოსაუბრობენ, კვალად იტყვიან, ბრძანებდიანო, ცხენთა მალთა მდიდრად აკაზმასა და სამეედნოდ ამხელრებასა, კარვ საღავეთა ჯინიბითა გასხმასა და მეფეთა და მთავართაგან გასცლასა ველსა სასეფუროსა და მუნ ასპარეზიბასა. საშუალ მოედნისა მხალის ძელსა დგომასა, ზე ოქროს ვაშლის სმასა, დაჩინეულთა მშვილდოსანთაგან ცხენ ფიცხლად გავლასა, ძირმომმა ისრის სროლას, ოქროს ვაშლის ჩამოგდებასა. და თვისად მიღებასა“. უკვლავ ოროლთა მღერასა, კეკლუკრთაგან მზერასა და სატრივოთ გულთა ძექრისა და მრავალგვარად ბუნათა ბრიალსა და მხართა ზედან. ტრიალსა და ახლოტუნებასა გამალებულთა ტაიკთა ზედან“.

„სასმელთა სიუხვესა და გაჯუფთებით სმასა, საკრავითა და სიმღერით ლხინსა და შეცეცხლსა და ღამისა მის განცხრომით გათენებასა“. საქართველოს მოშორებულმა პოეტმა ადრე იგრძნო ძველი ფეოდალური საქართველოს ჩრდვედა. შემდეგ ეს გრძნობა იყო რომ მძლავრად გამომულავნდა ალ. ჭავჭავაძის, განსაკუთრებით გრ. ორბელიანის პოეზიაში. მასუც ელანდებოდა ყაბაზე „ცხენთა გრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითი სრიალი, უურ-მაჯო ბრიალი“. დ. ბაგრატიონი არისტოკრატიის ცხოვრების დეტალურ აღწერას იძლევა იდეალურ ფერებში. არ ივიწყებს ნაღირობის ამბავს, ბურთაობას თევზაობას, ლაშქრობას, როკვას, სიმღერას, ქორწინებას. ახლადჯვარდაწერილნით „გულისა გასაგმირალითა საუბრითა მოალერსობენ, და ნე-

ლისადის ხმით მიღილინებენ, თუ სოქვა ესრედ საამოდ დარობინებენ; როგორ უჯუფთოთა შემხედველთა, შურსა შეჭვრიან და ტოლთა მას წადებენ“.

დ. ბაგრატიონის პოეზია თემატიკის მხრივ საყურადღებოა იმით, რომ მას ძირითად საგნაც შემოქმედების გაუხდია თავისი ქალების: ელისაბედისა და ტასიას ქება. პოეტები ბევრნი აქებდნენ ქალებს: ზოგი ქალი — მიჯნურს, ზოგი ქალი — მეფეს, ზოგი ქალი — წმინდანს. დ. ბაგრატიონი აქებს ქალებს — საკუთარ შეიღებს. იგი თავისებური მიჯნურია შვილუბისა. უალერსებს მათ. ასხამს ქებას:

„მრავალნი დასხრნენ საქებრად, ამჟევრ ამეთქვეს ენები,
ვინ ვისი იყო სამკობლად, შესხმითა გამომჩვენები,
ზოგთა მოგვითხრეს საჩეო, ზოგთა ამბავნი ქვენები,
მე წილად მომხვდა ასული, ალერსით მოსახსენები“ —

ასე განსაზღვრავს თავის პოეზიის თემას თვით დ. ბაგრატიონი. და სწერს „ელისაბედიან“ს, თავისი ქალის ელისაბედის, ლიზას ან, როგორც მას ზოგჯერ აღერსით უწოდებს, ლიზუტანას ქებას. დ. ბაგრატიონის მეორე ქალიც ჰყოლია, ტასია. დიმიტრის შისი ქებაც დაუწერია.

ასეთია პოეტი, ემიგრანტი, მიჯნური მამა თავისი პატარა, აკვინის ბავშვებისა დიმიტრი ბაგრატიონი.

მისი ლექსები ძველი ქართული პოეზიისა და ახალი, რუსული ლექსით წყობის გავლენის თავისებური ნაერთია, იგი სწერს რუსთველურ შაირს, ჩიხრუხაულს, ე. წ. რუსულ ხმებზე, და ვერ ივიწყებს „თათრულ ხმას“ და ამასაც ხარჯა აძლევს.

სვიმონ მაჩაბელი, პაპა ივანე მაჩაბლისა, დიდი შეგობარი ყოფილი გიორგი ერისთავისა რასაც მისდამი ერისთავის მიერ მიძღვნილი ოზი ლექსი ადამტურებს. („კისკარი“ № 2 1852 წ.)

„გახსოვს, როს, ძმაო, ბედისა მწარით
შეგვევდა პატიმრად ერთად სხდომანი?
მტკიცისა გულით, კავშირის მყარით
კუთხვით ურთიერთის შეგობრობანი“.

ეს ლექსი ერისთავს დაუწერია „ქალაქის ციხეში, უძასა ჰატიმრობილა“, სადაც შეტქმულების საქმის გამო, სვიმონ მაჩაბელიც მჯდარა. გადასახლებიდან დაბრუნებული გ. ერისთავი მეორე ლექსი უძღვნის სვ. მაჩაბელს:

„ბეღმან კვალადა, ძმაო, ხშული განმიღო კარი,
მოვედი, მხახე, მე, მოყვასი და მეგობარი,
მსურის მოხვევნა, გარდაკოცნა წვერის ჭალარის,
ექვსის წლის უსმენს შენის ენის მოჰიკერარის“...

აი, ამ სვიმონ მაჩაბელს დაუბეჭდავს „კისკარში“ შესანიშნავი ლექსი სათაურით: „საპყრობილესა შინა უეცრად ფრინველისა შეტრენა და

პყრობილებაგან் ლაპარაკი.“ ეს ლექსი ყაზარმობასაა დაწერილი. საკანში შეფრენილ ფრინველს, პატიმარი პოეტი ელაპარაკება:

„ეპა ფრინველო, სით მოხველ ჩემად,
რომლის ქვეყანით, და ანუ თემად,
სით მომევლინე, ვკრთები მე ამად.
ჩემებრივ პყრობილთ, ნუგეშისცემად,
მაგრამ ვსწუხ შენთვის აწიდვან მარად,
აქ რისთვის მოხველ, შხედავ საზარად,
ამად შემქნია, ღრრო გასამწარად,
კართა მშმილავნი მცვენ მრავალჯარად,
საკანი ქსე. ჩემთვის არს ქმნილი,
წყვდიად უკუნი ნათელ დავსილი,
ბედმან სასტიკად მე მყო დასჯილი,
შენ წარვედ, ჰესუნთქე ჰაერი ტკბილი“.

და ევედრება ფრინველს:

„თუმცა ვიხარე ხილვით შენითა,
მაღლობას გიძლვნი მწირის ენითა,
მას ვსწუხ არ იქნე ჩემებრ წყენითა,
წარვედ მშვიდობით მუნვე ფრენითა“.
„ნუ თუ გეხილვოს იგი არენი,
საღცა სცხოვრობენ ჩემნი მთვარენი,
მარქვი ამბავნი გასახარენი,
მარქვი თუ წყალნი, ჩქარ მომდინარე,
კვალად ქუხს შხივის წალკოტს წინარე,
ეინ არს განცხრომით ანუ მჭმუნვარე,
მისმინე ქსე, ნუ ხარ მდუმარე“.

ალბათ ლიახვის ქუხილი ენატრებოდა თამარაშელ ბატონს, საღაც ლიახვი „ისე მოდის და მოშენის, თათქოს ფეხს ეკრას ნალები.“

„ცისკარ“ ში დაბეჭდილი ალ. ახვერდოვის ლექსი:

„პეტრე ბაგრატიონისათვის სიტყვა“. იგი მიმართულია ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლ, ცნობილ პეტრე ბაგრატიონისადმი.

ლუკა ისარლოვი ჩევნში უფრო ცნობილია, როგორც სასტიკი ცენ-ზორი და რეაქციონერი პუბლიცისტი, მაგრამ სიჭიბუკეში მასაც „აუქლე-რებია პოეტური ჩანგი“, თუმცა ძალიან უნიჭოდა და უხეიროდ. ისარლოვი სკოლიდან ნ. ბარათაშვილის ამხანაგი იყო.

„ცისკარ“ ში დაბეჭდილია მისი 10. ლექსზე მეტი ლ. ი. ინიციალით. აქედან ზოგი ნათარეგმნია, ისიც მეტად ხორქლიანად, უგემოვნოდ და ულაზათოდ.

ლუკა ისარლოვი, ალბათ ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ს გავ-ლენით, სწერს ლექსს „განსაცდელი“.

„სულო მაცტურო რათ მამევლინე?
 და განსაცდელად წარმომედგინე?
 რათ აშირიე მე განსვენება?
 და განშიშფოთე მყუდრო გონება?“
 წარვედ, ნუ. მნათობ გრძნობას ღარალულს
 და ნუ მიღვიძებ დროს დავიწყებულს“.

აქვეა დაბეჭდილი ლ. ი.-ს „ელევია“:

„როს მოვიგონებ შენსა სახელსა, მყის გული მიწყებს შეღონებასა,
 მყისვე დამიწყებს ცრემლი სიწყიმეს და ოხვრა მიწყვეტს მღვმარებასა“
 როგორი პოეტური „მაღლითაც“ ყოფილა დაჯილდოვებული ლუკა
 ისარლოვი, ცხადად სჩანს ამ სტრიქონებიდან და სიტყვას აღარ გავაგრ-
 ძელებთ.

უცხოური ლიტერატურა „ცისკარ“-ში ფართოდაა წარმოდგენილი.
 აქ ვხედებით ერისთავის მიერ თარგმნილ ჰუგოს, პეტრარკას, მიცვევი-
 ჩის, შილლერის ლექსებს, ალ. კავჭავაძის მიერ თარგმნილ პუშკინის
 ლექსს „ოცნებას“ და რასინის ტრალედია „ცინნა“-ს, როვე და მო-
 გარის „სოფიას“, გადმოღებულს სარლიონ ალექსანდრევის მიერ, ბერნა-
 რის „სიძე ამისთანა უნდა“, ბესტუევმარლინსკის (1797 — 1837 წ.)
 „მოლა-ნურ“-ს და „ამალათ-ბეგ“-ს, რითაც გზა ეხსნება რუსული რო-
 მანტიზმის პრაზაულ ნიმუშს ქართველ საზოგადოებისაკენ.

„ცისკარ“-ში დაბეჭდილ მასალიდან სანტერესოა სტრია სოფლური
 სიმღერა — „არაგველთა შეთველა მეფის ირაკლისადმი“ და ხალხური ან-
 დაზები, როგორც ფოლკლორული ნიმუშები.

„ცისკარ“-ში იბეჭდებოდა აგრეთვე სსულიერო პირთა მოძღვრება-
 ქადაგებანი, თქმულნი: ანტონ ირაკლის ძისა, გაბრიელ ეპისკოპოსისა,
 არხიმანდრიტ ტერ-ყაზარიანცისა და სხვათა.

კრიტიკული სტატიები უურნალში არ იბეჭდებოდა. მის მაგივრობას
 სწევდა „სოფლური სახლის პატრონობი“-ს განყოფილება, სადაც იწვრე-
 ბოდა რჩევა-დარიგება, რეცეპტები მურაბისა და უელს გაკეთების შე-
 სახებ. დამარილება ხორცია, ლორის გაკეთება. ბატი ძმრით. ესეც საუკუ-
 რალებოა აზროვნების ევოლუციის გასათვალისწინებლად. იმ დროს, რო-
 დესაც რუსეთის საზოგადოება უკვე იცნობდა ბელინსკის ლიტერატუ-
 რულ-პუბლიცისტურ წერილებს, ჩვენში ასეთ სავალალო მდგომარეობას
 ვხედავთ.

ასეთია მოკლედ „ცისკარი“-ს სახე 1852 — 1853 წ. მრავალი უარყო-
 ფითო რამ ჰქონდა „ცისკარ“-ს. არ გააჩნდა დროის ალლოს აღების უნარი.
 ვერ იბრძოდა ყოველ-დღიური საჭიროობო საკითხებისათვის, მაგრამ
 ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის დიდი როლი შეასრულა.
 მან პირველმა მისცა ადგილი ძველ ქართველ პოეტებს. გააცნო ქართველი
 მკითხველი საზოგადოება რუს და ფრანგელ მწერლებს. რაც მთავარია,
 უექნა წრე მკითხველებისა და ქომაგობა გაუწია ქართულ ენას.“

„ცისქარი“ 1857 — 1875 წლებში

სამ წელს იყო ქართველი მკითხველი საზოგადოება უურნალოდ ერისთვის „ცისქარი“-ს დახურვის შემდეგ.

1857 წ. იანვარში გამოვიდა ახალი უურნალი, „ცისქარი“-ს სახელწოდებით. სათაური ამ ორ უურნალს, მართალია, ერთი და იგივე ჰქონდა, მაგრამ მათი განხილვა შეიძლება, როგორც სხვადასხვა უურნალებისა. და მართლაც, რომ კერძესლიძის უურნალს „ცისქარი“-ს მაგიერ „განთიადი“ რქმებდა ან სხვა რამ, მაშინ ხომ ერთად აღარ განვიხილავდით? ამით არ ვივიწყებთ ჩმ შინაგან კავშირს, რომელიც ამ ორ უურნალს შორის მაინც არსებობს.

კერძესლიძის „ცისქარი“ გაგრძელებაა ერისთვის „ცისქარი“-სა, შედარებით სხვა პირობებში გამოცემული, მაგრამ მაინც უმთავრესად ფეოდალურ-თავად-აზნაურულ იდეოლოგიის გამომხატველი. მარტო ამისათვის არ იწვევს ჩვენს ინტერესს ეს უურნალი. „ცისქარი“-ს ფურცლებზე გამოვიდნენ პირველად თავდადებული რაინდები ქართული ლიტერატურისა, თერგდალეულებს რომ ვეძახით. „ცისქარი“-ს ფურცლებზე დაიბეჭდა დანიელ ჭონჭაძის „სურამის ციხე“, რომელიც პირველი და მძლავრი პროტესტი იყო ბატონყმობის წინააღმდეგ და რომელმაც თერგდალეულებს წინამორბედობა გაუწია. „ცისქარი“-ს ფურცლებზე მიეჩვია ქართველი ინტელიგენცია კამათს, საჯაროდ აზრის გამოთქმას. „ცისქარი“-მა მიაჩვია საზოგადოება თანამედროვე თვალსაზრისით მეტად უმნიშვნელოს, მაგრამ კულტურის ისტორიისათვის მეტად საყურადღებოს, უურნალის გამოწერასა და კითხვას.

„ცისქარი“-ში დაიბეჭდა პირველი ქართული სოციალური რომანი „ქოლომონი ისაკი მეჯლანუაშვილი“ და გრიგოლ რჩეულის ისტორიული რომანები.

კერძესლიძის „ცისქარი“-ს თანამშრომლები ყველა ერთი იდეოლოგიისა არ იყვნენ. ერთერთი თანამშრომელი ამ უურნალის სწერდა რომ: უურნალი ის ტაძარია, სადაც ყველას აქვს შესვლის უფლება და სანთლის დანთებისათ. სხვადასხვა „სარწმუნოებისა“ იყვნენ „ცისქარი“-ს თანამშრომელნი და ამას გარდა ყველა ერთი ნიჭისანი როდი ყოფილან. ზოგის „სანთელი“ — ნაწარმოები ძვირფასი იყო, ზოგისა კი მდარე, უხეირო, რომელიც, მართალია, იწვოდა. მაგრამ ხრისტოლუდა, ხოლო საინტერესო რმით იყო, რომ ენთო და არ ქრებოდა.

მეტად უსახსრო იყო უურნალი. „ზოგი ხელის მომწერნი „ცისქარი“-ს ფულში ფქვილს, ხორბალს, ღვინოს, შეშას, ნახშირს და ამგვარებს იძლეოდენ“ (ზ. ჭიჭინაძე „ივ. კერძესლიძე“). მცირე იყო ხელის მომწერთა რიცხვი. 1860-წ. კერძესლიძე დიუმას გაჰყვა ქახეთში. ფრანგმა მწერალმა ჭითხა ქართველ რედაქტორს: „რამდენი გყავს „ცისქარ“-ზე ხელის მომწერიო“. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარღნილ კერძესლიძეს უპასუხ-

ნია: 600-ია. დიუშას გაჭერებია ხელის მომწერთა სიმცირე — 600 კუ-
ცი. ნამდვილად კი მაშინ „ცისკარ“-ს 60 კაცი იშერდა და არა 600.

1857 წ. იანვრის ნომერი „ცისკარი“ ისნება კერძესელიძის ლექსით,
რომელიც უურნალის გამოცემის გამო სიხარულს გამოსთქმაშია. სათაუ-
რი ლექსით „ცისკარი“-ა.

„ავრორამ განხენა სიბნელის კარი,
რომლით გამოხდა კვალად ცისკარი
და, ჰბაძავს იგი რა გავსილს მთვარეს,
ჯერ სხივთ სუსტად ჰუენს ჩვენ არე-შარეს“.

ასეთი დიდი იყო სიხარული უურნალის გამოცემის გამო. საზოგადოე-
ბაც აღტაცებული შეხვდა უურნალს. ზოგი მის ქებაში დიდ გადაჭარბება-
საც იჩენდა. ვიღაც იოსებ აღმუროვი 1857 წ. № 5 სწერდა:

„განთიადის ცისკარი,
თუმცა ბრწყინვალე არი,
მაგრამ ბინდის ვენერა
იძაზედ კარგი არი.
ეგრეთ ჩვენი ცისკარი,
არ არის არეის დარი,
ესეც ვუწყი, ყოველთვის
სიბრძნის აქვს ლია კარი“.

არ იქნება სწორი თუ ვიტყვით: რედაქტორი უურნალის სისუსტეს
ვერ გრძნობდა. მან პირველსავე ნომერს განცხადება დაადევნა მკითხ-
ველთადმი. კერძესელიძე ბოლიშს იხდიდა მკითხველთა წინაშე. „რედაქ-
ტორი ქართულის სალიტერატურო უურნალისა „ცისკარი“ წაშკითხველთა-
გან მოითხოვს მოტევებასა, უკეთუ ჰპოვებენ რასმე ნაკლულოვანებასა
პირველს გამოცემულს წიგნში“. ასეთი ბოლიშით დაიწყო გამოსვლა
„ცისკარისა“. ასეთ ბოლიშებს თითქოს მიეჩირა კიდეც და თითქმის ყოველ
ნომერს ერთვოდა.

ეფერებოდა უსახსრო რედაქტორი „საყვარელთა წამკითხველთა“ და,
მოითხოვდა „მოტევებასა“...

ხასიათი: იმ ღროისა, კერძესელიძის უურნალი რომ გამოდიოდა, გან-
სხვავდებოდა 50-იანი წლებისაგან. ჩვენ საქმე 60-იან წლებთან გვაქვს.
ყირიმის ომმა დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის საზოგადოებრივ აზროვ-
ნებაზე და ხელისუფლებაზედაც. გამოამულავნა ჩამორჩენილობა რუსეთისა
და უკულტურობა. ატყდა განგაში ბატონყმობის წინააღმდევ. გაჩნდა
ემიგრაცია. გაჩაღდა ბრძოლა. ამოძრავდა საზოგადოებრივი აზრი, რამაც
საქართველოს ინტელიგენციაზედაც დიდი გავლენა მოახდინა, მით უმე-
ტეს, რომ ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი 60-იან წლებში რუ-
სეთში იშყოფებოდა, ეცნობოდა რუსეთის სახელოვან პოლიტიკურ და
ლიტერატურულ მოლვაწებს, ზოგი მათგანი პირადათაც კი. 60-იან

წლებში რუსეთში იმყოფებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ხიკოლაძე, კირილე ლორთქითანიძე, და სხვათ.

ამ გარემოებამ გავლენა იქონია კერძესლიძის „ცისკარი“ს ხასიათზე. თუ ერასთავის „ცისკარი“-ში არც ერთი პუბლიცისტური სტატია არ დაბეჭდილა, აქ მათ უკვე ვხვდებით, რაც რასაკვირველია აზროვნების გამოღვიძებასა და პოლიტიკური ატმოსფერის ოდნავ გაჯანსაღებას ნიშნავდა. ახალმა თაობამ ბრძოლა „ცისკარში“ დაიწყო. შემდეგ ფრონტი „საქართველოს მოამბე“-ში გაშალა. მათ მიერ წამოყენებული საკითხები ორი დებულებით შეიძლება გამოვხატოთ: 1) ბრძოლა ბატონ-ყმობასთან და მის ტრადიციებთან, 2) ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა.

ჩვენი ლიტერატურული ხაზოგადოება, რომელიც „ცისკარს“ ასაზრდოებდა, მეტად ჭრელი იყო. ვისგან შესდგებოდა ის? ქართველი მოწინავე ახალგაზრდობა 57 — 60 იან წლებში რუსეთის უნივერსიტეტში იმყოფებოდა. ნიკო ბარათაშვილი და ალ. ჭავჭავაძე მიწას ებარნენ. გრიგოლ არბელიანი სამსახურის საქმეებს უწდებოდა და ათასში ერთხელ აიღებდა ხოლმე კალამს ლექსის დასაწერად. მოთვინიერებული იყო. თავად-აზნაური ინტელიგენტები სრულიად არ იყვნენ დამპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ ხმის ამოღების ხასიათზე. „ყაზარმობამ“ დასძლია მათი პატრიოტიზმი, დააშინა, ჩაჰეტა. თავის თავში, გააორიჩა. ისინი ვერ უღებდნენ ალლოს ცხოვრებას. ჩამორჩინენ და უკან მისჩანჩალებლნენ. ეს „ჩამორჩინა ცხოვრებიდან“ აშკარად იგრძნო ახალმა თაობამ და ილიამ თავის, „ცისკარი“-ის შესახებ დაწერილ, ნაწყვეტში ჩასწერა „...სჩანს თითონ უურნალსა არა ჰქონია იმოდენა ღონე და მიხვედრა, რომ მიეგნო, რა უჭირს საზოგადოებას, ცხოვრებას, რომ იმას უშველოს; ან მიუგნია და ველარ შესძლებია შველა; ან კიდევ ცხოვრებას არ მოუთხოვნია და ის კი აღრეულად გამოსულა ცხოვრების საშველად. ამას გარდა კიდევ არის სხვა მიზეზიც, რის გამოც უურნალი არ მოეწონება ხოლმე ხალხსა. ეგ იმისთანა უურნალია, რომელიც დაგვიანებულა და უკან დარჩომია ცხოვრებას: ცხოვრება წინ წასულა და ის კი უკან მოსჩანჩალებს, როგორც ფეხმოტებილი ცხვარი თავის ფარასა. თავის ჩანჩალში ის კოჭლი უურნალი არამც თუ არჩევს და ხსნის, რაც თვალწინ უტრიალებს საზოგადოებას, არამდე თავმოწონებით ჰქონეთს, რაც თვით საზოგადოებას თავის განვითარების გზაზედ გადაუყრია, როგორც უვარების და გამოუსადევი. ან, სწორედ ამგვარ უურნალებს ეკუთვნის ჩვენი ფერ-მიხლილი, ჭლექი, მამულის-ერთა „ცისკარიცა“.

უურნალის უფერულობას მისი თანამშრომლებიც გრძნობდნენ. 1857 წ. № 7-ში ალ. არბელიანი წერილს სწერდა „ცისკრი“ს რედაქტორს და ეკითხებოდა: „საკვირველია ჭეშმარიტად, ჩვენს ქართულ უურნალს ჰქვიან ცისკარი და რით არის ცისკარი?“ და თითონვე პასუხობდა: „მხოლოდ სახელით“-ო.

უურნალში თანამშრომლობდნენ უაღრესად არქაისტები, რაც პოლიტიკურ რეაქციონერობას უკავშირდება. ერთერთი არქაისტი: იმერთ თავადი

იჩაკლი ლორთქიფანიძე. ჩ. ყ. ჭ. ჭ. წელსა სწერდა: „მე ვგონებ ნაცვლად სალიტერატუროსა ვსთქვათ, მეტყველების, ხოლო ნაცვლად უურნალისა იქმი, სიგელი ანუ მატიანე. რათამცა. საცნაურ იყოს, რომელ ციცკარი არის ქართულისა მეტყველებისა სიგელი; ნაცვლად რედაკტორისა ვიზმა-როთ დიდის ხნიდამ ცნობილი ჩვენდა მესტანბე ანუ აღმბეჭდველი, ნაც-ვლად პოეზიისა მოშაირობა და მოლექსეობა, ნაცვლად პროზისა წართქ-მა ანუ წართქმითი წერა“ და სხვა. შედარებით ნიჭიერი აღ. ორბელიანი უურნალს „ტომარას“ უწოდებდა.

აზროვნების უვალუციისათვის საზტერესოა კრიტიკის თანდათანობი-თი ზრდა. ამ დარგს ჩვენში ნაკლები ტრადიცია ჰქონდა, მაშინ, როცა ქართული პოეზის ძველი ძეგლები ყოველმხრივ სანიმუშონი არიან. 1857 წ. „ცისკრი“ № 5-ში გვხდება: „ბიბლიოგრაფია. ჩუბინოვის „ლრა-მატრკის“ განხილვა“. ავტორი ბიბლიოგრაფიისა თავს ესხმის ჩუბინოვს მისათვის, რომ ჩუბინოვი უარყოფს ზოგიერთ ასოს. ბიბლიოგრაფიის ავ-ტორი სწერს: ჩუბინოვმა უნდა იცოდეს „თუ ვითა დადებულ არიან აღრე-ვე სჯული ბუნებით მომზადებულთა სიტყვათათვის, და ამა სჯულთა ვერცა გამოცვლა და ვერცა დაწმავნა ვისმე ძალუძს“. ამ არგუმენტს დაუპირისპირდა შემდეგ ილია ჭავჭავაძე, რომელიც ასაბუთებდა, რომ ენა აღმიანებთან, ცხოვრებასთან ერთად ვითარდება და იცვლება. ილიამ ქართულ ბერეათა შესახებ თავის მასწავლებლის ჩუბინოვის დებულება-ნი გაიზიარა. ბიბლიოგრაფიის ავტორი ანტონ ქათალიკოსის გრამატიკის საფუძველზე დგას და სხვებისათვისაც ჩაიცა: „ვისაც სურს ნამდვილს ქართულს ენაზედ ღრამატიკის გამოცემა, აილოს ანტონ კა-თალიკიზის ღრამატიკა და იქითვან შეიგნოს, მე გარწმუნებო, რომ იმაზე უჩინებულესი არა იქნება რა“.

ბიბლიოგრაფიის გარდა უურნალში კრიტიკული წერილებიც იბეჭდებოდა. 1857 წ. №9 აღ. ორბელიანმა მოათავსა წერილი „რამდენიმე სიტ-ყვა გაყრის კამედიაზე“. აქაც ენობრივმა საკითხმა იჩინა თავი. აღ. ორბე-ლიანი სასტიკად აკრიტიკებდა პლ. იოსელიანს „გაყრა“სათვის დაწერილ წინასიტყვაობისათვის. პლატონ იოსელიანი სწერდა: — დამწერმან ამა პირველისა ქართულს ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძე-მან ერის-თავმან, დაბადა ქართული ახალსა გვარისა მწერლობისათვის. ეს ენა არს სანიმუშონ და სხვებმაც მის მაგალითს მიბაძონო“. ორბელიანი უპასუხებს: „როგორ თუ მაგალითსა მისსა? — შეგვიძლიან ჩვენც ესა ესთქვათ თამამად, რომ იმის კამედია ახალი ქართული არ არის მწერ-ლობისათვის.“

„პლატონ იოსელიანი სხვებს რომ ურჩევს იმ კამედიის წინასიტყვაო-ბაში „შეუდეგით მაგალითსა მისსაო“, რატომ თავის წინასიტყვაობას ერის-თვის კამედიის წერისას არ ამზგავსებს და სხვებს კი ურჩევს? გავს ვერ მოუხერხებია, ამისთვის რომ იოსელიანის წერა სწორე წერა არის და ერისთვის კამედია. დაკუშული ლაპარაკი“.

„ცისკარი“ს თანამშრომელთა უმრავლესობა ძველ ენას იცავდა, რომელიც ახალ, ხალხურ სამეტყველო ენას უპირისპირდებოდა. ძველს ეგრძნო ახლის მოახლოვება. შეძლებისდაგვარად ფრონტს ამაგრებდა და ირაკლი ლორთქიფანიძისა და ალ. ორბელიანის პირით თავის აზრს აცხადებდა.

„ცისკარი“ს დაარსებას დღიდან ყველაზე საყურადღებო იყო მის. ბირთველისძე თუმანიშვილის (მოლაყბე) გამოსვლა. მოლაყბე ოპოზიციაში უდგება ქართველ, საზოგადოებას. ზოგრამ ეს არ არის იდეოლოგიურ-პრინციპულ. წინააღმდეგობაზე აღმოცენებული ოპოზიცია.

მოლაყბის წერილები სოციალურ საკითხს არ შეჰებია. ის ქართული ენის გამოსარჩევებით კმაყოფილდება. ზოგჯერ ჩვენს უდარცელობასაც შეეხება, გაცკენწლავს, ჭკუაზე მოსვლას ურჩევს.

დრო გადიოდა. „ცისკარსაც“ თანდათან გამოფხიზება ეტყობოდა. საზოგადოებამ უყურადღებოდ ქარ დასტოვა მოლაყბე. უკმაყოფილება გამოიწვია მისმა გამოცდულმა ლაპარაკმა. მოლაყბე იძულებული იყო „ცისკარი“ მიეტოვებინა. მოლაყბეს მებუკეები მოჰყვნენ, ისინი იცავდნენ მოლაყბეს, მაგრამ პრინციპული არაფერი წამოუყენებიათ. მათ მხოლოდ გააფრთხილეს მიძინებული საზოგადოება. თვლება მიატოვებინეს, და ამით ნიადაგი მოუმზადეს ახალსა და დიდ მოვლენას ქართულ ლიტერატურაში.

1859 წ. მე-12 ნომერში დაიბეჭდა ჭონქაძის „სურამის ციხის“ I ნაწილი. მეორე ნაწილი კი 1860 წ. პირველ ნომერში. „სურამის ციხე“თი ავტორმა მძლავრი პროტესტი გამოუცხადა ბატონ-ყმობას, გაიღაშერა მის წინააღმდეგ და გააგონა მთელ საქართველოს გლეხის პირით ნათქვამი: ვიდრე ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენი ბედნიერება არ იქნებათ.

აღმფოთდნენ „კეთილშობილნი“. მოუვიდათ გული. „სურამის ციხის“ სპპასუხოდ ალ. ორბელიანი სწერს თავის ცნობილ სტატიას, რომლითაც იცავს ბატონ-ყმობას და მამა-შვილობად აცხადებს.

სამწუხაროდ „სურამის ციხის“ ახალგაზრდა ავტორი მალე გარდაიცვალა. მაგრამ ჭონქაძის სიკვდილით ახალთაობა არ მომკვდარა. უკეთესი ფალავნები სხვები იყვნენ, რომელთაც ქართველი მკითხველი უკვე იცნობდა. ესენი იყვნენ; ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

პირველად, თავისი ლექსი ილიამ „ცისკარ“-ში 1857 წ. №1-ში მოათავსა — „ჩიტი“. აკაკი წერეთელიც იბეჭდებოდა ხან „ს — ლი“-ის ფსევდონიმით. (სხვიტორელი) და ხან „წ.“ ინიციალით.

1861 წლის № 4 „ცისკარ“-ში იბეჭდება ილია ჭავჭავაძის წერილი: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვილგან „შეშლილის“-ს თარგმანზედა“. სტატიის ავტორმა სქოლიოში გამოიყვანა ასოები: ტ, ტც, ჩ, ვ, კ და მიაწერა: „ეს ასოები არ გვიხმრია ჩვენ სტატიაში; თუ, ვინიცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთ“.

ილიას წერილი მარტო თარგმნის შედარება კი არაა ორიგინალთან, არამედ იგი პამფლეტია კაზლოვანსა და სენტიმენტულიზმ-რომანტიზმის წინააღმდეგ. თარგმნის გაჩერება მხოლოდ გზაა, საბაბია ილიასათვის, რომ გაანადგუროს „კაზლოვი და მისი პოეზია, თუ კი არის პოეზია მის დაძლებულ ცრემლიან ლექსებში.“

ილიას წერილმა აღშფოთება გამოიწვია ფეოდალურ-თავადაზნაურულ წრეებში. ძველი ენის წინააღმდეგ იერიში, „ცისკრი“-ს სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ გალაშქრება, შათ წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა. ერთ მხარეს დადგა თავადაზნაურული საზოგადოება, დამცველი ძველი ენისა, ბატონყმობის სისტემისა, მეორე მხარეს, ახალთაობა, მატონ-ყმობის წინააღმდეგ მებრძოლი და კოლნიალურ საქართველოს რუსეთის თვითპოვნიშე კლანური გამოხსნის მსურველი. ბრძოლა ენობრივ საკითხში, იდეოლოგიური სხვადასხვაობის გამოხატულება იყო. ძველმა თაობამ ჭავჭავაძეში სამართლიანად მტერი დაინახა. ილია მედგრად, რინიანად და ვაჟკაცურაში ჯამვიდა ასპარეზზე. შეაძრწუნა, შეაშინა მოკალათებული, განცხრომაში მყოფი „კრიზ-ქნეინგი“, ააფორიაქა, გაამწარა და გააწიწმატა. ერთი ძველი თაობის წარმომადგენერელი სწერდა: ეგ ვიღაც ჭავჭავაძე, ისე დიდგულად გამოვიდა, რომ ასპარეზს ადვილად არ დასომობსო. მართლაც, ილიასათვის ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ბრძოლა გაჩაოდა. ილიას აკაი წერეთელი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები მიეშველნენ. მეორე ბანაკში თავი მოიყარეს: ექვთიმე წერეთელმა; გიორგი ბარათაშვილმა, ბარბარე ჯორჯაძისამ. მათვე ემხრობრდა ალ-ორბელიანი და იყანე კერისელიძე. ბრძოლამ 1862 წლამდე გასტანა „ცისკარი“-ს ფურცლებზედ. ჭავჭავაძემ ამ წელს განცხადება გამოუშენ „ცისკარ“-ში „საქართველოს მოამბე“-ს გამოცემაზე. და მართლაც 1863 წ. გამოვიდა. „საქართველოს მოამბე“. „საქართველოს მოამბე“-მ სცადა იმ ნაკლთა გამოსწორიბა, რომელსაც „ცისკარ“-ს უწუნებდა. „საქართველოს მოამბე“-მ მიზანს მთლიანად ვერ მიაღწია, რაოდან ცენტურა არგა თავს ჯალათად. მოწინავე ახალგაზრდობამ „საქართველოს მოამბე“-ში მოიყარა თავი. მაგრამ „ცისკარ“-ში იარჩინილი მწერლები ყველა ფეოდალური აზროვნების წარმომადგენელნი როდი ყოფილიან, მაგ. აკაი წერეთელი და ანტონ ფურცელიძე.

„ცისკარი“ ნელინელ ღონეს ჭარგუს. ჯერ „საქართველოს მოამბე“-მ გაუქო ძალები. 1866 წ. არსდება „დროება“. 1869 წ. „მნათობი“. 1871 წ. „კრებული“. მათ პარალელურად „ცისკარი“-ც გამოდის. იგი თანათან უძლურდება. რედაქტორს. როგორც ეტაკობა. მასალა აოარ ჰყოფნის. იშველიებს ღიმიტრი ბერიევს, იოსებ ელიოზოვს. ალექსანდრე და სასილა, აკოფოვიბს. კერისელიძე თითონაც სწერს ლექსს. მოთხრობას. დრამას. მოზაურობას, სთარგმნის. მაგრამ უურნალის საქმე მაინც უკან მიდის. ზოგჯერ ორ ნომერს ერთად გამოსცემს მასალებით და სახსრით ღარიბი

რედაქცია, ასე ლინლილებს ფურნალი. 1875 წ. გამოვიდა ერთი პატარა წიგნი „ცისკარი“ იანვრისა და თებერვლისა ერთად. შემდეგ ფურნალის გამოცემა შესწყდა და ასეც სჯობდა, რადგან იმგვარად სიცოცხლეს, როგორც ბოლო დროს „ცისკარი“ გამოდიოდა, გამოუსვლელობა—სიკვდილი ერჩია.

„ცისკარი“-ს გამოცემა შეწყდა, მაგრამ მისი დამსახურება ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში უკალოდ არ დაკარგულა. მასში დაიბეჭდა მრავალი ცნობილი, ძველი და ახალი ქართველი პოეტის ნაწარმოები. რამდენიმე მეტად საყურადღებო პუბლიკისტურ-მეცნიერული წერილი. „ცისკარ“-მავე გააცნო ქართველ საზოგადოებას, თუმცა მეტწილად უხეირო თარგმნებით, მაგრამ მაინც რუსი და ეკროპელი ცნობილი პოეტები: კრილოვი, უკოვსკი, ლერმონტოვი, პუშკინი, ბერანძე, ჰიუგო, შექსპირი, შილლერი, გოეთე. ჰაინ და სხვები. რითაც ქართულ ლიტერატურას ახალი გზების გამონახვაში დიდი დახმარება გაუწია.

კასზეისმგებელი რედაქტორი — ალექსანდრე ჭავჭავაძე.
მდგვარი — ალ. აბაშელი.

სახელგამის პოლიგრაფიკომბინატი, უორესტს ქ. 5

მთავლიტის № 32009. შეკვ. № 987. ტირაჟი 5000.

1937 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად.

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად 18 მან.

ნახევარი წლით 9 *

ცალკე ნომერი : 1 პ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელვამის ყველა მაღაზიაში, სოფუბერის
რაიონუროებში და სახელვამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის გისამართი:

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.